619
1999

№ 3-4 1999

ლიტერატურული



9 აპრილის მემორიალის კონკურსი



ფოტოინფორმაცია

- გალაკტიონის სახლ-მუზეუმის გახსნაზე
- მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად დაინთებს
- უდანაშაულო დამნაშავენი. შეხვედრა ქ-ონ ნანული შევარდნაძესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერი ვაზავხელისა

ტერენტი გრანელი

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.
ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ.
წინ მეშლება სხვა ოცნების არე,
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.
გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

1926.

დავით გაჩეჩილაძე

და გამოვიდა მთესვარი თესვად

21.361

და გამოვიდა თესვად მთესვარი.
აჰა, დრო იგი წმინდა ჩასახვის,
რომ განიხდიდა მიწა ცახცახით
ნისლებს საღამოს სამოსელსავით...
და გამოვიდა თესვად მთესვარი.

დილა კი ჰგავდა რტოს ატმისფერსა,
ხნულიც განფენილ ჩეროს ღრუბელთა...
და სადაც იგი ხნულს გადურბენდა,
წვიმის ჩურჩულად ისმოდა თესვა...
დილა კი ჰგავდა რტოს ატმისფერსა.

ო, რარიგ სათნო და მოალერსე,
იგი მთესვარი მარცვლებს ჰფანტავდა
და, თითქოს რხევა ოქროს თავთავთა,
კრთოდა ღიმილი იმის სახეზე...
ო, რარიგ სათნო და მოალერსე.

და რით არ იყო წმიდანი იგი,
ზე რომ ასწევდა ხელს მოიმედე...
ხოლო ჩიტები ფეხით მისდევდნენ,
ხან კი ყივყივით უფრენდნენ ირგვლივ...
თქვით, რით არ იყო წმიდანი იგი...

ან რით არ იყო ეს ჯადოქრობა,
ჯვალოს ტომრიდან თონის ალმური,
ცეკვა, სიმღერა და სალამური
ქვეყნის სალხენად რომ ამოჰქონდა...
თქვით, რით არ იყო ეს ჯადოქრობა?

მეც გაოცებით შევცქერდი ბავშვი
და თუმც კეთილი იგი მთესვარი
გაჰქრა იმ დილის სინათლესავით,
ერთად ცხოვრობენ ჩემს ცხოვრებაში
მთესვარი, ჩიტი და გარიჟრაჟი.

1967

კოლაუ ნადირაძე

გაზაფხული თბილისში

ქუჩებში ჩუმად შემოგვეპარა,
იის კონებით მოქარგა კვალი
და თბილისს ზეცა გადაეფარა,
როგორც გამდნარი ფირუზის თვალი.

ჩვენო სიმტკიცევ გადაკარგულო,
დედაო ტკბილო, დღე დამიმძიმდა,
მე ეს პატარა მტკივანი გული
შენს თბილ მუხლებზე დავაგდო, მინდა.

მიმიღე მაინც, გადაიბურდა,
ჯვარცმად გადიქცა ჩემი დღეები,
და მე სიწმინდე ისე მომწყურდა,
როგორც დამწყვდეულ არწივს
კლდეები.

ხარ ზიარებით სავსე ბარძიმი,
თბილისო ჩემო, ამღერებულო,
შენი სიონი, თეთრი და მძიმე,
თითქოს ჩემს გულში აშენებულა.

თავს სასწაულის რეტი ესხმება
და კიდევ მჯერა, რომ დიდი ფრთები
ჩემს მხრებს დამსხვრეულს
გამოესხმება,
რომ გადმოვფანტო იების მთები.

ისე, ვით დედამ, მომხვიე ხელი,
გადამაწვინე შენს სათუთ მკლავზე,
რომ ვიმეორო შენი სახელი
და გული გასკდეს ზარების ხმაზე.

გიორგი ლეონიძე

მშობლური, ტკბილი, მოწყალე

გული მოგელის, მაისო,
გაფანტე ოქროს დიელო,
მე მინდა შენმა ნათელმა
თვალებში კიდევ იელვოს.

რომ დამავიწყდეს ზამთარი
და მისი ქარიშხალები,
ნუშო, კოკორი გახსენი,
ყაყაჩოვ, შავი ხალები...

მიყვარს ხე შუქში ჩამდგარი,
ოცნების დასადარელი,
მიყვარს მე დილა მზიანი,
როცა მოვა და არ ელი.

მიყვარს ღვართქაფი, ყიჟინა,
მეხის ხმა, წვიმიანობა,
ნიავზე ყანა, ქალივით
მოსახვევნად რომ წამოვა...

და იაფერი, მარადის
გულიდან დაუთხოველი:
„მშობლური, ტკბილი, მოწყალე,
ცა წყალობისა მთოველი!“

1929

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროს ტაძარი



● უძველესი დროიდან ქართველ ქალებს უამრავი აპოლოგეტი ჰყავდა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უცხოელი მოგზაურები თუ ისტორიკოსები, მისიონერი-ბერები თუ მეცნიერ-მკვლევარები, პოეტები თუ პროზაიკოსები ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ქართველი ქალის სიტურფეს და გონიერებას, ქვეყნისა და ერის წინაშე მის საარაკო ერთგულებას და თავგანწირვას. ამასთან, განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ჩვენი ქალების ზნესრულობას, რითაც ისინი ბევრ სხვათაგან გამოირჩეოდნენ ხოლმე.

თვით ქართველ ერშიც ღრმად დამკვიდრებული და ფესვგადგმული მაღალი აზრი ქალებზე, უთუოდ ნასაზრდოები გახლდათ რეალური გარემოებითა და ათასწლოვანი ტრადიციებით.

ქალი დიდი ძალაა. ქალმა თუ გაიწიაო, ტყუილად არ უთქვამს ჩვენს ხალხს. შემთხვევითი არც ისაა, რომ ჯერ კიდევ მითებში ქალები გვევლინებიან ხშირად წამლეკავ ძალად, თავაწყვეტილ მენადებად – ხან ორფეოსს რომ ფლითავენ და ხანაც დიონისეს გლეჯენ ნაწილ-ნაწილ. ძველ სამყაროში ცნობილი იყო მეგერების სისასტიკე და დაუნდობლობა. ქალი ეშმაკეული, ქალი ბოროტების სადგური – ასე იყო მიღებული უმეტეს ისტორიულ ერთა მიერ.

მშვენიერი ელენე გახლდათ საბერძნეთ-ტროას ომისა და მაშასადამე, უბედურების, ნგრევის, სისხლისღვრის მიზეზი, ძველი ებრაელების შეხედულებით, ევამ აცთუნა ადამი და დააკარგვინა სამოთხე. მაჰმადმა, რომელმაც თავის აქლემს ადამიანის ნახევარი სული მიანიჭა, ქალში მეოთხედი არ იწამა. ნეტარი ავგუსტინე „ეშმაკის ჭურჭელს“ უწოდებს მას და ა.შ. მაგრამ ქალის აღქმა, როგორც მაცთურისა, შეჩვენებულისა, იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ძველი წინაპრების შინაგან რწმენას, მიუღებელი იყო მათი ბუნებისათვის, რადგან ერის სულს კვებავდა და ასაზრდოებდა დიდი ნანას და შემდგომში ღვთისმშობლის და წმ. ნინოს ხატებანი, რადგან ქალი უკეთილშობილესი დედური საწყისის მატარებლად მიაჩნდა და მაშასადამე, ღვთაებრივი იყო და სათაყვანო.

დიდი ილიას განმარტებით, ქართველი ერის ცხოვრებაში დედაკაცს მარტო სამი უწმინდესი დანიშნულება – დედობა, ცოლობა და დობა როდი აკისრია, ყველაზე უწინარესად იგი ადამიანად არის გაჩენილი, როგორც მამაკაცი: „დედობა, ცოლობა, დობა, ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოების... საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვ“.

ქართველი ქალების ამ „კაი ქალობის“ უამრავი მაგალითი გვხვდება ჩვენს ისტორიაში, „რა მიზეზით იყო და რით აიხსნება, ზეციური სასწაულით, თუ ამქვეყნიური გრძნეულობით, რომ ამ პატარა, საქრისტიანო ქვეყანამ მოიგერია მასზედ მოზღვავებული მტერი... ეს სასწაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიც და ლხინშიც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს“, წერდა აკაკი.

აკაკის თქმითვე, ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში, პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ, რომ ერთი უბრალო მოგზაური, ვითომ უძლური კაბადოკიელი ქართველი ქალის წინაშე, რომელსაც გარდა მისივე თმით ჯვარად შეკონილი ვაზის მეტი არა ეჭირა რა ხელში, ემხობიან თავით ფეხებამდე აღჭურვილი მეფე და დიდებულები და რომ სხვა ქვეყანაში ისეთი ნდობა და თავისუფლება არა ჰქონდათ ქალებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, რომ ეს პატივი ღირსეულად შეიფერეს ჩვენმა დედებმა.

ქართველ ქალს ის დიდი ნდობა და თავისუფლება, რაც მას ჰქონდა ყოველ დროში, ბოროტად არასოდეს გამოუყენებია, თუ რასაკვირველია, გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოსათვის მრავალჯერ დამდგარა ყოფნა-არყოფნის საკითხი, მრავალჯერ სრული გაქრობის წინაშეც აღმოვჩნდით, იყო პერიოდები, როცა ზნეობრივი დაცემის პირზე გახლდათ მისული მთელი საზოგადოება. მაგრამ ამ სისხლიან მარულაში, საქართველოში რომ იმართებოდა ისტორიის ბედუკულმართობის წყალობით თუ სხვა რამ მიზეზითაც, ჩვენში არასოდეს მოშლილა ზნეობრიობის კრიტერიუმი, რამეთუ ყველამ მშვენივრად უწყოდა, რა იყო პატიოსნება და უპატიოსნება, სინდისი და უსინდისობა, რწმენა და ურწმუნოება, სიკეთე და ბოროტება, ე.ი. ვინც ვერ იყო კახაბერი, მას ვერ იტყოდნენ კახაბერად.

კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის სამოცდაათმა წელმა წაშალა ყოველგვარი ზღვარი უზნეობასა და ზნეობას შორის. სამოცდაათწლიანი ბოლშევიკური რეჟიმი – ესაა ადამიანის მეობის დაკარგვის, მისი ინდივიდუალობის მოსპობისა და ჭანჭიკად ქცევის სატანისეული მცდელობა. საზოგადოება მიეჩვია სისასტიკესთან ერთად უზნეობის გამოვლენას ცხოვრებაში. მან მართლაც დაკარგა არა მხოლო შეფასების – რეაგირების უნარიც. თითქოს ყველაფერი სულერთი გახდა.

ადიდებულ მდინარეს, როგორც ცნობილია, ხშირად დიდძალი ჭუჭყი და სიბინძურე მოაქვს, შემდეგ მდინარე იწმინდება და კვლავ ანკარა, სუფთა ხდება. ეს ყველაფერი თითქოს ბუნებრივი პროცესებია, კანონზომიერი მოვლენაა და მაინც ამ ე.წ. გარდამავალი პერიოდის მღვრიე მდინარებამ (დამოუკიდებლობის ბრძოლის პერიპეტიებმა, სამოქალაქო ომებმა, ნგრევამ, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და ა.შ.) მრავალი სატკივარი და წუხილი წარმოშვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პროცესებში ქართველი ქალები აქტიურად ჩაებნენ, მაგრამ სამწუხაროდ, აქტიურობამ ქართველი ქალისთვის ხშირად შეუფერებელი სახე მიიღო.

მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნილ საზოგადოებას თითქოს უკვე აღარც უკვირს თურქეთის ბორდელებში ქართველ ქალთა მოჭარბება, ის, რომ ჩვენი 13-14 წლის გოგონები კაზინოებისა და რესტორნების მუდმივ სტუმრებად იქცნენ, რომ ყოვლის წამლეკავმა ამერიკულმა თუ დასავლეთის სერიალებმა წაშალეს ყოველნაირი ზღვარი ზნეობრი-

ობასა და უზნეობას შორის. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ზნედაცემულობა, ოჯახის ნგრევა, ღალატი, ორგულობა მეუღლეებისა ლამის დასავლური ცხოვრების ყაიდადაა აღქმული და მაშასადამე, მისაბაძად ქცეულა. ის, რაც ე.წ. დასავლური ცივილიზაციის ჭუჭყსა და სიბინძურეს შეადგენს და, რაც თვით დასავლეთში მოწინავე ადამიანების მიერ მიჩნეულია ამორალობად, სულიერების დაკარგვის ნიშნად – ჩვენში ლამის „დასავლური" ცივილიზაციის და კულტუროსნობის ეტალონად დამკვიდრდეს.

ნათქვამია, ერის ზნეობრივი ბარომეტრი ქალი გახლავთო. ერის ზნეობრივი დეგრადაცია სწორედ რომ თვალსაჩინო ხდება ქალის მეშვეობით, ვინაიდან როგორც ზემოთ ითქვა, ქალი მართლაც რომ დიდი ძალაა. მას ბევრი რამის, როგორც შექმნა, ისე დანგრევაც ძალუძს. ამ სულიერი კატაკლიზმების ეპოქაში ერთადერთი, რაც ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს გადაარჩენს, მისი მიბრუნებაა სულიერებისკენ, მიბრუნებაა რწმენისკენ, ხოლო ამ გზაზე უპირატესი და გადამწყვეტი როლი ეკისრება ქალს, დედაკაცს, დედას, ერის დედაბოძს.

ილიას აზრით: „ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზე უნდა მიიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თავისის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და ულრღნის დღე-მუდამ და იქნება არც-კი ჰგრძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება.

იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომელმაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოსჭრას მისსავე შთამომავალსა, მისსავე ერსა".

ციალა არდაშელია

შენ

შენ კვლავ არ გჯერა ბრმა სიყვარულის,
ფიქრობ, ეს გრძნობა სადღაც მარხია.
მე რაც დავწერე სისხლის ლექსები,
ქარმა დახია!

შენ ახლა გჯერა, როცა მოვედი,
რომ არ ვტყუოდი, მიყვარდი ძლიერ,
მე დავიტანჯე სიმარტოვეთი,
მე ჩემ საკუთარ ორეულს ვძლიე...

1997

პოეზია

შეშლილი ვნებით
ვიწვოდი მუდამ
და ამ ვნებაში
არდაბრუნების
წყვდიადი მსურდა
მარადი ცეცხლით!..
ვერავინ შეცვლის
ჩემ შთაგონებას...
რადგან მონებმა
მიწიერი ტანჯვა არჩიეს –
დაე, ეწამონ!
მე ჩემი სული უმაღლესი
გადავარჩინე
ჯერ კიდევ მაშინ,
თვალებით როცა
ვუცქერდი დედის
სასწაულ ლოცვას
პატარა ბავშვი,
თეთრი თვალებით ვუცქერდი
ნგრევას ქუხილის, ჭექის,
სისხლიან მკერდით
ჩვილი აკვნიდან
რომ წამოვდექი
და დღეებს მზიანს
სახე ვარიდე
და სამარიდან
მომეკვლინა მე პოეზია –
სული ობოლი,
ვით უკვდავება შეუცნობელი...

1999

გიორგი არჩემაშვილი

***

ეს იყო შეხება უნაზეს ბაგეთა
და სევდა ცრემლიან თვალთა,
პოეტი უიღბლო ოცნებებს აგებდა
საოცრად მომხიბვლელ ქალთან...

ტიროდა ქალაქი ღამეულ ქუჩებით,
ტიროდა ქალაქის ღამე,
ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ ტუჩები
მაგიურ შეხების წამით.

და გაქრა ნიღბები და გაქრა როლები
და სცენა შეშლილთა დასის
და დადგა წამები ჩვენი განშორების,
წამები წამების მსგავსი.

ეს იყო შეხება ვნებიან ბაგეთა
და სევდა უძირო თვალთა,
პოეტი უიღბლო ოცნებებს აგებდა
საოცრად მომხიბვლელ ქალთან...

1998

პოეტის დრამა

მე მოვდიოდი საშინელი წამების დღემდე,
თვალებში მიმზერს დაჟინებით შავი ობობა
და უკვე ვიცი, რა იქნება სიცოცხლის შემდეგ:
თეთრი სიკვდილი და სიკვდილით კვლავ არსებობა!

ყოველთვის ვქმნიდი ტრაგედიებს, უცხო სახეებს
და ვთამაშობდი მთელი გრძნობით როლს სცენის მიღმა,
როდესაც ვხედავ ნიღბიანებს, მე ეს მახელებს,
მაგრამ არასდროს ჩამოვიხსნი საკუთარ ნიღაბს...

თეთრი კედლები საგიჟეთის იწყებენ ტრიალს,
თეთრი იები – მე დაღუპვას რომ მიქადიან –
სულში ამტვრევენ გაგიჟებით ცისფერ როიალს
და ამ სულიდან, ვით სცენიდან, ისე გადიან,

და სულში რჩება არნახული სიცარიელე,
ახლა ეთარგი ტრაგედიის განაგრძობს თამაშს,
ხარხარებს ეშმა – სამყაროთა ბრმა მორიელი:
პოეტის დრამა! დაწყევლილი პოეტის დრამა!..

1998



● წელიწადზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თემურ გერსამია. ამ პოსტზე მისმა დანიშვნამ თავის დროზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი გამოიწვია. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მას ფარმაციასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, სპეციალობით გინეკოლოგია, და, საერთოდ, ამ თანამდებობაზე იმიტომ მოხვდა, რომ ჯანდაცვის მინისტრის თანაკურსელიაო. მეორენი ირწმუნებოდნენ, რომ იგი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია და ფარმაციის დარგში უცხოურ ფირმებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვსო. ერთში ორივე მხარე ერთმანეთს ეთანხმებოდა – თემურ გერსამია რაფინირებული ინტელიგენტი და შესანიშნავი ტრადიციების მქონე ოჯახიშვილიაო...

პირადად მე მას არ ვიცნობდი და როდესაც ინტერვიუს ასაღებად ვეწვიე, ვცდილობდი არც ერთის და არც მეორე მხარის გავლენის ქვეშ არ მოვქცეოდი. თუმცა, ინტერვიუს დასრულებისას აღმოვაჩინე, რომ ორივე მხარის მოსაზრებებში იყო რაღაც ჭეშმარიტება...

თემურ გერსამია: დაიბადა 1950 წელს თბილისში, პროფესორ ვლადიმერ გერსამიას ოჯახში, რომლის სახელმძღვანელო „სამკურნალო საშუალებები" დღესაც აქტუალურია. დედა, და, მეუღლე – ექიმები არიან. ჰყავს ქალ-ვაჟი. სკოლა მედალზე, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ასპირანტურა მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა.

საუბრის დაწყებისას არ დამიმალავს თუ რა მოარული აზრების კორიანტელი დააყენა თბილისში მისმა დანიშვნამ. ეტყობოდა, რომ მასაც ჰქონდა მოკრული ყური თბილისისათვის ჩვეულ მითქმა-მოთქმაზე (არ დავმალავ, დამიპყრო მისმა უშუალო და რაღაც არაჩვეულებრივად მოკრძალებულმა ღიმილმა) და მისმა რეაქციამ: ყველამ თავის ქვეყანაში უნდა იცხოვროსო.

შვიდი წელი ვმუშაობდი საზღვარგარეთ სწორედ ფარმაციის დარგში და როდესაც შვებულებით თბილისში ჩამოსულს ჯანდაცვის მინისტრმა, რომელსაც ახლოს ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ, შემომთავაზა სამშობლოში დაბრუნება, ძალიან გამეხარდა. მაგრამ მაშინვე არ დავთანხმებულვარ – საკმაოდ ბევრი ვიფიქრე იმაზე, მართლაც ვარ აქ საჭირო თუ არა, შემიძლია კი რაღაც ძვრები მოვახდინო ქართულ ფარმაციაში... და, როდესაც, ყოველივე გავაანალიზე, პირადად გავეცანი აქ არსებულ სიტუაციას, დავრწმუნდი, რომ ჩემი გამოცდილება, შესაძლოა, გამოდგომოდა ქვეყანას. მხოლოდ ამის შემდეგ დავთანხმდი, თუმცა, საკმაოდ კარგად ვიყავი მოწყობილი, ვმუშაობდი ჰოლანდიაში, რუსეთის და ყოფილ საბჭოთა ქვეყნების ფარმაციის მენეჯერად, ბევრს ვმოგზაურობდი, გავეცანი დარგის მსოფლიო მოწინავე გამოცდილებას. არც მატერიალურად მიჭირდა, არც უშუქობა და სხვა აქაური დისკომფორტი მაწუხებდა, მაგრამ სულითა და გულით აქ, საქართველოში ვიყავი და როგორც კი საშუალება მომეცემოდა, თუნდაც ტაშკენტში ან ვლადივოსტოკში ვყოფილიყავი, საქართველოში „შემოვივლიდი"...

ოდნავ უცხოურ აქცენტით, მაგრამ ბრწყინვალე ქართულით ბატონი თემური მეუბნება: არ ვიცი ბედისწერა იყო ეს თუ კიდევ სხვა რაიმე, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის მახვედრებდა ნამდვილ მეცნიერებს და კეთილშობილ, უანგარო ქომაგებს.

სწორედ ასეთი შეხვედრა იყო დიდ მეცნიერთან და შესანიშნავ მოქალაქესთან კონსტანტინე ჩაჩავასთან, რომელმაც სხვებში გამოარჩია წარჩინებული ახალგაზრდა მედიკოსი და მოსკოვში, სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის კათედრაზე გაგზავნა მიზნობრივ ასპირანტურაში. შემდეგ იყო დისერტაცია ფარმაკოლოგიის დარგში, მუშაობა ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტში და ბოლოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

– დღეს შეგიძლიათ ისაუბროთ ერთი წლის მუშაობის შედეგებზე?

– რა თქმა უნდა. თუმცა, პირდაპირ უნდა გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ უფრო მოკლე ვადაში მოვახერხებდით დარგში გარდატეხას. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. თუმცა, დღეისათვის მკაფიოდ გამოიკვეთა ამოცანები და მეც და ჩემი გუნდიც დარწმუნებული ვართ, რომ სწორ გზაზე ვდგევართ. ეს კი დღეს ჩვენს დარგში ბევრს ნიშნავს, რადგან წარსულთან შედარებით დიამეტრალურად შეიცვალა მუშაობის პრინციპები, წამლის ბაზარი და მისი მოთხოვნა, ავადმყოფის მატერიალური მდგომარეობა და მისი ფსიქოლოგიური აზროვნება წამალთან მიმართებით.

არჩეული სწორი გზის გასაკვალად ჩვენ ხელთ გვაქვს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ფარმაციის შესახებ. მართალია ჯერჯერობით იგი ვერ არის მთლიანად ამოქმედებული და ამას ხელს უწყობს ჩვენი ეკონომიკის დუხჭირი მდგომარეობა, მაგრამ იგი რეალურია და ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ის ცხოვრებაში გავატაროთ. უფრო მეტიც – დღენიადაგ ვიმუშავებთ მის სრულყოფაზე, რადგან ეს პერმანენტული პროცესია და იგი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. ამ ეტაპზე მთავარია სახელმწიფომ მთლიანად გააკონტროლოს სიტუაცია, ხოლო ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში ყოველმა კერძო აფთიაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეპატრონემ ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს, რომ კანონს არ უნდა გადაუხვიოს და თავისი ბიზნესი წარმართოს სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

– რა მოცულობის წამალი ტრიალებს ჩვენს ბაზარზე და საიდან შემოდის იგი?

– ბრუნვა საკმაოდ დიდია – დაახლოებით წელიწადში 80 მილიონი დოლარის ფარგლებში. წინა წლებში იყო ჰუმანიტარული დახმარება, ამჟამად იგი მკვეთრად შემცირდა, შეიძლება ითქვას არ არსებობს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდია ჩრდილოვანი ეკონომიკის გზებით შემოსული წამალი, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. მაგრამ განუსაზღვრელია იმ წამლების მიერ მიყენებული ზარალი ადამიანების ჯანმრთელობაზე, რომლებიც არ არის ლიცენზირებული, ვადაგასულია, ხშირად უბრალოდ ფალსიფიცირებულია, რომ არაფერი ვთქვათ მის შენახვის და სანიტარული ნორმების დაცვის შესახებ.

დღეს საქართველოში წამალი მსოფლიოს 45 ქვეყნიდან შემოდის. გაიზარდა წამლების მოწოდება საფრანგეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხეთიდან და სლოვენიიდან, ამაღლდა წამლების ხარისხი.

– რა მდგომარეობაა ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზის განვითარების მხრივ?

– აი კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვენი საზრუნავი. მდგომარეობა უმჯობესდება. უკვე დღეს გარკვეული წამლებით – ვალერიანი, ასპირინი და სხვა არა თუ ვაკმაყოფილებთ ქვეყნის ბაზარს, არამედ, მაგალითად, შარშან ორ მილიონ ნახევარ დოლარზე მეტი საქართველოში წარმოებული პრეპარატები გავიტანეთ რუსეთში და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მუშაობა ამ მიმართებით აქტიურად მიმდინარეობს და ვფიქრობ, საქართველოს ახლო მომავალში თუ სათანადო ეკონომიკური პირობები შეექმნება, საშუალება ექნება თვით აწარმოოს ყველა სახის წამალი, – გახდეს მსოფლიო ფარმაციის მოწინავე ნაწილი. ამისათვის მას შესანიშნავად მომზადებული კადრები გააჩნია, განსაკუთრებით კი მცენარეული წამლების წარმოების დარგში.

– ბატონო თემურ, თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ძვირია დღეს წამალი და როგორ იზრდება მისი ღირებულება დოლართან შეფარდებით. არსებობს სპეციალურად დაუცველი ფენისათვის რაიმე შეღავათები?

– საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გამოვიყენოთ ამ მხრივ მსოფლიო გამოცდილება. სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს წამლის ფასები, მანვე უნდა აიღოს თავის თავზე დაუცველი ფენისათვის შეღავათების გაწევა, წამლის სტრატეგიული (მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები და ა. შ.) მარაგის შექმნა.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საკითხი წინა წლებში, როდესაც ჰუმანიტარული დახმარება შემოდიოდა, უფრო კარგად წყდებოდა. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები, წამლის უფასოდ გაცემა გარკვეულ მძიმე დაავადებებისას და სხვა. ჩვენზეა დამოკიდებული თუ როგორ გავუძღვებით საქმეს და ჩვენს ხელთ არსებული თანხებით როგორ დავაკმაყოფილებთ გაჭირვებულ ადამიანებს, და ეს, მერწმუნეთ, დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავია.

– მიუხედავად კანონის სიმკაცრისა კვლავ აქტუალური რჩება წამლის „ველური" ბაზრის არსებობა. რა ღონისძიებებს ატარებთ მის წინააღმდეგ?

– პირველ რიგში ვქმნით ისეთ პირობებს, რომლებიც არალიცენზირებული წამლის რეალიზაციას შეუძლებელს გახდის. გარდა ამისა დავამყარეთ კონტაქტები საბაჟოსთან და შეერთებული ძალებით უნდა აღუდგეთ ამ ყოვლად დაუშვებელ მოვლენას.

– როგორც ჩანს პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, პერსპექტივაზე რას იტყვით?

– უპირველეს ყოვლისა ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოება უნდა აღდგეს, გაფართოვდეს და მთელი დატვირთვით იმუშაოს. საბაზრო ეკონომიკა და კონკურენცია თანდათან თვით დაარეგულირებს სიტუაციას, მაგრამ ყოველივე ამას ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი და ასეც ვიზამთ. მე მტკიცედ მჯერა, რომ სულ მალე აზრს დაკარგავს სააფთიაქო ჯიხურების არსებობა, გაძლიერდებიან წარჩინებული აფთიაქები, ისინი, ვინც ავადმყოფებს ხარისხიან წამალს მიაწვდიან, კეთილმომსახურეობას გაუწევენ მომხმარებელს, დააბრუნებენ წამლის რეცეპტით დამზადების პრაქტიკას და ასე შემდეგ.

მომავალში უფრო უნდა გავაღრმავოთ კონტაქტები მსოფლიოს ცნობილ ფარმაცევტულ ფირმებთან. ამისათვის გვესაჭიროება ახალგაზრდა ფარმაცევტები, რომლებსაც უნარი შესწევთ ახლებურად იაზროვნონ, იციან უცხო ენა და შეუძლიათ კომპიუტერთან მუშაობა.

ბატონმა თემურმა ისიც თქვა, რომ იგი ეძებს ასეთ სპეციალისტებს და მათი სურვილის მიხედვით დაასაქმებს კიდეც.

მჯერა, რომ ამ ღრმად ერუდირებულ ახალგაზრდა კაცს შესწევს უნარი და გამოცდილება მართლაც გარდატეხა მოახდინოს სამამულო ფარმაციაში და, როგორც იგი ამბობს გახადოს ქართული ფარმაცია მსოფლიო ფარმაციის განუყოფელ ნაწილად.

ნათელა ჯიღაური (მარცხნიდან მეორე) და ანზორ ერქომაიშვილი უცხოელ სტუმრებთან.

ძველი პლეხანოველები, უფრო ადრე კი მიხაილოვის გამზირის მკვიდრი ძირძველი თბილისელები მუდამ ამაყობდნენ თავიანთი კოლორიტული უბნებითა და შემოგარენით. მათი სიამაყე და გამორჩეულობა იმითაც დაგვირგვინდა, რომ ქალაქის ამ ერთერთმა მთავარმა ქუჩამ დავით აღმაშენებლის უკვდავი სახელი დაიმკვიდრა.

საქართველო და თბილისი ხომ მუდამ ანდამატივით იზიდავდა ახლო თუ შორეულ სტუმარს; მისი განუმეორებელი ხიბლი და სტუმართმოყვარეობა არა ერთი მათგანის შთაგონების წყარო თუ შემოქმედების უშრეტი მუზა გამხდარა. მათ შორის იყვნენ: მ. ბალაკირევი, პ. ჩაიკოვსკი, ი. სტრავინსკი, ს. პროკოფიევი, თ. შალიაპინი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, მამა დიუმა, ლ. ტოლსტოი, ვლ. მაიაკოვსკი და მრავალი სხვა. ისინი თავიანთ მოგონებებში დიდი სიყვარულით იხსენებენ საქართველოში გატარებულ დღეებს. მაგალითისთვის დიუმას „კავკასია“ და გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ იკმარებდა.

აი, რას წერს შალიაპინი თავის მოგონებებში: „მე ორჯერ დავიბადე: სიცოცხლისთვის ყაზანში და მუსიკისთვის თბილისში, მე შემთხვევამ მომიყვანა თბილისში – ქალაქში, რომელიც ჩემთვის სასწაულებრივი აღმოჩნდა“.

ქართულ ხალხურ მუსიკასა და სიმღერებში ჰპოვა საკუთარი შთაგონების წყარო რუსმა კომპოზიტორმა მ. ბალაკირევმა. იგი მოიხიბლა საქართველოთი და ქართული მუსიკალური კულტურით. მანვე პირველმა ჩაწერა ქართული ხალხური მელოდიები და ხოტბა შეასხა მის შემსრულებელთა მაღალ მუსიკალურ კულტურას.

სწორედ ბალაკირევის სახელთანაა დაკავშირებული თბილისელთათვის და მეტადრე „პლეხანოველთათვის“ კარგად ნაცნობი „არტოს ბაღის“ ისტორია.

1863 წელს თბილისში ჩამოსვლისას ბალაკირევს მიხაილოვის გამზირზე მდებარე ბაღში ჩამოუყალიბებია „მსახიობთა საზოგადოება“ – არტისტიჩესკოე ობშესტვო“ – შემოკლებით – „არტო“.

მას შემდეგ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო. ამ ადგილს კი დღესაც „არტოს ბაღით“ იხსენიებენ თბილისელები.

დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე ამ ბაღში გამოდიოდნენ საქვეყნოდ ცნობილი მომღერლები და კომპოზიტორები: ვანო სარაჯიშვილი და ია კარგარეთელი, თ. შალიაპინი და ფ. ქორიძე, პირველი ქართული გუნდი ი. რატილის ხელმძღვანელობით...

საკონცერტო დარბაზის პირდაპირ იყო გალერეა, სადაც ყოველდღე ტარდებოდა სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციები ივანე და ზაქარია ფალიაშვილების დირიჟორობით.

„არტოს ბაღი“ ამაყობს ხელოვანთა და მუსიკოსთა მთელი პლეადით. აი, ზოგიერთი მათგანი: ვასო გოძიაშვილი, ნოდარ ჩხეიძე, თეიმურაზ გოცაძე, ლევან კასრაძე, იოსებ კეჭაყმაძე, ჟანრი ლოლაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, ვახტანგ სულაქველიძე, მიგრან დოშოიანი, გოჩა დეისაძე პირველი ლოტბარი, რომელმაც გოგონათა კაპელა ჩამოაყალიბა, „ჩუქურთმად“ მონათლული გივი მუნჯიშვილი. ანზორ ერქომაიშვილის, ფრიდონ სულაბერიძისა და ომარ კელაპტრიშვილის მოწვევით ხომ ქართული ხალხური შემოქმედების ახალ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი.

„მსახიობთა საზოგადოებამ“ მოგვიანებით პიონერთა და მოსწავლეთა პარკს დაუთმო ასპარეზი და ყოველ ზაფხულს ეს მშვენიერი კერა ასობით ბავშვსა და მოზარდს მასპინძლობდა. 1965 წლიდან კი მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლად გადაკეთდა და ქალაქის განათლების განყოფილებას დაექვემდებარა.

იმ დღიდან მოყოლებული მისი მოამაგე და უცვლელი დირექტორია ქალბატონი ნათელა ჯიღაური.

მის შესახებ ადრეც მსმენოდა. ჩვენი რედაქტორის მოადგილე – ქალბატონი გულნარა ბახტაძე მიყვებოდა ხოლმე ხშირად. ისინი ხომ მერხის მეგობრები იყვნენ და ბევრი რამ ჰქონდა მასზე მოსაგონარი ბავშვობის იმ გაუხუნარი ხანიდან.

და აი, ზამთრისთვის უჩვეულოდ თბილი იანვრის ერთ დილას, როცა ახლანდელ დავით აღმაშენებელს ფეხით დავუყევით, ქალბატონ გულიკოს თავისი მშობლიური უბნის ნოსტალგია მოეძალა, თანაკლასელის მონატრების სურვილმაც იმძლავრა და „არტოს ბაღში“ შევუხვიეთ.

იმედმა გვიმტყუნა. „არტოს ბაღის“ ძველი სიკეკლუცე და მომხიბვლელობა სადღაც გამქრალიყო. ავბედობის დროს მოშურნის მიერ გაჩენილ ხანძარს მსახვრალი ხელი დაემჩნია მისთვის. ქალაქის ყოფილი მესვეურების, ხელშეწყობითა და თანადგომით მხოლოდ ექვსი ოთახის აღდგენა მოეხერხებინათ.

– ერთადერთი, რაც მაშინ ხანძარს გადაურჩა, ის უნიკალური საკონცერტო დარბაზია, რომლის აკუსტიკა და ჟღერადობა ტოლს არ დაუდებს თბილისის ცნობილ სხვა საკონცერტო დარბაზებს. – მითხრა ქალბატონმა გულიკომ.

...ვისხედით დირექტორის ერთ პატარა და მყუდრო ოთახში, ქალბატონი ნათელა დიდხანს გვესაუბრა ამ „საუფლოს“ ავან-ჩავანზე. ან კი სასაუბროს რა გამოულევდა. ხუმრობა საქმე როდია ოცდათხუთმეტი წელი ერთ საქმეს შეალიო, ემსახურო მას თავდადებით, ერთგულებით, ენთუზიაზმით...

დიდი სითბოთი და სიყვარულით მოიგონა ის ადამიანები, რომელთა ხელშეწყობითაც ქალბატონმა ნათელა ჯიღაურმა მრავალი სასიკეთო, სამომავლო და საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეძლო.

– ნინო ჟვანიას, შალვა ბერიანიძის, სოლიკო ხაბეიშვილის, ლევან ჩიქვანაიას, თეიმურაზ ეგაძის, ნიკო ლეკიშვილის, ბაღრი შოშიტაიშვილისა და სხვათა თანადგომა რომ არა, მარტო ვერაფერს გავაწყობდიო – დასძინა.

მართლაც რამდენი რამ შეძლო და „გააწყო“ წლების მანძილზე ამ ვაჟკაცური შემართებისა და ქალური კლდემამოსილების ქალბატონმა. ბავშვების – ჩვენი მომავალი თაობის სწორი არჩევანის გასაკეთებლად, მათი სულიერი საზრდოს გასამდიდრებლად, ნათელი მომავლის დასამკვიდრებლად.

ის მუდამ ახლის ძიებაში იყო, ეძებდა გზებს უკეთესის მისაღწევად, სიახლის დასანერგად. სწორედ ამ სურვილით შეპყრობილს ერთხელ იმ ხანად მათთან „შეკედლებული“ ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელის, ხალხური სიმღერის უდიდესი ქომაგისა და მემატიანის ბატონ ანზორ ერქომაიშვილისთვის უთქვამს:

– ჩვენს დაწესებულებაში ათასამდე ბავშვია გაერთიანებული. გვყავს მოცეკვავეთა ჯგუფი, გოგონათა კაპელა, მხატვრული კითხვის წრე, საბავშვო თეატრი, საესტრადო ანსამბლი და სხვა. არა გვყავს ბიჭუნების გუნდი, იქნებ ვიფიქროთ ამაზე?

– კარგი აზრია, სიმღერა ხომ ერის სულიერი სარკეა... არაფერი ინახავს ისე მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა. სიმღერა მარადიულია, როცა იგი თაობებს მიჰყვება, ხოლო კვდება, თუ მას ახალგაზრდობა ივიწყებს, თუ გინდა ხალხური სიმღერა შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო, თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე იგი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, ამით ძველი ტრადიციებიც გადარჩება – ხატოვნად უპასუხნია ბატონ ანზორს.

ანზორ ერქომაიშვილის, ფრიდონ სულაბერიძისა და ომარ კელაპტრიშვილის მოსვლის შემდეგ მხატვრული აღზრდის სახლმა ფოლკლორის მიმართულება მიიღო და 1990 წელს ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლედ გადაკეთდა. მათივე ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სიმღე-

ქართველი ჭვლეავს ქართველოს...

საბავშვო თეატრი „ცეტები“

რისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“.

ორი ათეული წლის მანძილზე ბიჭუნათა ანსამბლმა „მართვემ“ ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ნორჩმა დესპანებმა ქართულ ხალხურ სიმღერასა და ქართულ ხელოვნებას აზიარეს მათი ნიჭის ასობით და ათასობით თაყვანისმცემელი. „ჩაკრულოს“, „წინწყაროს“ „ხასანბეგურას“, „მრავალჟამიერსა“ და სხვა ათეულობით ხალხურ სიმღერას აღფრთოვანებაში მოჰყავდა მსმენელი...

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ბატონ ანზორ ერქომაიშვილის „მართვე“ 20 წლისაა“, რომელშიც უზადო მხატვრულობით, საინტერესოდ და მიმზიდველადაა მოთხრობილი ბავშვთა ამ საოცარი ანსამბლის წარმატებებსა და მიღწევებზე, იმ ძალისხმევასა და მონდომებაზე, რისი მეოხებითაც „მართვემ“ აღიარება და თაყვანისცემა მოიპოვა.

„კაცობრიობის უმაღლესი მუსიკა“, „საოცარი ხმების ორკესტრი“, „მდიდარი სულის ჟღერადობის ჰარმონია“, „უმაღლესი მუსიკა, შექმნილი ადამიანის მიერ“ და კიდევ ვინ მოთვლის, რა და რა დითირამბებით არ შეუმკიათ უცხოურ პრესაში ჩვენი ბიჭუნების ხელოვნება.

პოლონეთიდან ერთ-ერთი გასტროლების შემდეგ დაბრუნებულმა „მართვემ“ თბილისში საანგარიშო კონცერტი გამართა. გაზეთებში ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა მათზე. ხოლო ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა თაყვანისცემის ნიშნად „მართვეს“ ლექსი მიუძღვნა.

ქალბატონი ნათელა ჯიღაური ყველა ამ წარმატების მონაწილე და მოწმეა. იგი ყველგან ახლდა „მართვეს“ და მათ სიხარულსა და წარმატებას იზიარებდა. დედასავით გვერდში ედგა ჩვენს ბიჭებს და მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა.

ტრადიცია გრძელდება. დღეს აქ, ოთხი განყოფილების სხვადასხვა წრეებსა და მოსამზადებელ ჯგუფებში ასობით ბავშვი ეწაფება სიმღერის, ცეკვის, ხატვის, მხატვრული კითხვისა თუ თეატრალური ხელოვნების რთულ ანა-ბანას.

პირველ საბავშვო თეატრს აქ ჯერ კიდევ 1970 წელს ჩაეყარა საფუძველი გოგი თოდაძის ხელმძღვანელობით. მაშინდელ აღსაზრდელთაგან ბევრი დღეს გამოჩენილი მსახიობია. მათ შორისაა მამუკა კიკალეიშვილი, ედიშერ გარაყანიძე, ცხუმ აფხაზეთის მეუფე დანიელი, კოტე ლეკიშვილი (მ. თუმანიშვილის თეატრის მსახიობი) და სხვები.

ხუთი წლის წინ გიორგი სიხარულიძისა და კოტე ლეკიშვილის მცდელობით თეატრი კვლავ აღდგა. ნიშანდობლივია, რომ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსზე ორმოცდაათ საბავშვო კოლექტივს შორის „ცეტებმა“ „გრან-პრი“ დაიმსახურა.

ეჭვგარეშეა, უკვე სახელმოხვეჭილ ხელოვანთა რიცხვს ბევრი დღევანდელი აღსაზრდელიც შეემატება და თუ ყველა მათგანი დიდი ხელოვანი არ გახდება, ერთი რამ ცხადია, ისინი ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავლებად გაიზრდებიან და მათში სიმღერის, ერთურთისა და სამშობლოს სიყვარულს ღრმად ექნება ფესვები გამდგარი.

ეს კი ქალბატონ ნათელა ჯიღაურისა და აქ მომუშავე სხვა აღმზრდელ-პედაგოგთა უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

„არტოს ბაღი“ უნდა გადარჩეს, მას დავიწყების ჯანღი არ უნდა გადაეფაროს, როგორც სიმბოლო მარადიული ხელოვნებისა.

საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელსა და „ღირსების ორდენის“ კავალერს ნათელა ჯიღაურს კიდევ ბევრი სასიკეთო და სამომავლო საქმის გაკეთება ძალუძს თუკი მას გვერდში ამოუდგებიან, თუ კი მის თხოვნასა და გასაჭირს გულთან მიიტანენ, ვისაც ეს ხელეწიფება.

ხელოვნების ამ უძველეს და ტრადიციულ კერაში იმდენი სასიკეთო საქმე კეთდება, ღირს მასზე უთუოდ დაფიქრება.

***

ბაღის გასასვლელთან ახლოს ჩამწკრივებულ ოთახებში პატარა მომღერლებსა და მხატვრებს მეცადინეობა ჰქონდათ. ერთმა ბიჭუნამ „წინწყარო“ წამოიწყო, მეორემ „ჩაკრულო“ შემოსძახა და თითქოს ერთბაშად დათბა. ეს სითბო იმ ბავშვების გულიდან მოდიოდა, რომელიც ქართული ხალხური სიმღერის სიყვარულთან ერთად სამშობლოს სიყვარულითაც ფეთქავს.

ვუსმენდით პატარებს და ახლა უფრო ნათლად ვგრძნობდით იმ ამაღლებულ განწყობილებას, რომელიც პოეტმა „მართვეს ადმი“ მიძღვნილ ლექსში ჩააქსოვა:

„იმღერე, ორბის მართვეო, მღერით გადახვალ ჯებირსა, ქართველი კვლავაც ქართველობს, დღე დადგა გამარჯვებისა“...

მოვდიოდით და დიდხანს მოგვაცილებდა პატარა ბიჭუნების წკრიალა ხმები. ეს „არტოს ბაღელების“ იმედიანი შემოძახილი იყო.

ნიკოლორთქიფანიძე

თეთრი მიმინო

ნიკო ლორთქიფანიძე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ისტორიულ რომანზე ლაშა-გიორგის შესახებ – „თეთრი მიმინო“.

ამ რომანის მთავარ გმირთა შორის არიან ორნი ძმანი – შოტლანდიიდან, ჯერ ბიზანტიაში და შემდეგ საქართველოში გადმოხვეწილნი. ვაქვეყნებთ მცირე ნაწყვეტს ამ რომანიდან.

***

– დაგვხვრეტენ...

– მგონი...

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ პირველმა ისევ განაგრძო:

– შეცდომა დავუშვით...

– რა?

– არ უნდა წამოვსულიყავით.

– შეუძლებელი იყო დარჩენა.

– ჩემი ბრალია... მე უნდა დამეთმო.

– მე გთხოვე, მაგაზე თავის დღეში აღარ დაგვეწყო ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, მე უნდა გამომეჩინა მეტი გონიერება.

– ნუ მიწყენ, ძმაო, მაგრამ რაღა კეისარს მოვაშურეთ – სხვა ქვეყანა აღარ იყო?

– არა, სწორედ რომ აქ სჯობდა. მხოლოდ აქ შეიძლება ისეთ ამბავს შეხვდეს კაცი, როგორსაც ჩვენ ვეძებთ... ევროპაში – საფრანგეთში, ჩვენ ყოველთვის წავაწყდებოდით ჩვენებს და მუდამ...

– განსაცვიფრებელი კი არის ეს ვიღაც ახალი მეფეა...

– თავხედი უნდა იყოს... რა საჭირო იყო ასეთი თავის გამომეტება, როცა კეისარს თუ შეუერთდებოდა, გამარჯვებითაც ადვილად გაიმარჯვებდა და ჩვენც არ ჩაგვაგდებდა ასეთ ხიფათში.

– ვინ იცის, რა მიზანი აქვს. შეიძლება, ჩვენსავით თავზე ხელი აქვს აღებული, შეიძლება, მისთვის საჭიროა ვისმე დაუმტკიცოს (კეისარს ან თვით ურჯულოთ), რომ მარტო მას შეუძლია სძლიოს მტერს.

– რაღაც ზღაპრული ხალხი კი მოჰყვა. მიაქციე ყურადღება მათ თვალტანადობას, რაშებივით ცხენებს. თუ მთელი ერი მასეთია, რაღაც საზღაპრონი უნდა იყვნენ...

მე ყველაზე უფრო იმ შავით გამოწყობილმა კაცმა გამაკვირვა, თვით მეფეს რომ ახლდა და მერმე ჩვენ დაგვედევნა.

– ჰაი, ჰაი, რომ საკვირველი იყო ყაბალახი, შავი... არავითარი იარაღი, გარდა ხმალისა...

– არა, მაგი არაფერია, მეფის ბრძანებით იგი სულ მე დამყვებოდა. ერთი ხმალი მტრისთვის არ მოუქნევია, მხოლოდ მოქნეულს იცდენდა და მე მიფარავდა. მე ცოცხალი აღარ გეყოლებოდი, რომ მას სასწაული არ მოეხდინა.

– რა იყო?

– ვიღაც სარკინოზმა ხმალი მომიქნია, როცა მე სხვას ვერკინებოდი. ცალი თვალი მოვკარ გასაჭირს და ერთი „ავე მარია“ გავიფიქრე, მაგრამ ამ დროს მის ხმალს ისეთის ხერხით შემოკრა შავად ჩაცმულმა თავისი ხმალი, რომ ხელიდან გავარდნილმა ხმალმა ტარი სახეში მოარტყა პატრონს... რა თქმა უნდა, დაიბნა მეომარი... შავადმოსილი კი ხმლითვე მიჩვენებდა სრულიად დამემორჩილებია მტერი... შევკარი კიდეც.

– რა იქნა, ნეტავ, ის ყმაწვილი?

– ეჰ, მე ვერ გავუწიე შესაფერი დახმარება... ორი მოვარდა ჩვენთან... შუბებით. შავიანმა მოასწრო და შუბის წვერი ლეკურით გადაუჭრა, მაგრამ გადამტვრეული ხის ჯოხიც საკმარისი იყო, რომ ჭიპი შეენგრია უიარაღო კაცისთვის... ცხენიდან გადმოვარდნილს უსინდისოდ ბეჭთან გადასხიპა მკლავი... სისხლიდან იცლებოდა. აქიმი არსად იყო... მინდოდა მე თვითონ მივხმარებოდი, როგორც შემეძლო, თუმცა ასეთი ჭრილობის მე არაფერი ვიცი, მაგრამ აქაც ის უცნაური ხალხი მომვარდა და დამიშალეს, თითქოს მეუბნებოდნენ, არ შეიძლებაო. ვერაფერი გავიგე... თვითონაც კი გადარჩენილი ხელით მაჩვენებდა, არ მომეკაროვო... სრულიად დავიბენი. მხოლოდ ბოლოს გამომიშვირა მარჯვენა ხელის სალოკი თითი, რომელზედაც აი, ეს ბეჭედი ჰქონდა... მივხვდი, უნდა მომეძრო.

მეორე ტუსაღმა ხელი შეუსვა ბეჭედს და შენიშნა:

– აქ რაღაც ნიშნები უნდა იყოს.

– დიახ, ნიშნებია! მგონი მათებურად რაღაც აწერია.

– მერე, მერე?

– ჰო და, ბეჭედი მოვაძვრე. როცა შემდეგ იმ ადგილას ჩამოვიარე... სისხლიდან სრულიად დაცლილი დამხვდა. გულზე

ედვა ხისგან საჩქაროდ გაკეთებული ჯვარი...

– მერე ვერ გაიგე, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს?

– ვიკითხე, მაგრამ გარკვეული ვერაფერი გავიგე, მითხრეს, ასე უნდაო... მერმე მეც დამიჭირეს და არ ვიცი, რას მივაწერო.

– არც ჯავშანი და არც მუზარადი; სხვას არ უტევდა და იგერიებდა მხოლოდ. ყველაზე უფრო სახიფათო ადგილას ვარდებოდა. ჯერ მეფეს დაჰყვებოდა ფეხდაფეხ და მერე შენ გამოგსდია. მოკლული არ დაასაფლავეს. დიდი კაცი უნდა ყოფილიყო და გამოცდილი და გამოწვრთნილი მეომარი... საკვირველია, აქაც რაღაც საიდუმლო უნდა იმალებოდეს.

ასე მუსაიფობდა სრულიად ბნელ საკანში ორი პატიმარი.

შორით გაისმა კარების ჭრიალი.

– მოდიან, მგონი.

– დიახ და მოემზადე.

– ქრისტიანები არიან. სალოცავ დროს უეჭველია, მოგვცემენ.

– არ შედრკე. ყოველივე უფლის ხელთ არის... ამას ვეძებდით ხომ, ძმაო, და ვპოვეთ, თუმც უსამართლოდ და არა ბრძოლის ველზე.

– არ შევარცხვენ მეფეს მით უმეტეს, შენ მეყოლები მაგალითის მაჩვენებლად.

– ერთმანეთს ბეჭებზე მკლავი გადაადვეს, მაგრამ, როცა უკანასკნელი კარის ბოქლომმა ზრიალი მოადინა, ერთმანეთს დაშორდნენ და მცველებს გულგრილად შეხვდნენ.

– კარებში შემოსულ მცირე სინათლეზე პატიმრებმა დაინახეს რამდენიმე დარაჯი, რომელთაგან ერთი ხელს უჩვენებდა გასავლისკენ – ეპატიჟებოდა მიბრძანდითო, ხოლო მეორე, ვითომდა თარჯიმანი, ძნელად გასაგები ინგლისურით ეუბნებოდა, მიბრძანდითო.

– უკვე მოაწია ჟამმა?! – ზედმეტის სიდინჯით ჰკითხა ერთმა პატიმართაგანმა.

– არა, არა, თქვენ გიძახიან მხოლოდ.

უფროსი პატიმარი ხალისით წამოდგა და ერთმა ნაბიჯმა უკვე კიბესთან მიიყვანა, მაგრამ იქ შეჩერდა და უფროსი წინ გაუშვა.

– რა უნდა იყოს ჩვენს თავზე? – დაეკითხა ძმას უმცროსი.

– არ მესმის... ვნახოთ, რა იქნება.

პატიმრები ჩაატარეს სასახლის მთავარ კარებს, სასამართლოს, გააშორეს ბაღს, შეუხვიეს და სტუმრებისათვის მიჩენილ დიდ შენობასთან გააჩერეს.

გამოეგებენ კარისკაცები.

– ეს ქართველები არიან... ამათ რაღა უნდოდათ?

– მოიცა, ვნახავთ.

პატიმრები მეფეს წარუდგინეს.

– ლათინური იციან? – იკითხა მეფემ.

– არა, მეფეო.

– მაშ, თარჯიმანი.

– გახლავთ.

– მაშ, გადაეცი, რომ მაგათი თავი მეფემ მე მიბოძა.

– ჩვენი თავის გაცემა არავის შეუძლია, ეს ერთი, და მეორეც – ჩვენ თავისუფალი კეთილშობილნი ვართ და უიარაღოდ მეფესთან ბაასი არ შეგვიძლია, თუ რაიმე ბრალს არ გვდებს მეფე, ანდა პატიმრად არ გვთვლის.

მიართვით ორთავეს ხმალი... და შენ, თარჯიმანო, გადაეცი ამ ვაჟკაცებს, რომ მათი იარაღისა და სარჩო-საბადებელის მიღება ვერ მოესწრო, რადგან, სანამ დიდი კეისრის მოხელენი თანაბარ განკარგულებას მოახდენდნენ, მე ვარჩიე მათი ჩემთან მოწვევა.

– მადლობელი ვართ მეფის! – უპასუხა ორივემ ერთად, თითქოს გაწვრთნილი ჯარისკაცები ნაბრძანებ სიტყვებს იმეორებენო და ორივემ ცალ-ცალი მუხლი მოხარა.

– თქვენ მეფე განგირისხებიათ, დამნაშავე კი მე ვარ მეფის თქვენდამი რისხვაში, ამიტომ ვთხოვე მეფეს, შეცოდება თქვენი ახალგაზრდობისათვის ეპატიებინა, და თუ თქვენც გსურთ, თქვენც ჩემთან წამოსულიყავით სამუდამოდ. მე ვნახე თქვენი ვაჟკაცობა. ვიცი, რომ დიდი კაცის შვილები უნდა იყოთ, რაღაც საიდუმლო გაიძულებთ, სამშობლო მიატოვოთ და ახალ სამშობლოში თქვენი ვაჟკაცობა და გონიერება სასარგებლო დარჩებოდა.

– მეფეო, ჩვენ ორი ძმა ვართ. ჩვენის ნებით გამოვეთხოვეთ მეფეს... არა იმიტომ, რომ ან ჩვენი ყმის ან ჩვენი მეფის უკმაყოფილო ვიყოთ, არა იმიტომ, რომ ვეძიოთ ხიფათი და ნადავლი, თუმცა გაჭირისა და ხიფათისა არ გვეშინია, თუ იგი ქრისტეს სადიდებლად ან მეფის სასახელოდ იქნება მიპყრობილი. მიზეზი, თუ რად მივატოვეთ ტოლ-ამხანაგები, მეფე დიდებული, სამშობლო საყვარელი (ჩვენ ახლო ნათესავები არ გვყვანან), დარჩეს ჩვენთან, ნუ მოგვთხოვ მის გამჟღავნებას, როგორც არ მოგვთხოვა ჩვენმა მეფემ და გვენდე, რომ მასში სამარცხვინო არა ურევია რა.

– მჯერა და არ გთხოვთ... – ბრძანა მეფემ.

– ჩვენი სამშობლოდან აქამდისაც ბევრი ადგილი გამოვიარეთ. მრავალი მეფე, ჰერცოგი და მთავარი ვნახეთ. ხშირად გვეპატიჟებოდნენ, დავრჩენილიყავით, მაგრამ სიტყვაც არავისთვის მიგვიცია და ყველას პატიებას ან დროს ვთხოვდით მოსაფიქრებლად. მაგრამ თქვენთან ბედმა საკვირველად შეგვყარა. თქვენი ხელქვეითების სიჩაუქე, თქვენი ქვეყნის შესახებ გაგონილი ამბები, თქვენი გულკეთილობა თითქმის გვეუბნება, რომ თქვენთან უნდა ვეძიოთ ახალი ოჯახი... და აი, ჩვენ ორი, – ძმები ფეხზე წამოდგნენ, – ვფიცავთ ხმლებზე ჩვენსა და ჩვენის შთამომავლობის მაგიერ, – ორივემ ხმალი ამოიღო, – მარად ვიყოთ ერთგული მეფისა და მისისა ნაშიერისა, მივიღოთ და მოვიმოქმედოთ მისის ბრძანებით ყოველი, რაც შეჰფერის ხელდებულს ხელმდებლის მიმართ, სანამ თვით მეფე და მისი შთამომავალი ჩვენსა და ჩვენის შთამომავლობის მიმართ შეასრულებენ თვისსა ვალდებულებასა.

მეფე და კარისკაცნი ოდნავ შემკრთალნი, განცვიფრებული უყურებდნენ ამ სანახაობას და ისმენდნენ გასაოცარ ენაზე ნათქვამ სიტყვებს. თარგმანმაც ვერ შესწყვიტა ეს განცვიფრება.

ძმებმა ისე აარაჩხუნეს ხმლები, მეფე მიხვდა, რომ ისიც უნდა ჩარეოდა ამ ცერემონიაში, მაგრამ არ იცოდა, კი როგორ.

გადათარგმნილმა სიტყვებმა მეფეს გაუადვილეს საქმე.

მან სასწრაფოდ შეუერთა მათ თავისი ხმალი და, რომ მათთვისაც გასაგები ყოფილიყო, წარმოსთქვა:

– ამენ! რაც გასაგებიც და მეტად გასახარებელიც გამოდგა ახალგაზრდა ხელდებულთათვის.

ბოლოს უფროსმა ხელდებულმა ანიშნა კარისკაცთა შორის მდგომ მოხუც პატივსაცემ დიდებულს, რომ ხელი გაეხსნა...

ვერ მიხვდა...

– მოდი, ბექირ, ხელი გაგვიხსენი!

– როგორ მეფეო?

– შენი ხმლით გააშორე ჩვენი ხმლები.

მოხუცმა სიამოვნებით აასრულა მეფის ბრძანება, რადგან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ხელის გახსნა.

ყმაწვილებმა ისევ დაიჩოქეს. მეფემ უნებურად ერთ მათგანს ხმალი მხარზე დაჰკრა, რამაც დიდად გაახარა იგი, და როცა ეს შეამჩნია მეფემ, მეორესაც ისე დაადვა ხმალი.

ყმაწვილები ადგნენ და მეფეს ხელზე აკოცეს.

მოხუც „მემათრახეს“ ეამბორენ.

ასე შემოუერთდა საქართველოს მიწა-წყალს ორი შოტლანდიელი – ორი ლორდი.

ეს ცერემონია სრულიად უცხო იყო მეფისა და ქართველებისათვის, მაგრამ რაღაც ქვეშეგნებით იგრძნეს მისი მნიშვნელობა და მოეწონათ.

ყმაწვილებს ეტყობოდათ, რომ გახარებულნი იყვნენ, ხოლო მოხუცი „მიმღები“ ნელა, სიამით იღიმებოდა და თავში ურბენდა აზრი – ჩემი გოგო რომ ერთ მათგანს მივცე, ვითომ რა უჭირს... კარგი ოჯახიშვილები უნდა იყვნენ და ვაჟკაცობაც არ დაეწუნებათ.

– ყველაფერი ეს ქაღალდზე უნდა დაიწეროს, – ეუბნებოდა თარჯიმნის საშუალებით უფროსი თავის „მებაირაღეს“. მეფემ ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა, მიუახლოვდა და უთხრა განსაკუთრებულის გამოთქმით, როგორც უცხო ენაზე მოსაუბრეს ეუბნებიან:

– ქუთაისში!

ნიშნად აზრის გაგებისა, ორივე ყმაწვილმა ოდნავის ღიმილით თავი დაუკრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ჩილაჩავა

● საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მერი დავითაშვილი დაიბადა თბილისში, ექიმის ოჯახში. პატარა გოგონას მუსიკალური მონაცემები პირველად გამოჩენილმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა შეუმოწმა და მომავალიც მან დაულოცა.

საკომპოზიციო მოღვაწეობა მერი დავითაშვილმა მცირე ფორმის ინსტრუმენტული პიესებით დაიწყო. აღსანიშნავია სიმფონიური ნაწარმოებები: საფორტეპიანო კონცერტი, ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, პოემა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, საორკესტრო სუიტა ბალეტიდან „მზის ქორწილი", სიმფონიური სურათი „დილა ბაკურიანის ტყეში" და ა. შ.

სულ მალე გამოჩნდა პირველი სიმღერების ციკლები: „დილა მშვიდობისა", „სათამაშოების სიმღერები", ორივე ციკლში შესული სიმღერები ბავშვების ცხოვრების ეპიზოდების მომხიბვლელი მუსიკალური ჩანახატებია. ეს სიმღერები მაყვალა მრევლიშვილის ლექსებზეა შექმნილი. ვაჟა-ფშაველას, მარიჯანის, ილია სიხარულიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, პეტრე გრუზინსკის, მორის ფოცხიშვილის, გივი ჭიჭინაძის, ცირა ქიტიაშვილის ლექსებზე შექმნა ასევე საბავშვო კრებულები. მათ შორის აღსანიშნავია „ექვსი საბავშვო სიმღერა", „სათამაშოების სიმღერა", „საბავშვო სიმღერების კრებული", „ზეიმისათვის", „პატარებს", „მზის ამოსვლას ვეგებებით". ასევე, მას ეკუთვნის რომანსები ანა კალანდაძის, ალექსანდრე საჯაიას, ტიციან ტაბიძის ლექსებზე.

დაწერილი აქვს მუსიკა სპექტაკლებისათვის, მულტიპლიკაციური ფილმებისათვის „ჩხიკვთა ქორწილი", „წუნა და წრუწუნა", „ნახევარწიწილა", „მტრობა".

გამოყენებითი მუსიკის სფეროში შეძენილი გამოცდილება საფუძვლად დაედო ცნობილ საბავშვო ოპერას – „ქაჯანას" და „ნაცარქექიას" (მიენიჭა რუსთაველის პრემია).

ქალბატონი მერი წლების მანძილზე იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, ეწეოდა საბავშვო მუსიკის სექციის შემოქმედებით მუშაობას, იყო მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური კონკურსის თავმჯდომარე. 1973 წლიდან დღევანდლამდე საბავშვო და მოზარდთა მუსიკის რესპუბლიკური კვირეულების უცვლელი ხელმძღვანელია.

ამჟამად მერი დავითაშვილი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიისა და სამუსიკო გიმნაზიის პროფესორია. იგი საბავშვო მუსიკასთან დაკავშირებული არაერთი სასარგებლო წამოწყების მოთავეა. მისი თაოსნობით მოწყობილი შეხვედრები, კონცერტები და თეორიული კონფერენციები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ჰყავს ერთი ვაჟი, ორი შვილიშვილი და შვილთაშვილი.

ქართული მუსიკის სათავეები ათასწლეულების მიღმაა საძიებელი. მათ შორისაა უნიკალური ქართული მუსიკალური ფოლკლორი, დიდებული ქართული საგალობლები.

ერის დიდ ტრადიციებს ღირსეული გამგრძელებლები სჭირდება. ეს კარგად იცოდნენ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა, მათ შორის მუსიკოსებმა, კომპოზიტორებმა, რომლებმაც მომავალი თაობის სწორი აღზრდა, განათლებისათვის ზრუნვა, მოზარდებში ქართული, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება ერთ-ერთ უპირველეს მამულიშვილურ ამოცანად დაისახეს და ამის მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ზაქარია ფალიაშვილის და ზაქარია ჩხიკვაძის საბავშვო სიმღერების კრებულები. ამ სიმღერებმა თავის დროზე ყმაწვილების მუსიკალური გემოვნების დახვეწაში, შეიძლება ითქვას, ისეთივე როლი შეასრულა, როგორც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენამ" თაობების აღზრდაში.

ორმოც-ორმოცდაათიან წლებში ქართველი კომპოზიტორები სულ უფრო მეტ დროსა და ყურადღებას უთმობდნენ საბავშვო მუსიკას. არაერთი შესანიშნავი საყმაწვილო სიმღერა შექმნეს თამარ შავერზაშვილმა, მერი დავითაშვილმა, ვალერიან ცაგარეიშვილმა, ვლადიმერ კურდიდმა, დალი ჩხეიძემ, მერაბ ფარცხალაძემ, ელეონორა აქსანიშვილმა, ალექსანდრე ბუკიამ. მათ ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული საბავშვო მუსიკა და დიდი ავტორიტეტიც მოუპოვეს.

მომავალი კომპოზიტორის, მსმენელისა და შემსრულებლის აღზრდისათვის კარგი საყმაწვილო მუსიკალური ლიტერატურის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, აქ უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეპოქას თავისი ნიშანი და თავისებურება ახლავს. დრო იცვლება, იცვლებიან თაობები, მათი მოთხოვნილება, ინტერესები, თვალსაწიერი. დღევანდელობა საბავშვო მუსიკის სპეციალისტებისაგან, მუსიკოსებისაგან, კომპოზიტორებისაგან, პედაგოგებისაგან სხვაგვარ მიდგომას, სხვაგვარ მეთოდებს, აღზრდის სხვა ხერხებს მოითხოვს.

ამ თემაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საბავშვო მუსიკის დიდ მოამაგეს, ცნობილ კომპოზიტორს მერი დავითაშვილს.

– ქართული საბავშვო მუსიკა სა-

საბავშვო მუსიკის 75 დიდი ოსტატი

თავეს ხალხური შემოქმედებიდან იღებს. ხალხის მიერ უშუალოდ ბავშვებისათვის შექმნილი ლექსების, სიმღერების, ცეკვა-თამაშებისა და ზღაპრების გარეშე ისევე წარმოუდგენელია საყმაწვილო მუსიკა, როგორც საბავშვო ლიტერატურის შედევრები.

საყმაწვილო მუსიკის შექმნას სპეციალური სირთულეები ახლავს. ძირითადია, მოზარდის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, რადგან ბავშვებში მხოლოდ ხალასი შემოქმედება პოულობს მხურვალე გამოძახილს.

კომპოზიტორმა სხარტად, ხატოვნად უნდა უამბოს ბავშვებს მათთვის ახლობელ სამყაროზე, ფრთხილად და ფაქიზად გაიყვანოს ცხოვრების გზაზე, დაინახოს ავიც და კარგიც, აზიაროს სიკეთეს და სილამაზეს, ამხილოს ყველაფერი, რაც წინ ეღობება სიმართლეს და უპირისპირდება მშვენიერებას. რთული და სერიოზული თემები ქმედით სახეებში გასაგები ენით უნდა გადმოვცეთ.

დღეს საქართველოში, ჩემი აზრით, ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა. სამწუხაროდ, დღითიდღე კლებულობს სერიოზული მუსიკის მოყვარულთა რიცხვი. ბავშვებს უფრო გასართობი მუსიკა აინტერესებთ. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ისევ ჩვენ უნდა გადავჭრათ, საქმე ისევ ჩვენ უნდა გამოვასწოროთ. არადა, ტენდენცია ისეთია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკის გაუქმებაც კი უნდათ. ეს კი დაუშვებელია!

გადავხედოთ, რა ხდება სხვა ქვეყნებში, თუნდაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, მაგალითად, ბალტიის ქვეყნებში ბავშვები სკოლებში მეათე კლასამდე სწავლობენ კლასიკურ მუსიკას. უნგრეთში მუსიკის შესწავლას ბავშვები მცირეწლოვანებიდან იწყებენ. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის პირველივე ნაბიჯებიდან მუსიკალური განათლება პროფესიულ დონეზე მიმდინარეობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმატებები დაკავშირებულია დიდი უნგრელი მუსიკოსის, კომპოზიტორისა და მეცნიერის ზოლტან კოდაის სახელთან. კოდაის მეთოდის უპირველესი ღირსება და მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ იგი საშუალებას იძლევა, ბავშვი მუსიკალურ განათლებას იმ დროს აზიაროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ იცნობს არათუ მუსიკალურ, არამედ ჩვეულებრივ ანბანსაც კი. ეს ხდება ხელის მოძრაობის, ელემენტარული სიგნალიზაციის მეშვეობით. ბავშვები თანამიმდევრულად ითვისებენ ტემპერირებული წყობის ჯერ საყრდენ, ხოლო შემდეგ დანარჩენ ბგერებს.

ამჟამად კოდაის მეთოდით სწავლება უნგრეთისა და სხვადასხვა ქვეყნების საბავშვო ბაღებსა და სკოლებშია დანერგილი.

ცნობილია, რომ თბილისშიც გვყავს კოდაის მეთოდის ენთუზიასტები. დავასახელებ მაგალითად: მუსიკათმცოდნე და სოლფეჯისტებს – მაყვალა თვალჭრელიძეს, რივა ბაბალიკაშვილს, ვასო ლაბაძეს, მარინა ოცხელს. თავის დროზე გადაიდგა პირველი ნაბიჯები და საიმედო შედეგებსაც მიაღწიეს. მაყვალა თვალჭრელიძის, ვასო ლაბაძისა და მარინა ოცხელის მეშვეობით სოლფეჯიოს ახალი სახელმძღვანელოც კი დაიწერა. ჩვენ, იმის მაგივრად, რომ ეს მეთოდი ფართოდ გაგვევრცელებინა და ასეთი მნიშვნელოვანი სიახლე სკოლებში დაგვენერგა, ყველაფერი დავიწყებას მივეცით.

აბა, დააკვირდით, ჩვენი ბავშვები დღეს პროფესიული მუსიკის ნაცვლად, რაღაც უაზრო და ამაზრზენ მელოდიებს მღერიან. ვრცელდება მიმბაძველობით შექმნილი, ჩვენი ბუნებისათვის სრულიად უცხო, ბავშვებისათვის შეუფერებელი მელოდიები. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. კარგი, თუ მხოლოდ გასართობი მუსიკა უნდათ დღეს ჩვენს ბავშვებს, ნუთუ უკეთესი სიმღერები არა გვაქვს?! ჩვენ უამრავი საბავშვო კომპოზიტორი გვყავს. ნუთუ არ შეიძლება, მათი სიმღერები იმღერონ?

დღეს ამბობენ, საყმაწვილო სიმღერები არ იწერებაო. როგორ არ იწერება! უბრალოდ, რაც კარგია, არ სრულდება. ჩემი აზრით, რაც კარგი დაიწერა და რამაც დროს გაუძლო, დღემდე უნდა სრულდებოდეს.

ამას წინათ ტელევიზიით უნდოდათ ჩემი საიუბილეო გადაცემის მომზადება, მაგრამ მასალა ვერ იპოვეს. რამდენიმე წლის წინ სიმფონიური მუსიკა დავწერე. ამით მინდოდა მეჩვენებინა როგორ შეუძლია მუსიკას გადმოსცეს ესა თუ ის თემა დადგმისა და ცეკვა-თამაშის გარეშე. საფუძვლად ქართული ხალხური ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ გამოვიყენე. ამ ზღაპარს მხოლოდ ერთი მკითხველი ჰყავს. ილუსტრაცია ორკესტრში მიდის.

ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს სერიოზული მუსიკის მოსმენას. თუ ასე არ მოხდა, ცეკვა-თამაშისა და ზანგური მუსიკის გარდა არაფერი დააინტერესებს. ამგვარად, ნელ-ნელა მსმენელს დავკარგავთ.

მე ყოველწლიურად ვაწყობ საბავშვო მუსიკის კვირეულებს და ვიცი, რომ უამრავი შესანიშნავი, ძალიან ნიჭიერი ბავშვები გვყავს. ისინი ძალზე სერიოზულად ეკიდებიან კლასიკურ მუსიკას, სწავლობენ, მეცადინეობენ და კონკურსებშიც იღებენ მონაწილეობას. თითქმის ბავშვი არ არის ჩვენში, სხვა ქვეყანაში კონკურსზე წავიდეს და იქიდან ხელმოცარული დაბრუნდეს. მე თუ მკითხავთ, ტელევიზიამ პროპაგანდა სწორედ ამ ბავშვებს უნდა გაუწიოს.

მომავალში ალბათ ყველა ეს საკითხი მოწესრიგდება, რადგან არ შეიძლება სახელმწიფომ კულტურის გარეშე იარსებოს. კულტურა ხომ სახელმწიფოს სახის მაჩვენებელია.

ნიაზი მისრი

(1618-1694)

მაშ, შეიყვარე ქალი ქართველი!

როცა ცოლს ირთავ, შვილო ჩემო, აწონ-დაწონე,
კარგად დაფიქრდი, არჩევანი არ შეგეშალოს.
დაფიქრდი, რადგან ბედ-იღბალმა თუკი გიმტყუნა,
ენით უთქმელი მწუხარებით შეიბორკები.
ლამაზი სატრფო, დათაფლული რომ გიცინოდა,
ცოლად ქცეული მწარე ცრემლებს დაგაღვრევინებს.
მაშ, აირჩიე, შვილო ჩემო, სათნო ქალწული,
კეთილი გულით რომ მოგხიბლოს და დაგატყვევოს,
ჭირსა და ლხინში განუყრელად შენთან იქნება,
მუდამ დაგატკბობს, გაგახარებს უბინო ტრფობით.
მაგრამ საცოლეს სად მონახავ ესოდენ სრულქმნილს?
აჰ, არ წახვიდე საძებნელად რუსთა მხარეში,
იქ ქალსაც, კაცსაც და ყმაწვილსაც ღალატი უყვარს,
თვალთმაქცობენ და მიილტვიან – ფეხქვეშ გაგვთელონ,
სამარადისოდ დააქციონ ტახტი ოსმალთა.
არც ფრანგ ქალს გირჩევ, არც გერმანელს და არც მადიარს,
ცბიერთა მოდგმამ სულ არ იცის ჩვენი ადათი,
პატივს არ სცემენ თვით მოციქულს – წმინდა მუჰამედს
და მათი სული არ ნათდება ალაჰის რწმენით.
მშვენიერ ჩერქეზს, დამიჯერე, ნუ ამოარჩევ,
ხმალ-ხანჯალს უფრო ეფერება, ვიდრე მეუღლეს,
სწყურია ცხენის ჭენება და ბრძოლის ყიჟინა,
დაიქანცები, მოგბეზრდება ალერსი მისი.
არაბს რა უშავს, მზად იქნება, რომ გემსახუროს,
ოღონდ გაგტანჯავს თავნება და თავქარიანი.
მოგაჯადოებს ზანგი ქალი მხურვალე ვნებით,
ჩაგეკონება უჩვეულო, ცხელსისხლიანი,
მაგრამ, ვაითუ ვერ გაუძლო საშინელ სახეს,
რომელსაც თითქოს აურეკლავს ღამის წყვდიადი.
ბოლოს რაღა ვთქვა, რა გირჩიო, ვინ აგირჩიო...
ხომ გსურს იცხოვრო, შვილო ჩემო, მშვიდად და ტკბილად?
მაშ, უყოყმანოდ მოიყვანე სათნო ქართველი!
მთელს დუნიაზე ჭეშმარიტად ერთადერთია –
ცოლად, მეგობრად, მიჯნურად რომ გამოგადგება.
ნუ დაიწუნებ ულაზათო სამოსის გამო,
სამაგიეროდ გულწრფელია, ნაზი, ხალასი,
მაშ, შვილო ჩემო, შეიყვარე ქალი ქართველი,
მასთან ცხოვრებით შენ იგემებ ყველაფერს იმას,
რასაც ალაჰი უწყალობებს უბრალო მოკვდავთ –
ამქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად...

კრებული „ოსმალური მუზა“
(თურქული პოეზიის ანთოლოგია);
ფრანგულ ენაზე, ჟენევა – 1853 წელი.

ნაილი ნეკერიშვილი

***

აი! საოცარი წრე,
რომელსაც აწერია
ჯადოსნური სიტყვები:
– მე თქვენ მიყვარხართ, –
პატარა ცისფერი სამყარო,
მცხუნვარე მზე
და სიცილის ფანტასტიკური ოკეანე,
ნათელი – უნათლესი ნათელი –
ნათელი ჩემი.

***

მიყვარხართ!
აი, ჩემი მომართვა ყველას!
მიყვარხართ ისე,
რომ თვალების გახელა
მიჭირს.
გულზე მაბია, ვით სასჯელი,
კოლოფი სევდის
და სინანული ქალგულისა,
ცრემლი და ტვირთი.

შორს გაფრენილა
ვარდისფერი ცით აღტაცება,
თავდახრილი ვარ და გულმკვდარი
პოეტი მფრთხალი.
დაბინდული მაქვს მზერა,
გული და სიხარული,
მიწაზე ვწევარ,
მიწას მიაქვს სინათლე ჩემი.

***

სიყვარულო! მე გაგაძევე
ამ ქალაქიდან
ცივ და პირქუშ მღვიმეებში
და სისხლის წვეთებს მივაყარე
მსუბუქი მტვერი.

მიყვარხართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან მოქცეულს წამსკდა ტირილი
და მდინარის მღვრიე ტალღებში
ჩაცქერებულს,
გამახსენდა ის ყელსაბამი,
რომელსაც ჰქვია თავისუფლება.

***

ნუ დაგვთრგუნავ, მეუფეო,
ნუ ჩაგვიქრობ სანთელს
სიმართლის,
ნუ დაგვღლი ისე,
რომ პურისკენ გაწვდილი
ხელით
ბორკილს შევეხოთ,
მოგვეცი ძალა გავუმკლავდეთ
ორპირს და მაცდურს,
სიყვარულის შუქი მოგვეცი.

***

მე გამოვჭერი ჭელი
ძვირფას სამშობლოს ჩემსას
და ახლა მცირე სალბუნებით
მსურს ისევ შევაკოწიწო,
რომ მერე რკინის ქალამნებით
ცისქვეშეთი შემოვიარო
და ლოდად ქცეულს
სიცოცხლე მივცე.

***

ძვირფასო! შენთან მე ვარ
მდუმარი,
ეს არის ჩემი მცირედი ნიჭი,
ვარ გაჩენილი დიდი ტკივილით,
სასთუმალთან ზის ასული შენი
და მცირე სალბუნს ქსოვს
სიყვარულის,
რომ უფრო მეტად დახაროს
თავი.

***

რაღაც უმწეო და შორეული
გაკრთება გულში ტკივილი – ჯვარი.
გადაღლილი ვარ ბეცი სიზმრებით
და მარგალიტი მიჭირავს ხელში,
თვალი სავსეა ცრემლის ნაკადით,
უხვი წვიმები გაზაფხულს მოსდევს,
ჩაცურებულა მზე ქედის იქით
და ჩაწითლებულ მთებში ისვენებს.

***

როგორც უმწეო დაჭრილი ჩიტი
ტკივილით არის ძირს დავარდნილი
და უსაზღვროა ლოდინი შიშით...
მხოლოდ განგების ნება თუ იხსნის,
ისე მძიმეა დღეს ყოფა ჩვენი,
თვალებში ჯდება სიკვდილი ცივი.

***

მამულო, ალბათ გადაივლის
ეს ნიაღვარი,
მწარე ცრემლები, სინანული,
სისხლი და დარდი.
ჩაიფერფლება ვულკანები,
ნაგვემი გული
და მზეს გაუწვდი ხელებს
სათუთად,
დაიფერები სიყვარულის
მშვენიერებით.

***

მე დავიბადე, რომ სიყვარულში,
არ გამიმართლოს, დაჭრილი
ვიყო,
შორს გადაცურდეს ნათელი
სვეტი
და სამშობლოზე მოთქმით
ვიტირო.
კისერზე მედოს უღელი მძიმე,
სიზმარშიც კვნესით ვწიო
ჭაპანი,
ძმა დანას მცემდეს და შუბლს
მიპობდეს,
მე ფეხს მიკრავდეს მონის
ბორკილი,
ერთი დღე მქონდეს, ვით
სასწაული,
მოფრინდეს ორი მტრედი
უბიწო
და ამ ქვეყნიდან წავიდე ისე,
რომ ნატვრა დიდი ვერ ავისრულო.

***

როცა, ძვირფასო,
გალობას იწყებ
უძველეს სისხლზე,
უძველეს გენზე
და ფერადოვან
სურათებზე,
მძიმე წარსულზე,
თავისუფლების
ურჩ სიყვარულზე,
მაშინ პითონი
იღვიძებს ზლაზვნით
და შენ სიცოცხლეს
გაქრობა ელის,
შენ იმედი გაქვს
მხოლოდ იმ ბარტყის,
რომელსაც ღვთისგან
სინათლე მოსდის.

***

ჩაბეჭდილი მაქვს ყველა სიკეთე,
რაც მე მომაგეს უანგარობით,
უმწეობაში, სიკვდილის შიშში,
ჩამოხსნა ჯვრიდან, მოწმენდა
სისხლის.

***

მოდი, მომხედე, სიყვარულო!
ხან სიცხე მაქვს, ხან ვიყინები,
რაც შენ დაგვტოვე, ჩაიშალა
სინაზე გულის,
თითქოს აღარ ვარ, ფეხქვეშ
მიწა ტორტმანებს ძველი,
დანა მაქვს მკერდში
დარჭობილი და ნელა ვკვდები.

***

ძვირფასებო!
აი, ჩემი მოურჯულებელი
გულისთქმა,
აი, ჩემი მოუღლელი
სიტყვა –
მიყვარხართ!
დავეხეტები ამ უმწეობით
დაჩაჩანაკებულ წუთისოფელში
და თქვენზე ვნაღვლობ.

***

ნუ მეძალები, სიძულვილო,
სისხლო და ცრემლო,
უკან მიდექით, მკვდარო
დღეებო,
მოდი, გულმშვიდო გაზაფხულო
და სიყვარულო,
გამიცოცხლე ჩემი მამული,
გადააფარე პირზე თვალი
პატიოსანი
და უჭკნობი ია და ვარდი.

ვერცხლის ქალაქი

მდინარე ჩვენი გარემომცველი ბუნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრის უშრეტი წყარო, დედამიწის მოძრაობის სიმბოლოა. „მდინარის მარადიული და ძლიერი სიცოცხლე ადამიანის ცხოვრების შემავსებელია“ (ელიზე რეკლიუ).

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან მიისწრაფის მდინარეებისაკენ. მსოფლიო ცივილიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დიდ მდინარეებზე. ტიგროსსა და ევფრატს შორის შუამდინარეთს „კაცობრიობის აკვნად“ თვლიან, რადგან ამ მდინარეებთან არის დაკავშირებული ბაბილონისა და ასირიის კულტურა, ეგვიპტე – ეს ნილოსია, – ამბობენ ეგვიპტელები, განგი ინდოეთის უწმინდესი მდინარეა, რომის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მდინარე ტიბრთან, კიევის რუსეთისა – დნეპრთან, ვოლგა რუსეთის განსახიერებაა, მტკვარი კი – საქართველოსათვის ევფრატიცაა და ვოლგაც.

საქართველოში 25 ათასზე მეტი მდინარეა, დედამდინარე კი მტკვარია. მტკვარი ქართული ბუნების სიდიადის განსახიერებაა და სიმბოლოა. განუმეორებელია მტკვრისა და მისი შენაკადების სილამაზე, განუზომელია ის სიხარული, ჩვენთვის მდინარის სიახლოვეს რომ მოაქვს. ლურჯნისლგადაკრული მტკვრის ხეობა თავისკენ იზიდავს მკვლევარს, ხიბლავს მოგზაურს, იპყრობს მხატვრის მზერას, არის პოეტური შთაგონების წყარო. მტკვარს უმღეროდნენ, ქება-დიდებას ასხამდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები.

მტკვრის სანაპიროზე წარმოიშვა იბერიის სახელმწიფო. მტკვრის პირას აღმოცენდა საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, მტკვრის პირას გაშენდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისში მტკვრის ნაპირებზე ადამიანი ენეოლითიდან არის დასახლებული. თბილისი მტკვრის ქალაქია, როგორც ერთ ხალხურ ლექსშია ნათქვამი: „მტკვარი უმღერის ნანასა, თბილისს გორგასლის ნაშობსა“.

თბილისში მტკვარი ჩრდილო-დასავლეთიდან შემოდის, მცირედ იცვლის მიმართულებას და მას სამხრეთ-აღმოსავლეთით ტოვებს. ქალაქის ფარგლებში მდინარის სიგრძე 40 კმ-ია, სიგანე მერყეობს 50-150 მეტრს შორის. ქალაქში შემოსვლისას მდინარის საშუალო სიღრმეა 125 სანტიმეტრი, ორთაჭალის კაშხალთან 6 მეტრი. ქალაქის ფარგლებში მტკვრის შენაკადებია დიღმის წყალი, ვერე, ნავკისის წყალი (მარჯვენა), გლდანის წყალი, ლოჭინის ხევი (მარცხენა). დიღომთან კალაპოტი ფართოვდება, თბილისში მტკვარი მკერდსავსე მდინარეა, მეტეხის ვიწროებთან კი ჩქარა მოედინება.

„ისედაც მშვიდი სულ დამცხრალა
ამაღამ მტკვარი,
მხოლოდ მეტეხთან მაინც არი
უფრო მშფოთვარი“.
(ტ. ტაბიძე)

მეტეხის ვიწროებიდან გამოსული მტკვარი ორთაჭალის და ფონიჭალის გავლის შემდეგ ქვემო ქართლის ვაკეზე მდოვრდება და განიტოტება. წიგნში „ძველი თბილისის სურათები“ (1980) თ. ბერიძე ასე აღწერს მტკვრის დინებას თბილისში, „ქართველი კაცის მრავალი ჭირ-ვარამის, წუხილისა და სიხარულის მოზიარე მტკვარი, ქალაქს შემოსული, რაღაცა საოცარ სევდიან ხმას გამოსცემდა: დიდ ზვირთს პატარა მოყვებოდა, ამას კიდევ უფრო პატარა, თანდათან უძლურდებოდა, მაგრამ ბოლოს თითქოს თავისი უსუსურობის შერცხვაო, დაბოღმილი გულისჯავრს ავლაბრის ხიდთან ძლიერ მორევში აქსოვდა. მეტეხის ციხე-კბოდე ნაპირს გაცილებული კი, იგრძნობდა რა თავისუფლებას, დადინჯებული აგრძელებდა გზას“. მაგრამ ყოველთვის მშვიდად, უხმაუროდ, დუდუნით როდი მიედინებოდა მტკვარი, დიდი ნვიმების შემდეგ ჩვენს ხალხს ახსოვს ბრაზმორეული, გაცოფებული მტკვარი რა ზიანს აყენებდა ქალაქს.

თბილისში, მტკვრის მარცხენა მხარეზე რიყის უბანში წყალდიდობის დროს მდინარე ნაპირზე გადმოდიოდა და რიყის უბანი იფარებოდა. ლადო გუდიაშვილი იგონებს, რომ ბავშვობისას „გაზაფხულობით მტკვარი ნაპირზე გადმოდიოდა და მაშინ მთელი ჩვენი უბანი ნამდვილ ვენეციას ემსგავსებოდაო“. მ. გარსევანოვის ცნობით 1839 წელს, წყალდიდობის დროს, თბილისში მეტეხის ხიდთან წყლის დონე წყალმცირობის დროსთან შედარებით 9 მეტრით და 60 სანტიმეტრით ამაღლებულა.

ამჟამად თბილისში წყალდიდობის მოსალოდნელი საშიშროება აცილებულია, რადგან მტკვრის ნაპირები გამაგრებულია რკინა-ბეტონის ჯებირებით.

შორეული დროიდან მტერი მეტწილად მტკვრის ხეობით მოდიოდა. ამიტომ ბრძოლები მეტწილად მტკვრის სანაპიროებზე მიმდინარეობდა. მტკვარი არა ერთხელ შეღებილა ჩვენი ხალხის სისხლით. ბუღა თურქმა 853 წელს შემუსრა ქალაქი ტფილისი, ამოხოცა ორმოცდაათი ათასი ადამიანი, მტკვრის წყალი სისხლით შეღება. ასევე იყო ჯალალედინის მიერ თბილისის დაპყრობის დროს. 1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის დროს მტკვარი ადიდებული იყო. ამის გამო მტერს თბილისის აღება შეუძლებლად მიაჩნდა. აღა-მაჰმად-ხანმა გადაწყვიტა, ადიდებულ მტკვარში ჯარით გადასვლა, იგი პირველი შევიდა მტკვარში და პირველი გამოვიდა. თბილისზე აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმით დასრულდა ბრძოლები მდინარე მტკვარზე.

შუა საუკუნეებში მდინარე მტკვარზე აგებული ხიდები ქართული საინჟინრო აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია. უხუცესია მეტეხის ხიდი. ეს ხიდი მოხსენებული აქვს ჰაბოს წამების ავტორს. XVI საუკუნეში მეტეხთან მტკვრის ხიდს „დიდ ხიდად“ იხსენიებს თურქი მოგზაური ევლია ჩელები. შუა საუკუნეების მეტეხის ხიდის ადგილას 1954 წელს აშენდა ახალი ხიდი. მდინარე მტკვარზე ყველაზე მეტი ხიდი თბილისშია.

იცვლებოდა თბილისის გარემომცველი ბუნება, იჩეხებოდა ტყეები, მტკვარში წყალი კლებულობდა, ამიტომ დღევანდელი მტკვარი არა ჰგავს ბარათაშვილის დროინდელსა, მით უმეტეს ვახტანგ გორგასლის დროინდელ მტკვარს. ყველა თბილისელს ახსოვს მტკვრის ორ ტოტს შორის მდებარე მადათოვის (ორბელიანის) კუნძული. სარდალმა დავით ორბელიანმა თავისი სახლის წინ (კუკიის ხიდთან) ხელოვნურად გააღრმავა მტკვრის კალაპოტი, შექმნა კუნძული. მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ორბელიანებმა იგი დაუთმეს გენერალ მადათოვს. თბილისელთათვის ეს ადგილი შემდგომ ცნობილი გახდა მადათოვის კუნძულის სახელწოდებით. 1933 წელს მტკვრის მარჯვენა ტოტი მთავარ კალაპოტს შეუერთეს და მოისპო ხელოვნურად შექმნილი კუნძული.

ორთაჭალა... რამდენ მოგონებას აღძრავს ქართველ კაცში ეს ადგილი: ორთაჭალის კუნძულია ორთაჭალის ბაღები, რომელსაც გრიგოლ ორბელიანმა უკვდავი ლექსი უძღვნა. მეტეხის ვიწრო კალაპოტიდან გამოსული მტკვარი ქალაქის სამხრეთ საზღვართან იტოტებოდა. ორ ტოტს შორის მოქცეული კუნძული ვახუშტი ბაგრატიონის ერთ-ერთ რუკაზე „ჭალის ბაღის“ სახელწოდებითაა აღნიშნული, რომელმაც შემდგომში ორთაჭალის სახელწოდება მიიღო. მეფე ერეკლეს მითითებით, აქ ბაღი გაშენდა. ამჟამად მტკვრის ტოტები შეერთებულია და ორთაჭალის კუნძული არ არსებობს.

ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში სტრაბონს აღნიშნული აქვს, რომ მტკვარი (კირი) სანაოსნო მდინარეა. სტრაბონს მითითებული აქვს, რომ კასპიის ზღვიდან მიღებული ინდოეთის საქონელი მდინარე მტკვრით გადააქვთო. 1890 წელს სოფელ ცხრამუხაში (ხაშურის რაიონი) მტკვარში იპოვეს გემის ღუზა. ამჟამად მდინარეში წყლის სიღრმე ნაოსნობის შესაძლებლობას არ იძლევა.

უძველესი დროიდან მდინარე მტკვარზე ადამიანების გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად, სამდინარო ტრანსპორტის ძირითადი სახე იყო ტივი. მტკვარზე ტივები მოძრაობდა ახალციხიდან თბილისამდე. ადგილი, სადაც ტივებს აჩერებდნენ სატიო ეწოდებოდა (ამჟამად რესტორან „არაგვთან“). ტივს ძირითადად ხე-ტყე და სურსათი გადაჰქონდა. მტკვრის მეტივეებზეა დაწერილი ხალხური ლექსი და სიმღერა:

„ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,
რომ ქალაქში ჩასულიყო,
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო“.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ძველი დროიდანვე ფეხმოკიდებული ყოფილა მექორწინეების ტივით მოგზაურობა. ახალდაქორწინებულთ ჯვარს სვეტიცხოველში დასწერდნენ, თბილისამდე კი მაყრიონით, ტივით შემოჰყავდათ. ძველ თბილისს ახსოვს მტკვარზე, ტივებზე ყარაჩოღელთა ქეიფი. „გახსოვს მტკვარზე ტივები, მეტივეთა ფიქრიანი სახეები, ყარაჩოღელთა ქეიფი“. (ლ. გუდიაშვილი).

„არ ვიცი, რომელი სანახაობა აჯობებდა ამ სურათს, როცა მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ“ (ი. გრიშაშვილი, საიათნოვა 1918 გვ. 33).

შეიცვალა მდინარის წყლის შედგენილობა. ამჟამად თბილისში მტკვარში წუთში ჩადის 10000 ლიტრი კომუნალური და სამრეწველო წყალი. თბილისის მოსახლეობა ერთ დროს თუ მტკვრის წყალს სვამდა, ამჟამად სასმელად კი არა, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვისაც უვარგისია. მტკვრის პირი იყო თბილისის გული. აქედან დაიწყო თბილისის ზრდა. თბილისის ახლოს აშენდა ელექტროსადგური ზაჰესი, ქალაქის სამხრეთით – ორთაჭალაჰესი.

მტკვარი წმენდს ქალაქს ყოველგვარი ჭუჭყისაგან, ქმნის სასურველ მიკროკლიმატს თბილისისათვის, წინათ ამბობდნენ, მტკვრის წყალი თუ დალიე, თბილისს ვერასოდეს დაივიწყებო. ახლა მტკვრის წყალს არავინ სვამს. მაგრამ ვინც თბილისსა და მტკვარს ერთხელ იხილავს, მას ვერასოდეს დაივიწყებს. „თურმე ბუნებასაც ისეთივე ჩაფიქრებული შეგრძნება და გაგება უნდა, როგორც მუსიკას და თუ არ გესმის იგი, მტკვარიც შიშველი წყალია და მთაც ერთად შეყრილი ქვა და მიწა, მაგრამ თუ იპოვე გასაღები, სულს აგიმღვრევს, ბრძნულსა და მომხიბლავს ბევრს გაგიმხელს... და მაშინ მღვრიე მტკვარიც, კუშტი ბუნებაც გამჭვირვალე და ანკარა ხდება“ (ლ. გოთუა). ჩვენმა ხალხმა უპოვა მტკვარს ეს გასაღები, ამიტომ შეიყვარა იგი.

მტკვარი თბილისის ვერცხლის ქამარია, მისი მთავარი არტერია და დამამშვენებელი. თბილისის დღესასწაული მტკვრის დღესასწაულიცაა.

ვალერიან ზუხბაია

«მართვე» 20 წლისაა

პატარა ბიჭი „მართვედან“

პატარა ბიჭი „მართვედან“
ყელს იღერებს და თვალს მიკრავს.
მღერის სიმღერას ქართველთა
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.

„მართვედან“ ბიჭი პატარა,
მღერის მუქთად და უფასოდ
აბუნტებულა, ამტყდარა,
მუმლი ედება მუხასო.

გახედე, ბიჭო, დიდგორით
კვლავაც ჩახჩახებს შენი მზე,
ჩქარა, მომდევნო სტრიქონი
იმღერე გადარჩენილზე.

იმღერე, ორბის მართვეო,
მღერით გადახვალ ჯებირსა,
ქართველი კვლავაც ქართველობს,
დღე დადგა გამარჯვებისა.

და მთელი „მართვე“ არ ცხრება
ცას ხევს სიმღერა „მართვეთა“
უმალ მტერს დაუმარცხდება
ვინა თქვა მარცხი ქართველთა?!

მშვიდობითა და ზავითა
უმრავლოს აკვნის გამთლელი,
რასაცა სხვა ფლობს ძალითა
ჭკუითა ფლობდეს ქართველი.



ჯანსუღ ჩარკვიანი

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!..

ყველას კარგად მოგეხსენებათ, დღეს სტალინზე ძალიან ბევრ სიმართლესთან ერთად, უამრავი სისულელე და ბლეფიც იწერება და, რაც მთავარია, იბეჭდება კიდევაც... მათგან აღსანიშნავია პუბლიკაციები იმის შესახებ, თითქოს, ომი ჰიტლერის წინააღმდეგ სტალინმა დაიწყო, თითქოს, სტალინის მეუღლე მისი შვილის, იაკობის საყვარელი იყო, რომ სტალინი ლოთი გახლდათ და ამორალური, რომ იგი იყო სასტიკად უვიცი და ამავე დროს შიზოიდი. ბოლოს ისიც კი ითქვა, ჰუსეინი სტალინის შვილიშვილიაო, „ბაბუა-შვილიშვილის" პორტრეტებიც დაიბეჭდა...

ჩვენ ყოველივეს შევეჩვიეთ და ახლა სტალინის გამო დაწერილსა და დაბეჭდილს ხშირ შემთხვევაში გასართობი კალეიდოსკოპივით ვუყურებთ (რა თქმა უნდა, სისულელეებს ვგულისხმობ).

რასაც დღეს გიამბობთ, ყველა მოგონილს აჭარბებს და, მეც ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველივე მორიგი სიცრუეა და სხვა არაფერი...

1990 წლის ივლისში სასტუმრო „მოსკოვის" სასაუზმეში ორკაციან მაგიდასთან მარტო ვიჯექი, მაგიდასთან ერთი სოლიდური და საკმაოდ მოვლილი კაცი მოვიდა, უადგილობა მოიმიზეზა და მთხოვა, ჩემს გვერდით დამჯდარიყო. მე, რა თქმა უნდა, სკამი გავუწიე და ვთხოვე დაბრძანებულიყო. მადლობა გადამიხადა, დაჯდომისთანავე მკითხა ვინაობა, ვინ ვიყავი და საიდან ვიყავი, მე ვუთხარი, ვინც ვიყავი და საიდანაც ვიყავი. სახეზე რატომღაც ღიმილი მოეფინა და ისე გამეცნო, მე გენადი ვასილევიჩი ვარო... როგორც გაირკვა, მელაპარაკებოდა საკავშირო უშიშროების კომიტეტის ყოფილი მუშაკი, პოლკოვნიკი, დღეს ერთ-ერთი საოლქო კომიტეტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე (თუ არ ცრუობდა).

აი, რა მიამბო ჩემი ქართველობით გაბრწყინებულმა გენადი ვასილევიჩმა:

– რასაც მე თქვენ ახლა გეტყვით, თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ თავს არაფერს მოგახვევთ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, 70 წლის კაცი ვარ, ტყუილი არ მეკადრება.

იცით თუ არა, დღეს რომ მავზოლეუმში ლენინია, ის ლენინი კი არ არის, სტალინი გახლავთ...

ახლადგაცნობილმა გენადი ვასილევიჩმა სახეზე გაოცება შემამჩნია და თვალებმოწკურულმა დაბეჯითებით დასძინა: დიახ, დიახ, სტალინი, იოსებ ბესარიონოვიჩი, ამხანაგი სტალინი... დიახ, ყველაფერი ვიაჩესლავ მიხაილოვიჩის ჩაწყობილი იყო, მოლოტოვის. როცა ხრუშჩოვმა, სულელმა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა შური ეძია სტალინზე და სტალინი მავზოლეუმიდან გამოეტანა, მოლოტოვმა კგბ-ს ერთი პასუხისმგებელი მუშაკის მეშვეობით მავზოლეუმში ღამით შეუშვა პარიკების უბადლო ოსტატი – მხატვარი, ვინმე იაშა, სტალინის შვილის სეხნია, რომელმაც სახელდახელოდ გაპარსა ლენინიცა და სტალინიც. ყოველივე ამის შემდეგ, ლენინს გაუკეთა სტალინის, ხოლო სტალინს ლენინის პარიკი, ლენინი სტალინის გენერალისიმუსის მუნდირში გამოაწყო და სტალინს ლენინის ფრენჩი ჩააცვა, დიახ, დიახ, როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, ასე მოხდა, რასაც გეუბნებით, ფაქტია...

რა მოხდა შემდეგ? რა და ხრუშჩოვმა, სულელმა ხრუშჩოვმა, სტალინი გამოიტანა მავზოლეუმიდან, არადა, ის სტალინი ლენინი იყო, ხოლო ლენინი, რომელიც მავზოლეუმში დარჩა – სტალინია.

მოგეხსენებათ, ხრუშჩოვმა სტალინი, რომელიც სინამდვილეში ლენინი იყო, დაწვა და ფერფლი საპირფარეშოში ჩაყარა, წყალი ჩამოუშვა და ფერფლი წყალს გაატანა, რაც შეეხება ლენინს, რომელიც დღეს მავზოლეუმშია და სინამდვილეში ლენინი კი არა, სტალინია, ჯერჯერობით კიდევ პატივშია და უამრავი ხალხი მიდის მის სანახავად...

დიახ, ასე იყო ეს, ბევრი დაუჯერებელი რამ ხდება ამ ქვეყანაზე, რომელსაც შემდგომ სინათლე მოეფინება ხოლმე...

ეს ყველაფერი მიამბო საკავშირო უშიშროების კომიტეტის ყოფილმა პოლკოვნიკმა გენადი ვასილევიჩმა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ყრილობის დელეგატმა.

მე, რა თქმა უნდა, არა და არ მჯერა, თუ რჩევაა, არც თქვენ გირჩევთ, რომ დაიჯეროთ, თუმცა იმდენ დაუჯერებელს, რაც საკავშირო პრესაში იბეჭდება, რას შეუშლის ეს ერთი დაუჯერებელი ამბავი? – არაფერს!

ისე, კაცმა რომ თქვას, შეუძლებელი შეუძლია პარიკს, როგორც მსახიობმა მამუკა კიკალეიშვილმა გადმომცა, იმ დროს, როცა მოსკოვში კილო ხორცი სამი თუმანი ღირს, „გოსკინოს“ სასაუზმეში ნოყივრად საუზმობს ოცი სტალინი და ამდენივე ბერია.

თუ ივანოვს და გელმანს შეუძლიათ სტალინის როლი შეასრულონ, რატომ სტალინს არ შეეძლო ლენინის როლის შესრულება?

მოკლედ, ჩვენი ცხოვრება სავსეა კითხვის ნიშნებით????? და ასე შემდეგ...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფელის კოშკი, ტრიუმფალური თაღი

„პარიზი – ეს ყველაფერია, რასაც კი მოისურვებ“ – ეს სიტყვები წარმოთქვა ფრედერიკ შოპენმა ჯერ კიდევ 150 წლის წინ. დღეს კი საფრანგეთის დედაქალაქი არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრია; იგი საფრანგეთის გულია, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, რომლის მნიშვნელობაც, რა თქმა უნდა გლობალურია.

პარიზის დაბადების ადგილია კუნძული სიტეა მდინარე სენაზე, ადგილი, სადაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სახლობდნენ გალიელი ტომები – პარიზიელები. ეს იყო ლუტეცია, დასახლებული ადგილი, რომელიც ისტორიაში მოიხსენიება იულიანე ცეზარის მიერ ძველი გალიის დაპყრობის დროიდან. მესამე საუკუნეში ამ დასახლებულმა რაიონმა პარიზიის (შემდგომ პარიზის) სახელწოდება მიიღო. რომაელთა გამოჩენამ ეს ადგილი სავაჭრო ცენტრად აქცია, სწორედ ამ დროს შეიქმნა ქალაქის გერბიც, ტალღებში მოცურავე გემი, რომლის დევიზიცაა „მას არწევენ, მაგრამ ვერ ძირავენ“.

მეხუთე საუკუნიდან პარიზი ფრანკების ხელთაა, ხოლო პეტინგთა დინასტიის მმართველობიდან (987 წელი) იგი უკვე საფრანგეთის სამეფოს დედაქალაქია. მოგვიანებით კი საფრანგეთის რესპუბლიკის დედაქალაქი.

ქალაქი მდებარეობს ჩრდილოეთ საფრანგეთის დაბლობზე, იმ ადგილზე, სადაც მისი მთავარი შენაკადები მარნი და ჟაზი უერთდება. დიდი პარიზი თავს უყრის 12 მილიონ კაცს, მთელი ქვეყნის მოსახლეობის 20 პროცენტს. იგი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ურბანიზებული რაიონია.

პარიზის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა მომსახურების სფეროა: კარგა ხანია, რაც აქ არ არის დიდი სამრეწველო საწარმოები, ასეთი საწარმოებისათვის ჩვეულებრივ არ არის ადგილი ქალაქში და რაც მთავარია, მიწის არენდა ძალიან მაღალია, სამრეწველო ობიექტების ქალაქში არსებობა ეკოლოგიური თვალსაზრისითაც გაუმართლებელია. რაც შეეხება ილ-დე ფრანსის რაიონს, რომელიც გარს უვლის პარიზს, წარმოდგენილია მრეწველობის ისეთი დარგებით, როგორებიცაა: პოლიგრაფიული, საავიაციო, საავტომობილო, ელექტრონული და ქიმიურ-ფარმაცევტული.

პარიზის ცენტრალური მაგისტრალია ელისეეს მინდვრები, პროსპექტი, რომელიც გადაჭიმულია თანხმობის მოედნიდან დე გოლის მოედნამდე. ეს ქუჩა პარიზის გულია, სწორედ აქ იმართება ყოველი წლის 14 ივლისს ქვეყნის ეროვნული დღისადმი მიძღვნილი აღლუმი, რომელსაც სახელმწიფო მეთაური იღებს. პროსპექტი გაყვანილი იქნა – XVI საუკუნის ბოლოს ცნობილი დეკორატორის ლენოტარას მიერ. XVII საუკუნეში აქ სულ ექვსი სახლი იყო აშენებული, დღეს კი პარიზის ამ მთავარ ქუჩას 628 შენობა ამშვენებს, სადაც განლაგებულია კინოთეატრები, მაღაზიები, კაფეები, რესტორნები, ბანკები, მრავალი საავტომობილო თუ საავიაციო კომპანიათა ფირმები. ელისეეს მინდვრები ამ სახელს 1694 წლიდან ატარებს. აქვე მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი თანხმობის მოედანი – „პლას დე ლა კონკორდ“, ეს საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტურული ანსამბლი მჭიდროდ უკავშირდება დედაქალაქის ისტორიას. ეს არის პარიზის ყველაზე დიდი მოედანი 84 ათასი კვ.მ. ფართობით, რომლის ცენტრშიც დღეს აღმართულია სამი ათასწლოვანი ობელისკი ლუქსორიდან. დიახ, ეს ის ადგილია, სადაც 1793 წელს თავი მოაჭრეს დედოფალ მარია ანტუანეტას. მოედნის კუთხეებში დგას რვა მარმარილოს სტატუა, რომლებიც განასახიერებენ საფრანგეთის რვა მსხვილ ქალაქს: ლიონს, მარსელს, ბორდოს, ნანტს, ლილს, რუანს, ბრესტს და სტრასბურგს.

მსოფლიოშია სახელგანთქმული შარლ-დე-გოლის მოედანი, რომლის ცენტრშიაც დგას ცნობილი ტრიუმფალური თაღი. თავისი სიდიდით იგი ორჯერ აღემატება საქვეყნოდ აღიარებულ კონსტანტინეს თაღს რომში. ტრიუმფალური თაღის სიმაღლე 50 მეტრი, სიგანე კი 45 მეტრია. საფრანგეთის დედაქალაქის თავისებურ ორიენტს წარმოადგენს სახელგანთქმული ეიფელის კოშკი, რომლის მშენებლობაც მიეძღვნა პარიზის საერთაშორისო გამოფენას 1889 წელს. კოშკი უაღრესად ხანმოკლე ვადებში აშენდა 15000 ცალ-ცალკე ელემენტისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია 2,5 მილიონი სამაგრით. მისი სიმაღლე 320 მ. აღწევს და 1931 წლამდე წარმოადგენდა მსოფლიოს უმაღლეს ნაგებობას.

სენ-ჟენევიევის მთების ფერდობების ჩრდილოეთით მდებარე რაიონი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გადაიქცა მნიშვნელოვან საუნივერსიტეტო ცენტრად. მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან აქ ჩამოსული სტუდენტების საურთიერთობო ენას წარმოადგენდა ლათინური, ამიტომაც ამ რაიონმა ლათინური კვარტლის სახელი მიიღო. ლათინური კვარტლის უპირველესი ცენტრი, რა თქმა უნდა, სახელგანთქმული სორბონას უნივერსიტეტია, რომელიც სათავეს 1253 წლიდან იღებს, მის დამაარსებლად ითვლება მეფე ლუდოვიკ IX, მოძღვარი რობერტ დე სორბონა. აქვე, ამ რაიონში, მდებარეობს პანთეონი, ფრანგული კლასიციზმის უნიკალური შედევრი, ამ შენობის საერთო სიმაღლე 83 მეტრი, ხოლო მასზე აღმართული გუმბათის რადიუსი 23 მეტრია. სწორედ აქ განისვენებს მრავალი ფრანგი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს თავიანთ სამშობლოს მთელს მსოფლიოში, ესენია: ვოლტერი, რუსო, ჰიუგო, ჟორესი, სუფლო, ბერტელო, „მარსელიოზას“ ავტორი რუჟე დე ლილი და ა.შ.

პარიზის და მთელი საფრანგეთის სიამაყეს წარმოადგენს მსოფლიოში სახელგანთქმული ლუვრი თავისი უნიკალური ხელოვნების ნიმუშთა კოლექციით, რომელსაც სათავეში უდგას ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“ ანუ „ჯოკონდა“. ლუვრის საგამოფენო დარბაზების საერთო ფართობი 60000 კვ. მეტრს ჭარბობს, რითაც იგი უკონკურენტოა მსოფლიოში. ლუვრის არქიტექტორულ კომპლექსის ცენტრში 1989 წელს აღიმართა შუშის პირამიდა, რომელიც ჩინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორის ჟეო მინ პეიას ქმნილებაა.

„ჰაი თეჩის“ მიმართულების უნიკალურ ქმნილებას წარმოადგენს არქიტექტორების რიჩარდ როჯერსის და რენცო პიანოს ჟორჟ პომპიდუს სახელობის ეროვნული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი. იგი მწყობრში ჩადგა 1977 წელს. აქვე ახლოს მდებარეობს პარიზის მუნიციპალიტეტის ცენტრი, რომელიც განლაგებულია პარიზის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ შენობაში ოტელი-დე-ვილში.

პარიზის ისტორიულ ცენტრს წარმოადგენს კუნძული სიტე, თავისი განუმეორებელი არქიტექტურული ძეგლებით, სწორედ აქ მდებარეობს მსოფლიოში სახელგანთქმული პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქის არქიტექტურულ გვირგვინს წარმოადგენს, იგი უდაოდ მსოფლიო მემკვიდრეობის უნიკალური საგანძურის ნაწილია. მისი მშენებლობა 1163 წელს დაიწყეს. შენობას ამშვენებს ორი 69 მეტრის სიმაღლის კოშკი. ფასადის ცენტრში დომინირებს უზარმაზარი მრგვალი ფანჯარა „ვარდი“. ტაძარში მოეწყო ორი სამეფო კორონაცია: ჰენრი VI, რომელსაც, როგორც ინგლისის მეფეს აქ დაადგეს თავზე გვირგვინი, მას პრაქტიკულად არ უმართია საფრანგეთი და 1804 წელს ნაპოლეონ ბონაპარტი. ამ ცნობილ ტაძარში შედგა 1944 წლის 26 აგვისტოს საზეიმო ცერემონიალი, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთის განთავისუფლებას გერმანელი ჯარებისაგან.

პარიზი ლონდონთან და ნიუ-იორკთან ერთად საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიოში აღიარებული ცენტრია. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ მოქმედებს ორი მსოფლიო მნიშვნელობის ოპერა. ძველი ოპერა, რომელიც დღეს მხოლოდ საბალეტო ხელოვნებითაა წარმოდგენილი აშენდა 1861-75 წლებში ცნობილი არქიტექტორის შარლ გარნიეს ხელმძღვანელობით. 1989 წელს კი მწყობრში ჩადგა პარიზის მეორე ოპერა – ბასტილიის ოპერა, ამ ულტრათანამედროვე შენობის გახსნა ბასტილიის მოედანზე მიეძღვნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავს. ახალი ოპერის არქიტექტორი კი გახლდათ ნაკლებად ცნობილი კანადელი არქიტექტორი კარლოს ოთთი.

პარიზის დასავლეთით მდებარეობს დე ფანსის რაიონი, თანამედროვე არქიტექტურის თავისებური სამოთხე. სწორედ აქ მდებარეობს თანამედროვე პარიზის ისეთი ულტრათანამედროვე შენობები, როგორებიცაა ტექნიკისა და მრეწველობის თანამედროვე ცენტრი, უდიდესი სავაჭრო ცენტრი „წელინადის ოთხი დრო“, დიდი თაღი. ეს უკანასკნელი, მართლაც რომ საინჟინრო ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშია. იგი კუბს წარმოადგენს, რომელსაც შიგნიდან რუსული П ფორმა აქვს. მისი სიმაღლე 110 მეტრია, ხოლო წონა 300 ათასი ტონა. ის აშენდა დანიელი არქიტექტორის იოჰან ფონ სპრეკელსენოძის მიერ. დეფანსის რაიონში დღეისათვის ცხოვრობს 30 ათასი კაცი. საფრანგეთის დედაქალაქის თანამედროვე ნაგებობათა შორის უდაოდ უნდა აღინიშნოს უკვე პარიზის გარეუბან სენდენში 1997 წელს აგებული სტადიონი, რომელიც 80 ათას მაყურებელს იტევს. „ეს არის ყველაზე ლამაზი სტადიონი მსოფლიოში“ ამ სიტყვებით შეაფასა იგი 1997 წლის 30 ნოემბერს ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა, სწორედ ამ სტადიონზე ფრანგებმა ბრწყინვალე თამაშით დაამარცხა ბრაზილიის უძველესი საფეხბურთო გუნდი და 1998 წ. მსოფლიო ჩემპიონის სახელიც მოიპოვეს. აღნიშნული სტადიონის მშენებლობა დაახლოებით 470 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

გია ჭანტურია

უილსონ სიყვარულის ამბავი

ამერიკელი მწერალი დეიმონ რანიონი მრავალი მოთხრობის ავტორია. ვიდრე ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგებოდა, რანიონმა დიდხანს იმუშავა კრიმინალური ქრონიკის რეპორტიორად და კარგად გაეცნო 30-იანი წლების ამერიკის დამნაშავეთა სამყაროს. მისი ყველა ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი. მთხრობელი განგსტერული წრეების წარმომადგენელია და სპეციფიკურად მეტყველებს. რაც შეეხება დ. რანიონის მოთხრობათა სიუჟეტებს, ძნელია მკითხველმა პარალელი არ გაავლოს კიდევ ერთი უდიდესი ამერიკელი ნოველისტის ო'ჰენრის შემოქმედებასთან.

ზამთრის ცივი საღამოა, მანჰეტენის ხიდზე მანქანა გადმოდის, შიგ სამი ბრუკლინელი ჯეელი ზის. სამივეს ძალიან უნდა, ერთი მასტი, სახელად ბონი მაკარტი, გაჩითოს. ბონი მაკარტის მთელი ბროდვეი იცნობს, საქმე კარგად აქვს აწყობილი და ყველას სჯერა, ფარსაგი რამე თუ არ შეეძთხვა, ცნობილი კაცი გახდებაო. ბონი იმპორტზე მუშაობს, ამერიკასა და კანადაში საჭირო ხალხს იცნობს, ხარისხიანი სასმელი შემოაქვს და ყიდის.

ბონი სიმპათიური ბიჭია, ჭკუაც უჭრის, ოღონდ ეგაა, რომ ბროდვეიზე ზოგ-ზოგები თვლიან, ფრთხილად ვერ იქცევა, ბუღა ენჯის ტერიტორიაზე ბრუკლინში რომ იჭრებაო. ბუღა ენჯიც სასმელით ვაჭრობს, ამას გარდა, რეკეტსაც მისდევს და წამალსაც ასაღებს.

მაკარტის წამალი არ აინტერესებს, რეკეტი – ოღნავ. მაგარი ჯეელია, სჯერა, ბრუკლინის სარფიან ბაზარზე საქონლის გატანას ვერავინ დამიშლისო, მით უმეტეს, რომ მისი სასმელი ენჯისას ერთი თავით სჯობია.

ერთი სიტყვით, იმ სამი მასტიდან, მანქანაში რომ სხედან, ერთი ბუღა ენჯია, მეორე – მაზალო მაქსი, რომელიც ბრუკლინში ავტორიტეტად ითვლება, მესამე, სახელად მუზმუზელა ბობი, მაქსივით გამოჩენილი პიროვნება არაა, მაგრამ, ამბობენ, ნიჭიერი ბიჭია, ბევრი რამე ეხერხებაო. მე ეს ბობი გულზე არ მეხატება, მოქალაჩუნო სიფათი აქვს და იმიტომ.

მუზმუზელას ხელში ტომარა უჭირავს, ის „ჯვალოს ტომრის" სპეციალისტია. ბრუკლინში მაგარ შაყირად თვლიან, ვინმეს რომ გაკოჭავენ, ტომარაში ჩასვამენ და თავს მოუკრავენ. ეტყობა, ამ ტიპებს გუნებაში ედოთ, ბონი მაკარტი გამოიჭირონ და ჯვალოს ტომარაში მოაყუჩონ. მე თუ მკითხავთ, ამნაირი მატრაბაზობა უხეში შაყირია და მეტი არაფერი, თუმცა ბუღა ენჯისა და მისი ამფსონებისაგან სხვას რას უნდა ელოდო, თვითონაც უხეში მასტები არიან.

ეტყობა, ბონი მაკარტის ასავალ-დასავალი კარგად დაუმუდამებიათ, იციან, რომ საღამოობით, ასე 10 საათზე, ბონი 54-ე ქუჩას ჩაივლის, პარკ ავენიუზე გაუხვევს და ღამის კლუბ „ჩიტირეკიას" ესტუმრება. ცხოვრებაში გამოსული ტიპები ტასაობენ. ბონი ამ ღამის კლუბის მონაწილეა, თანაც ევასება, სმოკინგში ჩაიზმანება და კლუბში თავშეყრილ ლამაზ „კუკლებს" გაპრანჭება.

ჰოდა, ბრუკლინელი ჯეელები მაკარტის მოწვავენ, თუ არა, ბუღა ენჯი და მაზალო მაქსი გადაჭრილი თოფებიდან ჟაკანს უშენენ, მუზმუზელა ბობი, კი ჯვალოს ტომარას ისე აფრიალებს, ეტყობა, ჰგონია, ბონი მაკარტი ჩაისვრის, ისკუპებს და ტომარაში ჩახტებაო.

მაგრამ ბონი დაბღური არ გეგონოთ! ჟაკანი ყურში რომ ჩასწივლებს, წამში აზრზე მოდის, აგურის კედელს გადაევლება და ეზოს თავს შეაფარებს. ბუღა ენჯი, მაზალო მაქსი და მუზმუზელა ბობი მანქანიდან გადმოცვივდებიან და კედელს ეკვრიან. ფიქრობენ, მაკარტი შეიარაღებული იქნება და მოფარებულიდან სროლა თუ აგვიტეხა, კაი დღეს არ დაგვაყრისო.

არადა, ბონი უიარაღოა, იმიტომ რომ კოხტად მორგებულ სმოკინგს ატარებს და არ უყვარს, პიჯაკი რომ გამოებუშტება. ჰოდა, ჩვენი ისტორია იმ მომენტიდან იწყება, როცა სრულიად დაუცველი ბონი კედელს უკან იმალება. ეს ამბავი თვითონ ბონიმ მიამბო, იმიტომ რომ დიდ პატივს მცემს: ვიცი, რომ რცხვენია და მეც არსად არ წამომცდენია, მისი სრული სახელი ბონიფაცი რომაა.

კედელი, რომელსაც მაკარტი გადაახტა, დიდ ეზოს არტყია, შიგ ძველი ორსართულიანი სახლი დგას. ამ შენობას ვინ არ იცნობს! ყველა გეტყვით, საიდუმლოებით მოცული სახლიაო. იქ ერთი ბებერი კუკლა, ქალბატონი ანაბელა ბერკლი ცხოვრობს. გაზეთებს თუ კითხულობთ, ჩეშზე უკეთ გეცოდინებათ, ანაბელა ბერკლის იმდენი მაყუთი აქვს, დათვლა რომ დაიწყოთ, ტვინს იღრძობთ, განსაკუთრებით, თუ თავად მაყუთზე ქესატადა ხართ.

ანაბელა ბერკლის მაყუთი მამიკომ უანდერძა. უოლდო ბერკლიმ თავის დროზე დიდი ფული იშოვა. მაგარი შებერტყილი იყო. ქალაქში მიწის ნაკვეთებს ყიდულობდა და მერე ცეცხლის ფასად ყიდდა. ახლა რომ მაღაზიები, სასტუმროები და ჯიხურებია, სულ მის მიწაზეა გაშენებული.

უოლდო ბერკლი მურტალი ახირებული ვინმე იყო. ქალიშვილს გათხოვების უფლებას არ აძლევდა, ის კი არა, გათხოვებაზე ფიქრსაც კი უკრძალავდა. დრო გავიდა, ანაბელა დაბერდა და ოჯახის შექმნა და ცოლ-ქმრობა სულ ცალ ფეხზე დაიკიდა. მერე უოლდო ბერკლიმ თქვენი ჭირი წაიღო და ბებერ ანაბელასაც მაგარი ხუშტურები დასჩემდა.

ქალბატონი ბერკლი მთელ ქვეყანას ზურგს შეაქცევს, აღარავის ენახვება, მათ შორის ნათესავებს, რომლებიც რას არ ჩალიჩობენ, რომ ანაბელას როგორმე მაყუთი შეაწერონ. მოგეხსენებათ, თუ ადამიანი ვინმეს ეუბნება, შენი ნახვა არ მეკაიფებაო, ის იმ ადამიანს ახირებულის სახელს ანათლავს. ასეთი ნათლობა ყველაზე კარგად პირში ჩალაგამოვლებულ ნათესავებს ეხერხებათ.

იმ დიდ სახლში ანაბელა მარტოდმარტო ცხოვრობს, ორად-ორი ბეხრეკი მსახური ჰყავს, გარეთ იშვიათად გამოდის. ქალბატონ ბერკლიზე ხალხი ათას ჭორ-მართალს ყვება.

ჰოდა, ბონი მაკარტი იმ ეზოში ბოლთას სცემს, ერთი სული აქვს, იქედან დაითესოს, მაგრამ კედელზე გადაძვრომა არ ეპრიანება, აზრობს, რომ ქუჩაში ბუღა, მაზალო, მუზმუზელა, გადაჭრილი თოფი და ჯვალოს ტომარა ელოდება. თვალებს აცეცებს, გასაქცევ გზას ვერ პოულობს, ამასობაში კედლის ძგიდეზე თოფის ლულა იჩითება, მერე – ბუღა ენჯის მურდალი სიფათი. ბონი გულს ასკდება, ღლაპივით როგორ გამომიჭირესო. ეს სიტუაცია მაგრად უტეხავს.

ეზოში პატარა კარი გამოდის, ბონი ალალბედად სახელურს ეპოტინება, კარი იღება. მაკარტი თავს დიდ დარბაზში ამოყოფს. უზარმაზარი სასტუმრო ლამაზი ავეჯითაა გაწყობილი, კედლებზე ძველებური სურათები ჰკიდია. დარბაზს ქანდაკებებიც ამშვენებს, კუთხეში უშველებელი კედლის საათი დგას. ერთი სიტყვით, მდიდრული, საკაიფო ადგილია ბონი მაკარტი გაშტერებული იყურება: ეგონა, ამ საიდუმლოებიან სახლში აბლაბუდებს, გამომპალ ავეჯს და ვამპირებს გავჩითავო.

ვამპირებს კი არა, პატარა, ბებერ კუკლას ხედავს. მოხუცს თეთრი კაბა აცვია, სავარძელში ზის და ბუხარს ეფიცხება. ერთი პიროობა ბონი ფიქრობს, სანამ ყვირილი არ აუტეხია, იქნებ გავთიშოო. ამ დროს ბებერი კუკლა ბონის შეხედავს, თბილად გაუღიმებს და ეუბნება:

– საღამო მშვიდობისა!

ბონი არ პასუხობს, იმიტომ რომ ასეთ საღამოზე „მშვიდობისაო", ვერ იტყვი. შუა ოთახში დგას და არ იცის, რა მოიმოქმედოს. ბებერი კუკლა ისევ იღიმება და ანიშნებს, ჩამოჯექიო.

სულ მალე მაკარტიც ბუხართან ზის და კუკლას ეღადავება. ბებერი კუკლა, რა თქმა უნდა, ქალბატონი ანაბელა ბერკლი ბრძანდება. უცნობი ჯეელი სახლში დაუკითხავად შეუვარდა, ანაბელას კი არც შიში ეტყობა, არც – გაკვირვება. სიმართლე თუ გინდათ, ბონი მაკარტი ისეთი ჯიგარია, თან ისეა დაზმანული, რომ კუკლას მაგრად აკაიფებს.

გაზეთებს ბონიც კითხულობს, კარგად იცის, ვინაა ანაბელა ბერკლი და ცოტა შერეკილი ჰგონია. ამდენი მაყუთის პატრონი იყო და სახლში ჩაიკეტო, როცა ქალაქში ასეთი გრიალია? ამას კი ფიქრობს, მაგრამ ზრდილობიანად იქცევა, სტუმარია და იმიტომ.

– რა ახალგაზრდა ხართ, – ამბობს ანაბელა და ბონის სიფათში შეჰყურებს:

– რა ხანია, ამ სახლის კარი ახალგაზრდას არ გაუღია. ო, რა ხანია...

ისე ღრმად ოხრავს, ისეთ გატეხილშია, რომ ბონის გული უკვდება.

– 45 წელი გავიდა, – მოხუცი ისე ჩურჩულებს, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო: – ახალგაზრდა იყო, სანდომიანი და სათნო...

ბონის თვალწინ უდგას გადაჭრილი თოფის ღულა და ბუღა ენჯის სიფათი, მაგრამ უნებურად იტაცებს ნაღვლიანი ამბავი, ბებერი კუკლა რომ უყვება: ანაბელას სიგიჟემდე ყვარებია ერთი ახალგაზრდა, რომელიც მამამისის კომპანიაში უბრალო კლერკად მუშაობდა.

როგორც ბონიმ მერე მითხრა, იმ ჯეელს ისეთი არაფერი სჭირდა, ერთ-ორ ლიმონს რომ ვერ ეშველა, მაგრამ ანაბელას მამა ისეთი ბოღმის ბუკეტი იყო, არაფრის გაგონება არ უნდოდა. ახალგაზრდები გულს არ იტეხდნენ: ბებერი უოლდო ლოგინში რომ ჩაწვებოდა, ჯეელი ეზოდან შემოიძურწებოდა და თავის კუკლას ჩაეფსკვნებოდა. ბუხართან ხელიხელჩაკიდებულები ისხდნენ და მომავალზე კაიფობდნენ, გეგმავდნენ, ჯვარს როგორ დაიწერდნენ იმის მერე, ბებერი უოლდო საიქიოში წერილს რომ წაიღებდა.

ერთხელ უოლდო მუცლის თუ რაღაც ოხრობის ტკივილმა გამოაღვიძა, ადგა და სასტუმრო ოთახს მიაშურა – რომს, ვისკის, თუ ვინ იცის, რა ღვთის რისხვას ეძებდა. იქ ნორჩი ანაბელა და მისი შეყვარებული გაჩითა. ისე იყვნენ ჩახუტებულ-ჩაწებებული, ლურსმნით მიჭედებული გეგონებოდათ.

უოლდო ბერკლიმ თვალებიდან სულ ნაპერწკლები გადმოყარა, ჯეელს უბრძანა, არც აქ, არც ჩემს ოფისში აღარ დაგინახოთ და გარეთ გააპანღურა. საშინელი ქარბუქი ყველაფერს ანგრევდა. ანაბელა მამას ემუდარა, ნება დართე, აქ დარჩეს, სანამ ქარი ჩადგებაო, მაგრამ ბებერ უოლდოს თვალწინ ის მტლაშამტლეშის სცენა ედგა, თან მუცელი სტკიოდა, თან დიდი მუტრუკი ვინმე იყო და ამიტომ პირველ ჩვენებას მიაწვა: ჯეელს თავი ქუჩაში უკრა.

დილით ის ჯეელი ეზოს კართან იპოვეს, ფიცარივით გაშეშებული. ქარაშოტში უბედურმა გზა ვერ გააგნო, დაბრუნდა, იქნებ უკან შემიშვანო, მაგრამ უოლდოს ყველა კარი ჩაეკეტა. იმის ბრახუნსა და ყვირილს კი იმ ქარბუქში ვინ გაიგონებდა?

– იმის მერე, – ანაბელა ბონის ეუბნება: – მამაჩემისათვის ხმა არ გამიცია. ამ სახლში სხვა კაცი არასოდეს შემოსულა, თუმცა მაგ კარს ყოველთვის ღიად ვტოვებ ეგების ვინმე გაჭირვებულმა თავი შეაფაროს-შეთქი.

ამას რომ ამბობს, ანაბელა მაკარტის ისეთი თვალებით უყურებს, ბონის ეჭვი უჩნდება, თოფების ბათქი ხომ არ გაიგონაო. მაგრამ ბონი ზრდილობიანი ბიჭია და ზედმეტი კითხვებით თავს არ აბეზრებს. ძველი ამბების გახსენება ანაბელა ბერკლის ცუდ ხასიათზე აყენებს, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის. აღრეც გითხარით, ბონი მაგარი ბიჭია-მეთქი, არაფერს არ ეპუება, მაგრამ ერთი სისუსტე სჭირს, ვერ იტანს როცა კუკლა ტირის, გინდ ახალგაზრდა იყოს, გინდა ბებერი. ამიტომ ანაბელას ამხნევებს, მკლავებზე ხელს უთათუნებს და ასე ეუბნება:

–ძალიან მიკვირს, რომ ამბობთ, აქ არავინ მოდისო, ძვირფასო, რომ მცოდნოდა, ამ სახლში ასეთი ლამაზი კუკლა ცხოვრობს, თანაც კარი მუდამ ღიაა, ვერაფერი დამაკავებდა, ყოველ ღამე აქ ვეგდებოდი. დამშვიდდით,

მხატვარი თ. სამსონაძე

ცრემლი შეიმშრალეთ, ვიღაცათ და გული გადავაყოლოთ, მით უმეტეს, რომ აქ კაი ხანი მომიწევს ყოფნა. მითხარი, ლამაზო, სახლში დასალევი მოიძებნება?

ამ სიტყვებზე ანაბელას ეღიმება, ცრემლს იწმენდს, ფოჩიან ბაწარს დაქაჩავს და ზარს აწკარუნებს. ოთახში 90 წლის ჯეელი შემოდის, ბონის რომ დაინახავს, გაოცებისაგან პირს აბჩენს, ცალი თვალი ალთას გაურბის, ცალი – ბალთას. ანაბელა უბრძანებს, ღვინო და ბუტერბროდები მოგვართვეო, ის კი ლენჩივით მარტო თავს აქიცინებს. შოკშია, მთვრალივით ბარბაცებს, კარის მაგივრად კინაღამ კარადაში შედის.

მალე ბრუნდება და ისეთი ღვინო მოაქვს, ბონი ჭკუაზე გადადის. თან ფიქრობს, ეზოს კარი მაინც არ იკეტება, იქნებ ხვალ ჩემი ბიჭები გამოვაგზავნო და ღვინო ავაწაპნიოო. ეჭვი არაა, ასეთ ღვინოს კლიენტები ხელიდან გამოსტაცებენ.

ბონი მაკარტი და ანაბელა ბერკლი ბუხართან სხედან, ღვინოს წრუპავენ და ბუტერბროდებს შეექცევიან. ბონი ხან ერთ ისტორიას უყვება, ხან მეორეს, თანაც ამბავს შიგადაშიგ აშალაშინებს, ანაბელას ძალიან რომ არ ეხამუშოს. ბებერ კუკლას მაგრად უსწორდება, გულიანად იცინის და ერთ ამბავშია.

ბოლოს ბონი აზრობს, ბუღა ენჯი და მისი კუდები თავიანთი გადაჭრილი თოფებით და ჯვალოს ტომრით წათრეულები იქნებიანო და ბებერ კუკლას ემშვიდობება. ანაბელა თავად აცილებს, ოღონდ ეზოს კარამდე კი არა, სადარბაზომდე. ბონის ახსენდება, ბროდვეის თეატრში ერთი სცენა რომ ნახა, ანაბელას ხელი ტუჩებთან მიაქვს და მაგრად კოცნის. ანაბელა ბერკლი გაოცებულია, ბონიც გაშტერებულია, საკუთარი თავის თვითონ უკვირს.

ქუჩაში მართლაც აღარავინ ელოდება, ბონი გზას განაგრძობს და ძალე „ჩიტირეკიაში“ იჩითება. ხედავს, რომ იქაური კლიენტები ნერვიულობენ, ვითუ ბონიმ მართლა მუზმუზელას ტომარაში ამოჰყო თავიო.

ერთი მასტი ბონის ეუბნება, ბუღა ენჯი ამჟამად 49-ე ქუჩაზე, ლოთიანი ჩარლის სპიკიზიში ბაირამობს, ყველას სასმელით უმასპინძლდება და იკვეხნის, ბონი მაკარტი ისე ავიყვანე, კუდამოძუებული გარბოდა, კედელს კურდღელივით ახტებოდაო. ეს რომ ესმის, ბონის მაგრად უტყდება.

ბუღა შუა სმაშია, ისევ ისე შაყირობს, ბონი სიმაღლეზე ხტომაში ვავარჯიშეო. ამ დროს ლოთიანი ჩარლის სპიკიზიში იარაღმომარჯვებული მასტი შემოდის და ბუღა ენჯის ოთხ ტყვიას ისე სწრაფად აჭედებს, „ვაიმეს“ თქმას ვერავინ ასწრებს.

ამას გარდა, ის მასტი ერთ ტყვიას მაზალო მაქსს ახლის, ერთსაც მუზმუზელას. ხუთი წამის წინ სამივე მაგარ კაიფში იყო, ახლა კი ბუღა ლურსმანივით უსულოდ აგდია, მაზალო – ბუღაზე ორჯერ უფრო მკვდარია, მუზმუზელას კი დაჭრილი ფეხი გაუჩაჩხია და იქაურობას კივილით იკლებს. იმ მასტის გარეგნობა, რა თქმა უნდა, არავის ახსომდება, გარდა ერთი-ორი დამსმენისა, ხალხში „კრუხებს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეძახიან. ეს „კრუხები“ პოლიციას უკაკლავენ თავდამსხმელი ბონი მაკარტი იყოო.

პოლიციასაც მეტი რა უნდა! დილა თენდება და ბონი მაკარტის აპატიმრებენ. როგორც გეუბნებოდით, ბონი გამოჩენილი პიროვნებაა, პოლიციაშიც კარგად იცნობენ და, უეჭველია, მკაცრად დასჯიან, შეიძლება ელექტროსკამზედაც დასვან. ბონი „ნაფიც“ გოლდსტეინს ქირაობს, ეს გოლდსტეინი ქალაქში საუკეთესო ადვოკატად ითვლება, მაგრამ ამბობს, მაკარტი მაგრადაა გაჭედილიო. გაზეთები ბონის სურათებითა და მისი ამბებითაა აჭრელებული, რეპორტიორები მაკარტის იხსენიებენ.

ბოლოს და ბოლოს ბონისაც ეჭვი ებადება, ჩემი საქმე მართლა ცუდადააო, თუმცა ისეთ პატარა ამბავს, როგორც განზრახ მკვლელობის ბრალდებაა, აქამდე არასოდეს შეუშინებია. პროკურორი მაკარტის თავდდებით გამოშვებას აჭიანურებს, მთელი ორი კვირა ბონის ვირის აბანოში აყურყუტებს, რაც, ისეთ მგრძნობიარე ჯეელში, როგორც ბონი მაკარტია, უარყოფით ემოციებს იწვევს.

სასამართლო იწყება და ვისაც უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, მაკარტის სასჯელი არ ასცდებაო. მერე დამსმენები გამოდიან და უკვე კითხვაც არ უნდა, ისედაც ნათელია, რომ ბონი შავ დღეშია. „კრუხები“ ჩვენებას იძლევიან“ 5 იანვარს, ზუსტად ღამის 12 საათზე, ბონი მაკარტი ლოთიანი ჩარლის სპიკიზიში გაიჩითა და ბუღა ენჯი, მაზალო მაქსი და მუზმუზელა ბობი „დაპლომბაო“. კიდევ რამდენიმე მოწმეც გამოიქექა, ისინიც ადასტურებენ, ასე, 12 საათზე ჩარლის ბუნაგის მიდამოებში ბონი მოვწვითო.

ყველა ასე ფიქრობს: თუ ბონის ელექტროსკამი აიცილა, გოლდსტეინი მართლა მაგარი ადვოკატი ყოფილაო.

საღამო ხანია, სიტყვა დაცვას ეძლევა. „ნაფიცი“ გოლდსტეინი ფეხზე დგება, გაჭედილ დარბაზს ათვალიერებს და აცხადებს:

– ქალბატონ ანაბელა ბერკლის სთხოვეთ, შემობრძანდეს!

თავიდან ვერავინ აზრზე ვერ მოდის, ვის ეძახის „ნაფიცი“ გოლდსტეინი, თუმცა ვინც გაზეთს კითხულობს, ეს სახელი და გვარი ყველას ეცნაურება. კარი იღება და შემოდის შავ კაბაში გამოწყობილი პატარა, ბებერი კუკლა. შავი შლაპა ახურავს, თეთრი თმები და თეთრი პირისახე ჩარჩოში ჩასმული გეგონებათ.

მოგვიანებით ერთ გაზეთში წავიკითხე, სასამართლო დარბაზში ქალბატონი ბერკლი ისე მომხიბლავად გამოიყურებოდა, გაცოცხლებულ სპილოს ძვლის მინიატურას ჰგავდაო. აბა, სხვას რას დაწერდნენ, ანაბელა ისეთი მაყუთის პატრონია, რომელი ჟურნალისტი გაბედავს, ბებერ კუკლას ბებერი კუკლა დაუძახოს?

ანაბელა ბერკლის თან უამრავი ბებერი ჯეელი ახლავს, იფიქრებთ, მოხუცთა თავშესაფარში მოვხვდიო. ყველა ფრაკებში, ხეშეშ პერანგებსა და პეპელა ყელსახვევშია ჩაზმანული. თურმე ესენი ქალაქში ცნობილი იურისტები არიან, ყველანი ანაბელა ბერკლის ინტერესებს იცავენ, უმთავრესად, ერთმანეთისაგან.

სასამართლოში ასეთი ჩოჩქოლი და რეკვერანსები ჩემს დღეში არ მინახავს. თავად მოსამართლეც ფეხზე დგება და ქალბატონ ბერკლის თავს უკრავს. ანაბელა მოწმის ადგილს იკავებს, მის ირგვლივ ბებერი ადვოკატები სხდებიან. ქუჩაში ისეთი აყალმაყალია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ხმა დაირხა, სასამართლოში ანაბელა ბერკლი გაიჩითაო და მთელი ქალაქი აქეთ მორბის, ყველას უნდა თვალი შეავლოს მსოფლიოში უმდიდრეს ბებერ კუკლას.

დარბაზი თანდათან წყნარდება და „ნაფიცი“ გოლდსტეინი ანაბელა ბერკლის ასე ეუბნება:

– ქალბატონო ბერკლი, თუ არ შეწუხდებით, ორ-სამ კითხვაზე მიპასუხეთ. შეხედეთ ბრალდებულს, – ხელს ბონისკენ იშვერს, აგრძნობინებს, ადექიო:

– იცნობთ მას?

ანაბელა თანხმობის ნიშნად თავს აქნევს. ბონი ბებერ კუკლას ყურებამდე უღიმის. გოლდსტეინი განაგრძობს:

– 5 იანვარს, ღამით, ეს კაცი თქვენს სახლში იმყოფებოდა?

– დიახ. – ამბობს ანაბელა ბერკლი.

– იმ ოთახში, სადაც თქვენ ისხედით, საათი გაქვთ?

– დიახ, პასუხობს ანაბელა: – დიდი კედლის საათი დგას.

– თუ შეამჩნიეთ, რა დროს აჩვენებდა საათი, როცა ბრალდებული თქვენგან წავიდა?

– შევამჩნიე, – ამბობს ანაბელა: – ჩემს საათზე 12 საათი იყო. ზუსტად 12.

ეს დარბაზში დიდ გამოცოცხლებას იწვევს: თუ ბონი ქალბატონ ბერკლის სახლიდან 12 საათზე გამოვიდა, ვერაფრით ვერ მოახერხებდა იმავდროულად ლოთიანი ჩარლის პატარა სპიკიზიში გაჩითულიყო, რადგან ჩარლის ბუნაგს იმ ადგილიდან კაი ხუთი კვარტალი აშორებს. მოსამართლე პოლიციელებს სათვალეების ზემოდან უბღვერს, პოლიციელები დამსმენებს თვალებით ჭამენ, სიფათებზე აწერიათ, აქედან რომ გავლენ, ამ „კრუხებს“ მაგარ წიწილებს გამოაჩეკინებენ.

პროკურორი და მისი თანაშემწეები უხერხულად იშმუშნებიან. მსაჯულები ერთმანეთს ეჩურჩულებიან. „ნაფიცი“ გოლდსტეინი აცხადებს, ჩემი კლიენტი უდანაშაულოა, ბრალდება მოუხსენითო. მოსამართლე ეთანხმება, თან უმატებს, დროა, პოლიცია აზრზე მოვიდეს, მტყუანია და მართლის გარჩევა ისწავლოსო.

ბონი მაკარტი თავისუფალია. სანამ დარბაზიდან გავიდოდეს, ქალბატონ ანაბელა ბერკლისთან მიდის, ხელს არომევს და მადლობას უხდის. მართალია, მე ვერ გავიგონე, მაგრამ ვინც მოისმინა, იმან მითხრა – ანაბელა ბონის ასე ეუბნება.

– როცა მოიცლით, მომინახულეთ, ახალგაზრდავ.

– აუცილებლად შემოვივლი, ლამაზო, – პასუხობს ბონი – ზუსტად 12 საათზე.

მერე ბონი მაკარტი თავის გზით მიდის, ანაბელა ბერკლი – თავისი გზით. ქალაქში ლაპარაკობენ, ქალბატონმა ბერკლიმ მაგრად გაასწორა, სამართალს პური აჭამა და უდანაშაულო ჯეელი სიკვდილს გადაარჩინაო.

მე თუ მკითხავთ, ბონი მაკარტი ბედს უნდა უმადლოდეს, რომ ბებერმა კუკლამ სასამართლოში ბევრი არ იღადავა და არ დააზუსტა, რომ მისი შეყვარებული ჯეელი ღამის 12 საათზე გაითოშა, რომ ანაბელამ სახლში ყველა საათი ამ დროზე გააჩერა, და რომ უკვე 45 წელია ქალბატონ ბერკლის სახლში ყოველთვის 12 საათია.

ინგლისურიდან თარგმნა
ვალერი ჭკადუამ.

ხსოვნა

„ხელი მონისა, ლპების,
ხოლო ნაწერი მისი ჰგიეს,
უკუნითი უკუნისამდე“

● სიზმარი და ზმანება, ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის და ფილოსოფოსის უილიამ ჯემსის განმარტებით, ერთმანეთისაგან განსხვავდება. სიზმარში გამოცხადებული არ არის არსებული – იგი ორეულია. ზმანებაში აღქმული კი ნამდვილობით და ხანიერებით ხასიათდება. ეს ნამდვილობა სიცხადის სიძაფრით გამოირჩევა, ეს ხანიერება დროში განუზომლობით-მუდმივობით.

ამას წინათ გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე, პროფესორი გივი ბახტაძე, რომელთანაც ათეული წლების ურთიერთობა-მეგობრობა მაკავშირებდა, ზმანებაში გამომეცხადა – ნამდვილად და ხანიერად.

***

არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნად (საწუთროში) თავიანთ არსებობით ცხოვრებას გვიადვილებენ, მათი სიკვდილი კი იმქვეყნიურში (არახილულში) წასვლის სიძნელებშიც – სიკვდილის შიშის დაძლევაში გვეხმარებიან, რადგან მათი გარდაცვალებით ჩვენი გარდაცვალებაც აღარ არის დიდი ტრაგედია – „ყოფნა-არყოფნის“ პრობლემის გადაწყვეტაც მარტივდება.

ასეთ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა გივი ბახტაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონმა გივიმ მეტად საინტერესო შემოქმედებითი, წარმატებული ცხოვრების გზა განვლო – ყველა რეგალიაწოდება მოიპოვა, რაც ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემულ საქართველოს ენციკლოპედიის პირველ ტომში მართლებულად აღინიშნა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ენციკლოპედიაში შეუძლებელი იყო ბატონი გივის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ყველა თავისებურება ასახულიყო.

...ყველა წოდებაზე უფრო მაღალი წოდება ის იყო, რომ გივი ბახტაძე კაცური კაცი – რომანტიკოსი იყო. მას ამ გამორჩეული წოდების მოპოვებისათვის საჭირო ყველა ნიშან-თვისება გააჩნდა.

...გივი ბახტაძე აზროვნების წესით ფილოსოფოსი იყო. იმხანად ფრანგული ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლების: სარტრის, კამიუს, ეგზიუპერის ნაშრომებით იყვნენ გატაცებულნი თბილისელი ინტელექტუალები. საათობით ვმსჯელობდით სიკვდილ-სიცოცხლის ეგზისტენციალურ რაობაზე. უდიდესი გავლენა მოახდინა მის სულზე კამიუს „უცნობმა“ – მერსის ტრაგედიას თვითონ განიცდიდა. უყვარდა ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ და „ადამიანთა

რა აქიმი დასნეულდეს...

შენ ჩვენთანა ხარ!

მიწა“, რადგან თვითონ იყო ჭეშმარიტი ფილოსოფოსი.

...საოცარი სიყვარული იცოდა. ამ გრძნობასთან დაკავშირებით მაქსიმალისტი იყო. სანახევრო ან ზერელე სიყვარული მას არ შეეძლო.

პირამდე სავსე სიყვარული ყველა მიმართულებით ვლინდებოდა:

მისი საოცრად ფაქიზი და მაღალი კოლხური სულის მქონე დედისადმი;

მისი ცხოვრების შესანიშნავი თანამგზავრის – მეუღლისადმი;

მისი ერთადერთი შვილისადმი;

მრავალრიცხოვანი პაციენტებისადმი;

მეგობრებისადმი;

ბუნებისადმი დამოკიდებულებაში;

მისი სალოცავისა და ხატისადმი – საქართველოსადმი.

გამორჩეული იყო გარეგნობით და სანიმუშო ქცევით, ადამიანებთან ურთიერთობით, ტრადიციების დაცვის მოთხოვნით.

არ დააკლდებოდა ჭირ-ვარამისა და ზეიმურობის აღსანიშნავ თავშეყრას.

სისავსით აღნიშნავდა ოჯახის წევრთა დაბადების დღეებს და ღირშესანიშნავ დღესასწაულებს.

განსაკუთრებული მოწიწებით და სინაზით იხდიდა შვილის ვალს დედის დაბადების დღის აღნიშვნით, რომელსაც შესაშური და ფაქიზი ორგანიზებულობით ატარებდა.

უყვარდა საქართველოს ისტორია – ქართველი ერის მატიანე და, რასაკვირველია, ქართული მედიცინის ისტორია.

ასე მგონია, მის სისხლსა და გონში კოლხური (დედის წარმომავლობიდან) ელფერი ჭარბობდა.

...გივი ბახტაძე გასაოცარი თბილისელი იყო.

უყვარდა თბილისის უბნები – ფიქრის გორა, „სემიონოვკა“, ვერე, სადაც ცნობილი თბილისელების, დიდი ექიმების პეტრე ქავთარაძის და დიმიტრი გედევანიშვილის (დიდებული და ულამაზესი ქალბატონის – თამარ ციციშვილის მეუღლის) მეზობლად (ერთ სადარბაზოში) ცხოვრობდა.

მეზობლობაც თბილისური (იმდროინდელი თბილისური) იცოდა.

ძალიან უყვარდა ფეხბურთის ესთეტიკა – თბილისის „დინამო“.

იმ პერიოდში თბილისში კონიაკების კოლექციონერობის ბუმი იყო. ამაშიც არავის უთმობდა პირველობას. ყველამ იცოდა მისი კოლექციის მრავალფეროვნება და სიმდიდრე.

...დაუსრულებლად შეიძლება გივი ბახტაძის კაცური კაცობის დამადასტურებელი თვისებების ჩამოთვლა, დაუსრულებლად და სიამოვნებით. დამატებით ის უნდა ითქვას, რომ ნამდვილი რომანტიკოსი იყო, სუფთა თვალების, სუფთა სულის, ნამდვილი ქართული რომანტიკოსი.

...ბატონი გივი დიდად ერუდირებული, წიგნიერი კაცი იყო. თხუთმეტი წლის წინათ დასტამბული მისი წიგნი „ექიმობა ჩემი პროფესიაა“ ამის დასტურია და არა მხოლოდ ამის.

სენტენციების სიმრავლე, სამედიცინო დეონტოლოგიის თვალსაჩინო მაგალითების სიუხვე, პროფესიული სიმაღლე, პაციენტისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობა, პრობლემის მრავალსპექტრიანობის გათავისება, მისი თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება და სხვა. – აი, ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც წიგნში გვხვდება.

კითხულობ ამ წიგნს და ასეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოსდა იგი მის ავტორს ამ დღეებში დაუწერია-ბიოსამედიცინო ეთიკის პრობლემებით სავსე ეპოქაში, ტექნიკით გადაჭარბებული საექიმო პრაქტიკის დროს, ადამიანური სითბოს დეფიციტის პირობებში:

„ვიწრო სპეციალიზაციას მედიცინაში ერთი უხერხული მხარე აქვს. საკმაოდ ხშირად, ვიწრო სპეციალისტი არ ეხმარება ავადმყოფს, გაჭირვებაში მყოფ პაციენტს, როცა იგი ვალდებულია ეს გააკეთოს! არგუმენტი? – ეს არ არის მისი საქმე, იგი არ არის ამ დარგის სპეციალისტი!“

„სამედიცინო პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა და მომავალშიც უნდა დარჩეს ექიმის ავადმყოფთან დაახლოების უნარი. რამდენი ექიმი, რომელსაც დიდი პროფესიული ცოდნა ჰქონდა, დამარცხებულა პრაქტიკულ მოღვაწეობაში საშუალო დონის ექიმთან, რომელიც კარგად და სრულყოფილად მოდულირებდა ავადმყოფის სულსა და გულს“.

„...ექიმი მოვალეა ესაუბროს ავადმყოფს არა მისი დაავადების ირგვლივ, არამედ სხვა საკითხებზეც, რაც ავადმყოფის ინტერესების სფეროს წარმოადგენს... მას (ექიმს) უნდა შეეძლოს მოუნახოს გასაღები ავადმყოფის სულსა და გულს“.

როგორ ჭირდება ეს დამოძღვრა და მოქმედება უპატრონოდ დარჩენილ ათასობით და ათიათასობით ავადმყოფ ადამიანს, რადგან მათ სულსა და გულზე აღარავინ ფიქრობს.

როგორ ჭირდება შენებური მიდგომა და ზრუნვა, შენი სულიერება და გარჯა, შენს პაციენტებს და სრულიად საქართველოს.

მაგრამ, ბატონო გივი! შენ ჩვენთან, საქართველოსთან ხარ შენი ნამოღვაწარით, შენი აზრებით, შენი კაცური კაცობით, შენი სურვილებით, ჩვენში არსებული „შენით“.

შენი წიგნები – ნაწერი, შენი ანდერძი – „ექიმობა ჩემი პროფესიაა“ – თავის საქმეს აკეთებს, გვაფხიზლებს, იმედს გვისახავს, ადამიანურობისკენ გვაბრუნებს.

ესე საწუთრო არს, ასახილული იგი საუკუნით. ნათელში იყოს იმ საუკუნო სამყაროში შენი სუფთა სული.

ამინ!

დავით გეგეშიძე,
პროფესორი.

პავლე ჭავჭავაძე

ეთეკი ალაჯისა

(ფრაგმენტი რომანიდან)

სახელოვანი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილის – ამერიკელი მწერლის პავლე ჭავჭავაძის სახელი უკვე ცნობილი უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის. ფრაგმენტები მისი რომანიდან „რამეთუ იდგა შავგნელი ღამე“, რომელშიც ასახულია 1917 წლის მოვლენები პეტროგრადში, ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, კერძოდ ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზეც („ლენინი შვეიცარიაში“ – 1996, № 10 და „ღმერთი აღარაფერს გინყალობებთ“ – 1997, № 1).

ამჯერად ვბეჭდავთ ფრაგმენტს პავლე ჭავჭავაძის რომანიდან „მთები ალაჰისა“, სადაც მოქმედება მიმდინარეობს 1854 – 1855 წლებში. ამ ნაწარმოებში მოთხრობილია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ოჯახის გატაცება ნინანდლიდან ლეკთა მიერ და ტყვეობა ვედენოში – იმამ შამილის რეზიდენციაში.

იმავე საღამოს, დაახლოებით რვა საათზე, შუანეთი, შამილის მეორე ცოლი, ერთობ აღგზნებული შემოვარდა ტყვეთა ოთახში და გამოაცხადა, იმამს ბავშვების ნახვა სწადიაო. მისი სიტყვით, ქალთაგან ერთ-ერთს, ოღონდ კნეინებს არაო, შეეძლო გაჰყოლოდა ბავშვებს და თვალი ედევნებინა იმ პირობით, რომ იმამის სამყოფელის ზღურბლს არ გადააბიჯებდა. კნეინა ანამ თავისი ჩვილი სანდრო მკლავებში ჩაუგორა ზოიას და შეევედრა, თვალი არ მოაშოროო; შიშობდა, რადგანაც ჩვილი, მართალია, ცოტათი მოკეთებულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ ავადმყოფი ერქვა.

შამილის ოთახის კარი გაიღო და იქიდან შუქი გამოკრთა. ზოია მიუახლოვდა კარს. მისი ცნობისმოყვარეობა შეზავებოდა გარკვეულ ძრწოლას. მაგრამ ზღურბლს რომ მიადგა, ანაზდად გაოცებამ შეიპყრო.

გრძელსა და ვიწრო ოთახში, რომელსაც რამდენიმე ქონის სანთელი ანათებდა, იატაკზე ფეხმორთხმით იჯდა შამილი. მის წინ დაბალ სკამზე წამოსკუპებულიყო ულაზათო შავ-თეთრი კატა და მოშიებული შეჰყურებდა, თუ როგორ უმზადებდა შამილი საჭმელს მომცრო თიხის ჯამში. მისი მწითური წვერი ნაკლებად ელვარებდა გრძელი , შავი სამოსელის ფონზე. შამილი ლამის კრუტუნით ელაპარაკებოდა კატას. ვიწრო თვალები სანახევროდ მოეხუჭა. ყოველი მისი მოძრაობა მოზომილი და ღირსებით აღსავსე იყო. დიდებული შესახედაობა ჰქონდა. თავზე თეთრი დოლბანდი შემოეხვია ფესის გარშემო და ჩახლართული დოლბანდის ბოლოები თავისუფლად გადაჰკიდებოდა ზურგზე. შავი ბეწვის კიდე შემორტყმოდა შუბლს, და დოლბანდი ვეება თეთრ გვირგვინს ემსგავსებოდა.

შამილმა ჯამი მაგიდაზე დაუდო კატას და ყურს უკან მოფხანა. ამის დანახვაზე სალომეს, მარიამსა და თამარს, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ და ფართოდ გახელილი თვალებით უცქერდნენ სანახაობას, აღტაცებული სიცილი აუტყდათ. შამილმა გაუღიმა ბავშვებს. ამინეთი, მესამე ცოლი შამილისა, იქვე ფუსფუსებდა, მზად იყო, რომ ვახშამი მიერთმია და მომსახურებოდა, მაგრამ შამილმა ხელის აქნევით მოიშორა იგი და შუანეთს დაუქნია თავი.

შუანეთმა შვიდი თვის გიორგი ორბელიანი დააწვინა შამილის გვერდით მოთავსებულ დიდ, წითელ ბალიშზე და სამივე გოგოს უთხრა, ახლოს მოდითო. შამილმა გოგოებს თავზე გადაუსვა ხელი, მერე ჯიბეში მოიფათურა, მთელი მუჭა ნუშის კარამელი ამოაცურა და ბავშვებს პირში ჩაუტენა.

ახლა სანდროს ჯერი დადგა და შუანეთმა ბავშვი გამოართვა ზოიას.

შამილს მაშინვე არ შეუხედავს ზოიასათვის და ქალს ეს ესიამოვნა; დრო მიეცა, რომ ირგვლივ ყველაფერი მიეთვალიერ-მოეთვალიერებინა. იატაკზე გაშლილ ხალიჩებსა და რამდენიმე დიდ, წითელ მუთაქას თუ არ ჩათვლიდი, ოთახი ძალზე უბრალოდ გამოიყურებოდა. რამდენიმე ხანჯალი და ხმალი ეკიდა თეთრად შეღებილ კედლებზე, რამდენიმე მოზრდილი, ტყავგადაკრული წიგნი იდო თაროზე – ეს იყო და ეს. ვახშამიც კი, ამინეთს რომ გაემზადებინა, ღარიბული იყო: ერთი ჭიქა ყავისფერი ჩაი, რძე, ყველი და თეთრი პურის ორი პაწია ნაჭერი.

შამილი დაიხარა სანდროსკენ და ღრმა ნაოჭმა შეუჭმუხნა წარბები. გამხდარი და ფერმკრთალი ბალღი ეწვა კალთაში. თავი გააქნია და პირველად, მხოლოდ ერთხელ, პირდაპირ შეხედა ზოიას. თვალები, ჩვეულებისამებრ, სანახევროდ მოხუჭული ჰქონდა, მაგრამ მზერა დაძაბული იყო. ზოია უმადლოდა თავის პირბადეს. შამილი თვალჩაციებით შეჰყურებდა მთელი ერთი წუთი, მერე შებრუნდა, აშკარად დაეტყო, რომ არ მოეწონა მისი ტანსაცმელი და შლიაპა. მან მკაცრი ხმით რამდენიმე სიტყვა უთხრა თავის ცოლებს და ხელის აქნევით მოიშორა ბავშვები. შუანეთმა სანდრო დაუბრუნა ზოიას და ბალიშიდან აიყვანა გიორგი. „იმამი ამბობს, ამდენი სიკვდილი გვეყოფაო. სანდროზე კარგად უნდა ვიზრუნოთო. მას ნებავს, რომ ყოველდღე მოვუყვანოთ ხოლმე. მარტო სანდრო“. შუანეთმა პატარა გოგოები ოთახიდან გალალა და აუდიენცია დამთავრდა.

მეორე დღეს, დილაადრიან, შუანეთი ფეხაკრეფით შემოვიდა ტყვეთა ოთახში. ქალებთან მარტოკა რომ დარჩა, მისი ქცევა აღარ იყო ნაძალადევი და ხელოვნური. სიმპათიით შეჰყურებდა ქართველ ტყვე ქალებს თავისი დიდრონი, თაფლისფერი თვალებით. გულწრფელი და კეთილი ღიმილი დასთამაშებდა პირისახეზე. იგი ფეხმოკეცით დაჯდა იატაკზე, ორ კნეინასა და ზოიას ახლოს, და აჩქარებით აჩურჩულდა: „აი, რა მინდა გითხრათ. წუხელის იმამს ველაპარაკე ჰაჯი-ხერიეთზე. იმამმა თქვა, საბედნიეროდ არავინ

დაშავებულაო. ამჟამად მეტს ვერაფერს გააწყობ. მაგრამ სამართალი თავის გზას მაინც დაადგება, დრო რომ მოვა!“

„სამართალი!“ აღშფოთებით წამოიძახა ზოიამ. „კაცი ხელს რომ აღმართავს უმწეო ქალის მოსაკლავად და დაუსჯელი დარჩება – ამას ჰქვია სამართალი?!“

ამის გაგონებაზე შუანეთს თვალები გაუფართოვდა, პირი მოკუმა და ზედ თითი მიიდო. „აღარასოდეს ერთი სიტყვაც არ წამოგცდეს იმამის წინააღმდეგ! მაჟრჟოლებს იმის გაფიქრებაზე, როგორი სასჯელი შეიძლება დაგატყდეს თავს. და თუკი მაინც არ დაიშალი, იცოდე, ამჯერად ვეღარაფერს გიშველი. იმამი დიდებული და საოცარი კაცია. გაგიჟებით მიყვარს!“

შუანეთი წამოდგა, სახე წამოსწითლებოდა, კარისაკენ გაუძღვა გლეხის გოგოსა და მის პაწია დაიკოს. „წამოდით,“ მკვახედ უთხრა, „კაჯიოს კოშკში წაგიყვანთ“. და მერე მინაზებული ხმით დასძინა, „ნუ გეშინიათ, შეგიძლიათ მოხვიდეთ თქვენი კნეინების სანახავად, როცა კი მოგინდებათ“.

როგორც კი შუანეთმა დატოვა ოთახი, ჰაჯი-ხერიეთიც მოადგა კარს, თან მოჰქონდა სამფეხა სკამი, რომელიც ოთახის გარეთ, შუშაბანდში მოათავსა. „პირისახე დაიფარეთ,“ თქვა მან. „დიდებული იმამი უნდა გეწვიოთ“.

კნეინებმა და ზოიამ თავსაბურავები მოირგეს და პირბადენი ჩამოიწიეს. ძიძები და ბავშვები ფეხზე წამოდგნენ.

შამილმა ოთახის კარი შემოაღო, ისევე ეცვა, როგორც წინა საღამოს – გრძელი, შავი ფერის სამოსელი და თავზე შემოხვეული თეთრი დოლბანდი. ხელი ჩაეკიდა შვიდი წლის გოგოსათვის, რომელსაც მშვენიერი, დახვეწილი სახის ნაკვთები ჰქონდა და ისეთივე ტანსაცმელი ეცვა, როგორც სერალის მოზრდილ ქალებს, ოღონდ თავშიშველა იყო.

შამილი ჩუმად დაელაპარაკა ჰაჯი-ხერიეთს და მან რუსულად წარმოთქვა: „დიდებული იმამი ამბობს, თქვენმა ბავშვებმა ნაჯაბათთან ითამაშონო. ეს არის უმრწემესი ასული იმამისა“.

ნაჯაბათმა გაუღიმა სალომეს და მარიამს. ანიშნა, ჩემკენ მოდითო, ხელი ჩასჭიდა და ეზოში ერთად გაიქცნენ. შამილმა უბრძანა ძიძებს, დანარჩენი ბავშვები ოთახიდან გაიყვანეთო.

მერე ჰაჯი-ხერიეთმა თქვა: „იმამს ნებავს იცოდეს, საუზმე მოგეწონათ თუ არა“.

„დიახ, მოგვეწონა. გმადლობთ“, უპასუხა კნეინა ანამ. „ყველაფერი მოგვეწონა, გარდა ქონიანი პურის ქერქისა. ქონს მიჩვეული არა ვართ.“

შამილმა გაუღიმა იმის ნიშნად, თქვენი კარგად მესმისო. „მეც არ მომწონს. შუანეთს ვეტყვი, თქვენთვისაც ისეთი პური გამოაცხოს, ჩემთვის რომ აცხობს“.

ქალები არ მოელოდნენ ამგვარ კეთილგანწყობას და გულისხმიერებას. ისინი დასხდნენ თავიანთი ბნელი ოთახის იატაკზე და ვერც კი ბედავდნენ, საკუთარი თავისთვის მაინც გაემხილათ ის იმედები, მოულოდნელად რომ აღეძრათ გულში. წამოწყებული საუბარი ნელ-ნელა მიედინებოდა, ორივე მხარეს ლოდინი უწევდა, ვიდრე ჰაჯი-ხერიეთი გადათარგმნიდა ნათქვამს.

შამილი ჩამოჯდა სამფეხა სკამზე. „შენ დიდხანს მალოდინე, ანა“, თქვა მან. „რამდენჯერ გამოვგზავნე ჩემი მზვერავები, სანამ არ მომახსენეს თქვენი ჩამოსვლა წინანდალში“.

როდესაც კნეინა ანამ გაიაზრა შამილის სიტყვების მთელი მნიშვნელობა, შეძრწუნებით აღმოხდა: „თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ ჩვენი მხარის ნახევარი გაძარცვეთ და ასობით სული საიქიოს გაისტუმრეთ მხოლოდ ჩვენს დასატყვევებლად?!“

„მაშ სხვაგვარად როგორ დავიბრუნო ჩემი შვილი? ქართველი მეფის შვილიშვილისა და შვილთაშვილების გულსაკლავი ვედრებანი, უთუოდ, მისწვდება ძლევამოსილი რუს-ხელმწიფის სმენას“. შამილი მიუბრუნდა კნეინა ბარბარეს. „შენ და შენი შვილი რომ იქ იქნებოდით, ჩემთვის მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. მე დიდად ვაფასებდი და პატივსა ვცემდი შენს ქმარს“. წამით დაჟინებული მზერა ესროლა ქალებს, მერე გაიღიმა. „ნურაფერი შეგაშფოთებთ. აქ კაციშვილი არაფერს დაგიშავებთ. თქვენ მოგეპყრობიან როგორც ჩემი ოჯახის წევრებს, თუკი უსიტყვოდ დამემორჩილებით“.

შამილი შეიჭმუხნა და თითი ასწია. „თქვენმა ბავშვებმა თავისუფლად ითამაშონ ჩემებთან და მათი ძიძებიც გაჰყვებიან, სადაც კი ისინი წავლენ“. ახლა მეორე თითიც ასწია. „ვიდრე მე სახლში ვიმყოფები, თქვენ სამივენი ამ ოთახში უნდა დარჩეთ შებინდებამდე. მერე კი შეგიძლიათ სკამზე ჩამოსხდეთ შუშაბანდში“. ბოლოს მესამე თითი ასწია. „როდესაც სახლიდან გავალ, ფრანგის ქალს შეუძლია ისეირნოს ეზოში და ჩემს ცოლებს ესტუმროს, მაგრამ თქვენი გვარის ქალებისათვის, ანა და ბარბარე, ასეთი ქცევა შეუფერებელი იქნებოდა. თქვენ არასოდეს არ უნდა გასცდეთ შუშაბანდს“.

შამილი ლაპარაკობდა და მისი სიტყვები თანდათან უფრო ძალოვანი ხდებოდა. ხმასაც აუწია. „გულისყურით მისმინეთ. ყველაფერი ჯერ არ

მითქვამს. თუკი რომელიმე თქვენგანი შეეცდება საიდუმლოდ გაუგზავნოს წერილი ნათესავებს ანდა ისინი საიდუმლოდ გამოგზავნიან წერილს, იცოდეთ, არც თქვენ დაგინდობთ და არც თქვენს შვილებს. დაგხოცავთ, როგორც დავხოცე ათი რუსი ოფიცერი, რომლებსაც პურის ნაჭერში ჩამალული წერილი მოუვიდათ, ანდა ყოველ თქვენგანს მონებად დავურიგებ ჩემს ნაიბებს!"

შამილმა მუქარით გაიშვირა თითი ქალებისაკენ. „ერთი მდიდარი რუსის გოგოს ამბავსაც გეტყვით, ჩემმა მხედრებმა რომ დაატყვევეს რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ეკლესიაში მიეშურებოდა ჯვრის დასაწერად. მისი ოჯახი მზად იყო, დიდი გამოსასყიდი გადაეხადა გოგოს დასახსნელად, მაგრამ ამაოდ გაისარჯნენ. მცდელობამ უქმად ჩაუარათ, ყური არ ვათხოვე, რადგანაც იმ გოგომ თავს ნება მისცა, რომ არაფრად ჩავეგდე. სანაცვლოდ მონასავით გავაჩუქე და სიკვდილამდე მონადვე დარჩება! იგივე ხვედრი გერგებათ წილად თქვენცა და თქვენს შვილებსაც, ანა და ბარბარე, და შენც, ფრანგის ქალო, თუკი მანამდე არ დაგხოცეთ!"

შამილი მშვიდად ლაპარაკობდა და ამით მისი სიტყვების სისასტიკე უფრო მეტ ძალას იძენდა. მეხივით დაეცათ ქალებს ზედიზედ გამოთქმული დამუქრებანი, მყისვე რომ მოჰყვა მის თავაზიან გულითადობას. ზოიას ცივმა ურუანტელმა დაუარა ზურგში. კნეინა ანამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, შამილს ზურგი შეაქცია და ლამობდა გადაეყლაპა მძვინვარე პასუხი, ენის წვერზე რომ მოადგა. მარტოოდენ კნეინა ბარბარეს შერჩენოდა სიმშვიდე. იგი წამოდგა და კარს მიუახლოვდა.

„შენ არ უნდა დაგვემუქრო, შამილ! ჩვენ არ ვაპირებთ ურჩობას. რაც შეეხება ჩვენთვის გამოგზავნილ წერილებს, ჩვენ არ ძალგვიძს პასუხი ვაგოთ არც მათ შინაარსზე და არც იმაზე, თუ რა გზით და ხერხით გამოგვიგზავნიან".

შამილმა გამომცდელი მზერა მიაპყრო კნეინა ბარბარეს. „და მაინც", თქვა მან ბოლოს, „როგორც გითხარით, ისე იქნება, რაც უნდა მოხდეს, რადაც უნდა დამიჯდეს. თუკი რომელიმე თქვენგანი მიიღებს, თუნდაც ერთხელ, საიდუმლო უწყებას, ველარასოდეს ველარ იხილავთ თავისუფლებას! და გახსოვდეთ, ჩემი მუქარა არასოდეს ყოფილა ფუჭი!"

შამილი გაჩუმდა, თითქოსდა საიმისოდ, რომ მსმენელნი ღრმად ჩასწვდომოდნენ მის ნათქვამს. მერე გუნება შეეცვალა და კვლავ გაიღიმა. „ახლა, როდესაც ერთიმეორეს გავუგეთ, შენ, ანა, შენს ქმარს მისწერ და წერილს მაჩვენებ, რომ შევაფასო. გენერალმა რეადმა მას დაავალა მოლაპარაკება ჩვენთან".

კნეინა ანას გულისწყრომა გაუქრა და თვალები ბედნიერების ცრემლით აევსო. ეს იყო პირველი ოფიციალური ცნობა იმის თაობაზე, რომ თავადი დავითი ჭავჭავაძე ცოცხალი და საღსალამათი არისო. საჩუქრებიც თითქოს ამას ნიშნავდა, მაგრამ თან ერთი სიტყვაც არ ახლდა და კნეინა ანას მოეხსენებოდა, რომ დავითი თუ არა, მისიანები ხომ გამოგზავნიდნენ. „დიახ, შამილ", თქვა მან თითქმის მორჩილად, „მე დავწერ, რასაც კი მიბრძანებ".

„მაშ, ძალიან კარგი. აი, ასე მისწერე: შამილი თავისთვის ითხოვს თავის შვილს ჯემალედინს, თავისი ხალხისთვის კი – მილიონ მანეთს ვერცხლით!"

ქალებს სუნთქვა შეეკრათ. იმხნად, ვერცხლის მაღალი ფასისა და ცხოვრების დონის გამო თითზე ჩამოსათვლელი იქნებოდნენ ამხელა სიმდიდრის მფლობელნი. „მილიონი მანეთი!" გაიმეორა კნეინა ანამ იმის იმედით, ეგებ სწორედ ვერ გავიგეო. „ოჰ, ჩვენ არ გაგვაჩნია ამდენი ფული. არაფერი გაგვაჩნია, ასეთ თანხას რომ შესწვდეს".

„მე მითხრეს, რომ აურაცხელი განძეული უპოვიათ თქვენს სახლში".

„დიახ, შამილ. ჩვენ კარგად ვცხოვრობდით. მშვენიერი სახლი გვედგა, სადაც ვღებულობდით მეგობრებს, და ხალხი მდიდრებად გვთვლიდა. მაგრამ ახლა ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. ბევრი ფული არასოდეს გვქონია. გვაცხოვრებდა მოსავალი ჩვენი მამულებისა, თქვენ რომ გააპარტახეთ".

შამილმა თვალები მოჭუტა. „შენი ქმრის დას, სამეგრელოს დედოფალს, შეუძლია გადაგვიხადოს მილიონი".

„ვეჭვობ. გარდა ამისა, რამდენი ქონებაც უნდა ჰქონდეს, მისი გარდაცვლილი ქმრისაა და იგი მხოლოდ განაგებს მას, როგორც მეურვე თავისი ყმაწვილი შვილისა".

შამილი ახლა კნეინა ბარბარეს მიუბრუნდა. „ილიკო ორბელიანი მდიდარი კაცი იყო. შენ შეგიძლია გამოსასყიდის დიდი წილი შეაგროვო, თუკი ამას ინებებ".

„არა, შამილ," ნაღვლიანად უპასუხა კნეინა ბარბარემ. „ჩემი ქმრის სიმდიდრე, მეტწილად, მამულები იყო. ჩვენს შვილს უანდერძა და, ჩვენი კანონების თანახმად, ხელსაც ვერ ვახლებ, ვიდრე გიორგი სრულწლოვანი არ გახდება".

შამილმა მოუთმენლად გააქნია თავი. „ანა, მაშინ შენს ქმარს მისწერე, რაც მე გითხარი. ჩემმა ხალხმა მილიონი მანეთი უნდა მიიღოს!"

სწრაფად წამოდგა და იქაურობა დატოვა. კნეინა ანამ პირისახე ჩამალა ხელებში, ხოლო მხრებჩამოყრილი და დაღვრემილი კნეინა ბარბარე სასოწარკვეთით ჩაშტერებოდა იატაკს. მილიონი მანეთი ვერცხლით თითქმის ოთხჯერ აღემატებოდა იმავე თანხას ქაღალდის ფულით. ორივემ კარგად იცოდა, რომ მათი ოჯახები ვერასოდეს ვერ შეძლებდნენ ამხელა თანხის შოვნას. მაგრამ ზოიას არ ძალუძდა იმის ატანა, თუ რაოდენ დათრგუნული იყო ეს ორი გულოვანი ქალი.

ზოიამ შლიაპა ჩამოიგლიჯა თავიდან და თაროზე ისროლა, ოთახში მიიხედ-მოიხედა და თვალში მოხვდა კარტის დასტა, სხვა საჩუქრებთან ერთად რომ გამოეგზავნათ. „მოიცათ, ვნახოთ, რას გვეტყვის ამის შესახებ მადამ დეზირე!" წამოიძახა მან და თანაბარ მნკრივებად გაშალა კარტი იატაკზე. „ანა, ბარბარე, შეხედეთ! კარტი სულ თქვენა გწყალობთ! ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მინახავს ასეთი იღბლიანი, ასეთი სვებედნიერი კარტი. რასაც ვხედავ, ყველაფერი სიმართლესა ჰგავს. რაც თავს გადაგხვდა, ყველაფერი ზუსტად ჩანს. აგერ, ადგილსამყოფელი გამოგიცვლიათ და მთებში წასულხართ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. აგერ, ანა იძულებული გამხდარა, რომ ქათიბი გადაეცვა და ბარბარეს კი ტანსაცმელი დახევია და დასვრია. აგერ, გენერალი რეადი მიმართავს თავად დავითს, „მე შენ გავალებ მოლაპარაკების გამართვას – აჰა!" აგურის ვალეტის მომდევნო გულის პაპა იმას ნიშნავს, რომ შამილი დაიბრუნებს თავის შვილს. ეს ამდენი ჯვრის ფერი კი იმას გვაუწყებს, რასაც თავადი დავითი ეუბნება შამილს: „მიმიფურთხებია შენი მილიონისათვის, ჩემო კეთილო! ჩემიანები დამიბრუნე უმილიონოდ და ზოია შენ გიბოძებს ხუთ კაპიკს ქათმის საყიდლად!"

უეცრად, კნეინა ბარბარემ გაიღიმა, ხოლო კნეინა ანას წკრიალა სიცილი მთელს ოთახში გახმიანდა. მან ხელი მოუთათუნა მხრებზე ზოიას და წამოიძახა, „როგორი მართალი ხარ! ყველამ ვიცით, რომ ხუთი კაპიკიც კი ძალზე ბევრია ერთი ბებერი ქათმის საყიდლად!"

ინგლისურიდან თარგმნა
თამაზ ნატროშვილმა

ვარია თურქესტანოვას ბედი!..

ნანა ღვინეფაძე

პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სახელობის სავანის ნეკროპოლში დაკრძალულია ქალი, სილამაზით თვალს რომ უბრძავებდა მოსკოვისა და პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას. იყო უზენაესი კარის ფრეილინა, იყო თურქესტანოვა, მაგრამ შეარქვეს „ტურკარეტი“ მისი უცხო წარმოშობის გამო. ეს გვარი სპარსული ეგონათ, თუმცა მაღალმა ღმერთმა ხომ უწყოდა, რომ ულამაზესი ქალწული, დაბადებული და გაზრდილი რუსეთში, არც რუსი იყო, არც სპარსელი, მისი სახელოვანი წინაპრის — ბაადურ (ბორის) თურქესტანი შვილის, ჩამომავლობით თავადიშვილის და შეფე ვახტანგ VI-ის უწინარესი ელჩის ფესვები საქართველოში დარჩა, ვარია კი ბაადურის ძის ილიას ასული გახლდათ.

დაიბადა ვარია ილიას ასული თურქესტანოვა 1775 წლის 20 მაისს, გარდაიცვალა 1819 წლის 22 მაისს!..

მაისი ნაზიც არის და საბედისწეროც!.. მაისში შობილი მაისშივე გამოეთხოვა წუთისოფელს — თავი მოიწამლა!..

დედოფალი ელისაბედ ალექსის ასულის გამორჩეულ ფრეილინას თვალი დაადგა თვით იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა — თავადაც გარეგნობით და ხვედრით გამორჩეულმა მონარქმა, თანამედროვეებმა სიქველისათვის მაკედონელს რომ გაუტოლეს, ასევე გააღმერთა იგი ოცნება-ში ულამაზესმა ვარია თურქესტანოვამ და ემსხვერპლა კიდეც ამ სიყვარულს, რომლის უმწარესი ნაყოფიც იყო ასული მარიამი — შობა თუ არა, დედამ მიმი რომ უწოდა და სულიც დალია...

1914 წლის ჟურნალ „რუსკი არხივ“ში (№ 1,2) გამოქვეყნდა კნეინა ე. შახოვსკაია-სტრეშნევას დოკუმენტური მონოგრაფია „თავადის ასული თურქესტანოვა — უზენაესი სამეფო კარის ფრეილინა“, რომელიც ძირითადად აგებულია ადრე, ამავე ჟურნალში (ფრანგულ ენაზე), დაბეჭდილ მიმოწერაზე თურქესტანოვას და მის უფროს მეგობარ, უცხოელ დიპლომატ ფერდინანდ კრისტინს შორის ექვს წელიწადს რომ გრძელდებოდა.

ავტორი, კნეინა შახოვსკაია, ემადლიერება კავალერიის გენერალს გრაფ ალექსი ვასილის ძე ოლსუფიევს, რომელსაც იდეასთან ერთად მიუწოდებია ამ ამბისათვის აუცილებელი მასალები. ოლსუფიევი ჰუსართა გვარდიის პორუჩიკი, საძეფო კარზე დიდ პატივში სწორედ მისი ნათესავის, ფრეილინა ვარიას კეთილი გავლენის წყალობით აღზევებულა. შემდგომ იგი იმპერატორ ალექსანდრე I I-ის კარის ჰოფმარშალი გახდა.

გთავაზობთ ე. ფ. შახოვსკაია-სტრეშნევას მონოგრაფიის თარგმანს მცირედი შემოკლებით.

ე. შახოვსკაია-სტრეშნევა

თავადის ასული თურქესტანოვა - უზენაესი სამეფო კარის ფრეილინა

„მეფენი, კანონმდებელნი, ისტორიის დინებისდა მიხედვით მოქმედებენ და მის კაბადონებს ისე ჭვრეტენ, როგორც მეზღვაურები ზღვათა ნახაზებს.

კარამზინი.

● ლა-ბრიუერი ამბობს: „სამეფო კარი ისეთი ადგილია, სადაც ჭირ-ვარამი გარეშეთათვის უხილავია, სიამენი კი საყოველთაოდ ხილული, მაგრამ მოჩვენებითი“. იქაური ცხოვრება არა თუ აბედნიერებს, პირიქით, ვინც ერთხელ მაინც იგემებს მას, ხელსაც კი უშლის სვე-ბედის პოვნაში.

ამ მოსაზრების ერთ-ერთი დადასტურებაა თავადის ასულ ვარია თურქესტანოვას მაგალითი.

ლამაზმა, მომხიბლავმა, ფაქიზი გრძნობითა და გონიერებით დაჯილდოებულმა, საშინელი ტანჯვის ფასად ზღო წარმატებისათვის იქ, სადაც გარეგნულად ყველაფერი ბრწყინავს, მაგრამ სამსალა გარდაუვალია.

გულმოწყალობით და მგრძნობიარე ბუნებით გამორჩეული აღმოსავლური წარმოშობის თავადის ასული სულ სხვაგვარი ცხოვრებისათვის იყო გაჩენილი, რომელიც ნიადაგ იზიდავდა, მიუხედავად მისი ზეიმური პატივმოყვარეობისა. ამის შესახებ თვითონვე წერს:

„მე არათუ მარტო უკმაყოფილო ვარ ჩემდამი ესოდენი კრძალვითა და კეთილგანწყობით, არამედ სასონარკვეთაშიც კი ვვარდები ხოლმე ამის გამო. მივატოვო ეს სასახლე და რას ვეწიო, საით წავიდე?..არ ვიცი. ვაი, რომ ბედი არ მწყალობს“...

...იგი ხშირად უბრუნდებოდა ამ აზრს:

„შესაძლებელია, ამ მოგზაურობის (რუსეთში) მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ ვპოვო მყუდრო ნავსაყუდელი, სადაც შვებით ამოვისუნთქავ; მაგრამ სად და როდის, დადგება კი ასეთი წელიწადი, ასეთი დღე“!

***

თავადის ასულზე დიდი ზეგავლენა იქონია უცხოელმა მადამ დე ნუაზევილმა, როგორც მისი ზნეობრივი, ასევე გონებრივი განვითარების მხრივ. 1793 წლიდან რუსეთში მყოფ ემიგრანტებს გაუჩნდათ ერთგვარი ხელობა-სპეციალობა აღმზრდელისა, მათი უმრავლესობა იძულებული გახდა, ლტოლვილის მწარე ლუკმა იმპერიის უშორეს კუთხეებში მასწავლებლობით ეშოვა. იყვნენ გამონაკლისებიც: ლავალიეები, სენ პრი, პოლინიაკები (ჰერცოგ პოლინიაკს საკმაოდ დიდი მამულები ჰქონია რუსეთში) და რამდენიმე შეძლებული პირი, რომელთაც შეინარჩუნეს ქონება, ანდა ოფიციალური თანამდებობები. ბედის ანაბარა დარჩენილ ლტოლვილთა მეტი წილი მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი იყო და ცხადია, საკუთარ ზნე-ჩვეულებებსა და შეხედულებებს ავრცელებდნენ თავის გარშემო.

***

ლტოლვილთა ცოლებიც მასწავლებლობდნენ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა შნოიანი ქალბატონი დე ნუაზევილიც – წარმოშობით და განათლებით უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენელი. კარგი პრაქტიკული გონების პატრონმა მალე აუღო ალღო და ხელთ იგდო მთელი იმ ოჯახის სულიერი ცხოვრების სადავეები, სადაც გამზრდელად დამკვიდრდა.

თუმცა ოჯახის დიასახლისი, თავად ბორის გოლიცინის მეუღლე, ცნობილი იყო თავისი უცნაურობებით და მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა ოჯახის გაძღოლის უნარი, იღბლად ეს არ დატყობია თავადის ასულ თურქესტანოვას, რომელიც მან ობლობის გამო შეიკედლა (მაშინ თავადის ასულის გამზრდელი იყო ევერსი – გერმანელი ქალი, რომელსაც ძალიან შეეჩვია) და სწორედაც იმ კეთილშობილი და გონიერი ქალის წყალობით, ვინც ითავა მისი და მისი სამი ბიძაშვილი გოგონას აღზრდა და რომელთაც ბოლომდე გაუწია მეგობრობა.

ჩვეული გულისხმიერებისას და დასახული იდეალისადმი მისწრაფების საწინააღმდეგოდ, – იქნებ ძალუმი ტემპერამენტის გამოც – იმ ტემპერამენტისა, რასაც „თავის თავზე დიდი წარმოდგენა“ ჰქვია, მომავალი ფრეილინა უთუოდ სხვებზე ბევრად ადრე უნდა განმსჭვალულიყო იმ ჰუმანურობისა და უმაღლესი სათნოების სულისკვეთებით, რისი გავლენის ქვეშაც იცხოვრა თავის ყმაწ-

ვილქალობაში და რისი დასაბუთებაც გახლავთ მე-19 საუკუნის ფრანგული მიმოწერის მთელი სინატიფითა და ხიბლით აღბეჭდილი მისი უმშვენიერესი ბარათები. სანმუშოდ რამდენიმე მათგანი ემილ გომანმა გამოაქვეყნა.

წრე, რომელშიაც გაიზარდა თავადის ასული თურქესტანოვა, გახლდათ მდიდარი და ძლიერი არისტოკრატია, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო ასე თუ ისე მთელ მსოფლიოში არსებული თვითმპყრობელობის ხანაში. გასული საუკუნის დასაწყისში მოსკოვში მცხოვრები „თავადაზნაურობა" პეტერბურგელებისაგან განსხვავებით თავს იწონებდა პოლიტიკური დამოუკიდებლობით; ამის შედეგად აღმოცენდა იქ გავლენიანი ლიტერატურული წრეები, სადაც საზოგადოებას გართობის საშუალება ეძლეოდა.

გოლიცინების სასტუმრო მუდამ ღია იყო მთელი ქალაქისათვის და მით უმეტეს, სამეფო კარისათვის, როდესაც ხელმწიფე და ხელმწიფა ეწვეოდნენ მოსკოვს. ოჯახის სამი ასულიდან ერთ-ერთი ცნობილი მზეთუნახავი გახდა, სამივე ბრწყინვალე ბედს ეწია და ვარია თურქესტანოვა, მიუხედავად მიმზიდველობისა და თავისებურებისა, მათ გვერდით რამდენადმე დაიჩრდილა.

რაკი თავის ღირსებების სრულად გამოვლენის საშუალება არ გააჩნდა, რაც, ალბათ, თავმოყვარეობას ულახავდა უმზითვო საპატარძლოს – თუმცა ამან არც გააღიზიანა და არც გააბოროტა, – ბუნებრივია, ფრიად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ 1808 წელს სასახლის კარზე მიიწვიეს. ეს გარდატეხა მის ცხოვრებაში დიდი იმედების საწყისი და ცის გახსნის ტოლფასი იყო. ბავშვობა მისი სევდიანია. დებთან მას სიახლოვე არ ჰქონია და გარდა მოხუცი დეიდის, – არსენიევას ქალისა, თითქმის არც ჰყავდა ახლო ნათესავები. მიუხედავად ამისა, მოსკოვში, ბორის გოლიცინის მდიდრულ, მაგრამ მოუწესრიგებელ და მოფუქსავატო სახლში, იგი მაღალი წრისათვის ჩვეულ ხალისიან ცხოვრებას ეწეოდა.

ერთადერთი, ვინც ამ გარემოში სწორად წარმართავდა მის ფიქრსა და გონებას, იყო ქალბატონი დე ნუაზეველი, რომელმაც თავისი ღვთისმოსაობის გამო, უნებლიეთ კათოლიციზმს აზიარა ყმაწვილი ქალი. როდესაც იგი ფრეილინა გახდა, უკვე ოცდაცამეტი წლისა, მისი მშვენება კვლავ გაფურჩქვნის ხანაში იყო.

„თავადის ასული თურქესტანოვა გამოირჩეოდა დიდი გონიერებით, ფართო, საფუძვლიანი განათლებით, მწყაზარი და რამდენადმე ფანტასტიკური გატაცებებით აღსავსე ბუნებით; აზიური წარმოშობა მას აღმოსავლელი ქალის თვალისმომჭრელ ელვარებას მატებდა – შენიშნავს პარიზის ყოფილი ელჩი ბარონი ბუდბერგი. – მის გამოხედვაში და მიხვრა-მოხვრაში ისეთი სიმკვირცხლე, იმდენი უჩვეულობა იყო, თანაც გაწონასწორებული საუცხოო აღზრდით, რაც ამ გონებრივად თუ გარეგნულად წარმტაც პიროვნებას მეტ ხიბლსა და სინატიფეს ანიჭებდა..."

„იგი მომადლებული იყო ჭეშმარიტად სასწაულებრივი ნიჭით, რის წყალობითაც მისი ჩაცმულობა მუდამ გემოვნებითა და ლაზათიანობით გამოირჩეოდა" (კრისტინის შენიშვნა თურქესტანოვასთან მისი მიმოწერის გამო).

რამდენიმე წელიწადი დაჭირდა, ვიდრე თავადის ასული სამეფო კარზე თვალსაჩინო ადგილს მოიპოვებდა. თვით იმპერატრიცა ელისაბედმა, ესოდენ ალღოიანმა და გონებანათელმა, თავიდან ჯეროვნად ვერ შეაფასა თავადის ასული, თუმცაღა იგი თითქოს იმისთვის იყო გაჩენილი, რათა მას მოსწონებოდა როგორც ნიჭიერებით, ასევე სათნოებით, მაგრამ ქმრის ორგულობით დადარდიანებული ახალგაზრდა დედოფალი იმდენად გულმოკლული, გულჩახვეული და დათრგუნული იყო, რომ აღარც ცდილობდა დაახლოებოდა ვინმეს იმ წრეში, რომელშიც მას სათანადოდ ვერ აფასებდნენ.

იმპერატორი ჯერ კიდევ ტურფა ნარიშკინათი (წარმოშობით პოლონელი თავადის ქალი ჩეტვერტინსკაია) გახლდათ მოხიბლული. შემდგომში დედა-იმპერატრიცამ წყალობა მოიღო ვარია თურქესტანოვაზე და საბოლოოდ დაიახლოვა იგი. ქვრივი დედოფლის დარბაზი, წინაღმდეგ არსებული ჩვეულებისა, იმპერიაში ყველაზე საინტერესო და ქმედით საკრებულოდ იქცა. იმპერატორი, მართალია, არ ცდებოდა დედამისის გონებრივი შესაძლებლობების შეფასებაში და წუხდა: – რა სისულელეებს სჩადის დედაჩემი! სრულებით არ შეუძლია თავის დაჭერაო, და მაინც, მისი ზეგავლენის ქვეშ რჩებოდა, იმ გარემოებათა გამო, რაც გამოიწვია პავლე პირველის საშინელმა სიკვდილმა, რომელიც მასაც აწვა ცოდვად.

„არც ერთ გადაწყვეტილებას, არც ერთ პოლიტიკურ ნაბიჯს ალექსანდრე დედასთან მოთათბირების გარეშე არ მიიღებდა და არ გადადგამდა, თუმცაღა, უმეტესად, მისი მხრიდან წინააღმდეგობას აწყდებოდა ხოლმე".

მდგომარეობა, რომლის შექმნაც შეძლო თავის გარშემო ამ ცბიერმა ვიურტენბურგელმა პრინცესამ, ამცირებდა გვირგვინოსანი დედოფლის გავლენას და ამით არა მარტო იზიდავდა თავისკენ ძალაუფლების მაძიებელ ყველა პატივმოყვარეს, არამედ მისი კარისკენ, როგორც მდინარისაკენ, შენაკადებივით მიედინებოდა ყოველივე, რაც კი იმდროინდელი პეტერბურგის გონებრივ საუნჯეს შეადგენდა.

ამ უმაღლეს საზოგადოებაში თავადის ასული თურქესტანოვა დიდი წარმატებით სარგებლობდა. წრე, რომელშიც აღმოჩნდა ახალი ფრეილინა, ფრიად განსხვავდებოდა მოსკოვურისაგან, მაგრამ თავადის ასულს ჩინებულად ესმოდა თავისი როლი: დედოფლისადმი უაღრესად თავაზიანი და მოკრძალებული, სეფე ქალებისა და სტუმრების მიმართაც ასევე ყურადღებიანი და თავშეკავებული იყო. გარდა ამისა, მას ეხერხებოდა გარეშეებთან დამეგობრებაც, რომელთა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ფრანგი გრაფი რიბოპიერი (წარმოშობით შვეიცარიელი).

მეგობრობაში თავადის ასული აშკარად უპირატესობას ანიჭებდა მამაკაცებს, ქალებს კი ნაკლებად ენდობოდა, რასაც დაუფარავად აღიარებს ერთ-ერთ წერილში, რომელშიც სწორედ თავისი წრის ბანოვანთა ვერაგობაზე და შურიანობაზე წერს.

კარგი აღზრდისა და თანდაყოლილი თავაზიანობის წყალობით იგი ძალზე იზიდავდა ემიგრანტებს, რომელთა უმეტესობა ხალისით ეტანებოდა ზამთრის სასახლეში მის სასტუმროს, მიუხედავად იმ ასცამეტი საფეხურისა, რომლითაც უნდა აეღწიათ არცთუ ისე ვრცელ ბინაში. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირი სტუმარი გრაფი მოდენი იყო (მას ცოლად ჰყავდა გრაფინია სალტიკოვა. გარდაიცვალა 1833 წელს. მისი ქალი სოფიო მისთხოვდა თავად ვალენტინ შახოვსკის, ამ მონოგრაფიის ავტორის მამამთილს). იმდროინდელ რუსეთში მყოფ გრაფთაგან ის იმ მცირეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც დამკვიდრდა ქვეყანაში, სადაც ჰპოვა საბოლოო ნავსაყუდელი. მოდენებს ვაჟიშვილი არ ჰყოლიათ და ამიტომ მათი გვარი გადაშენდა.

გაბრიელ მოდენი ძველებური ყაიდის სანდომიანი მამაკაცის (ჟანტილიომის) განსახიერება იყო და სინანულის გარეშე როდი დაემშვიდობა საფრანგეთს. მოდენის პარიზიდან დაბრუნებისას, რომელიც მას რესტავრაციის შემდეგ მოუვლია, თავადის ასული თურქესტანოვა კრისტინს სწერს:

„ამ მოგზაურობიდან მოდენი აღგზნებული და ნამზეური დაბრუნდა, თუმცა ისევ და ისევ თხემით ტერფამდე ფრანგია. მან ბევრი რამ მიამბო პარიზზე, რომელიც ძალზე მონატრებია. მეფეც და უფლისწულებიც მას დიდებულად შეხვედრიან. ეს გულკეთილი მეფე, მოდენის თქმით, მართლაც ყვარებიათ, მაგრამ მისი ოჯახის წევრები თურმე ისე მტრობენ ერთმანეთს, როგორც კატა და ძაღლი.

ანგუმელელი ჰერცოგის ქალი ყველაფერში ცხვირს ყოფს, რის გამოც ხშირად ისეთ ჭორებში გახლართულა, რაც მისი მდგომარეობისათვის შეუფერებელია. ბერიის ჰერცოგინიას კი ორი სიტყვის გა-

დაბმაც არ შეუძლია; უბრალოდ ბრიყვი, გაუზრდელი გოგონა ყოფილა... და როდესაც მე წარმოვიდგენ ჩვენი წრის ასულთ, შეუძლებელია არ ვაღიარო, რომ ისინი საუცხოოდ არიან აღზრდილნი და რომ ქალბატონი ლივენი მთელს მსოფლიოში საუკეთესო ლალაა. მაგალითად, მე მოწმე ვარ, დიდი მთავრის ასული, ცამეტი წლის ანა რა ჩინებულად გაუძღვა დარბაზობას. სასტუმროში ასზე მეტ ადამიანს მოეყარა თავი და იგი ყოველ მათგანს უკვე საზოგადოებაში გამოსული ოცდაათი წლის ქალის უშუალობით ექცეოდა (დიდი მთავრის ასული ანა – მომავალში ნიდერლანდების დედოფალი). ვფიქრობ, მოდენს ესოდენ ღვთისნიერი ცოლი რომ არ ჰყოლოდა, იგი სიხარულით დაუბრუნდებოდა პარიზს..". (1817 წლის 3 თებერვლის წერილიდან).

მართალია, ეს ქმრის უაღრესად მოსიყვარულე ცოლი მიუხედავად თავისი დიდგვაროვანებისა, არც ისე თვალადი იყო.

***

20 მაისს თავადიშვილის ასული კვლავ წერს: „მოდენი ჰოფმარშალად დანიშნეს დროებით, რითაც თავად უკმაყოფილოა, მე კი სიმართლე უნდა მოგახსენოთ, აღტაცებული ვარ ასეთი მონაპოვარით. ნასადილევს უთუოდ მომინახულებს ხოლმე, დაუშრეტელი წყურვილით მესაუბრება პარიზზე და საერთოდ, უამრავ თავშესაქცევ ამბებს მიამბობს... მას ხომ ყველაფერი უნახავს ამ ქვეყნად – თუნდაც საზოგადოების იმ წრეში, რომელიც სხვათა შორის სენ-ჟერმენის გარეუბანია და „exageres" შეურქმევიათ და აგრეთვე ახალი დროის ადამიანებიც. არ დაგიმალავთ, რომ მათ შორის მან ბევრი გონიერი, ღირსეული და ფრიად სასიამოვნო პიროვნება აღმოაჩინა. ხშირად მიამბობდა ხოლმე მადამ დე სტალის გამო როსტოპჩინთან ცხარე კამათზე და ამ დავაში თურმე ყოველთვის ის იმარჯვებდა"...

***

ნიკოლოზ პირველის თანამეცხედრეს, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს, რომელიც მაშინ ბატონიშვილი იყო, თავის დღიურში ჩაუწერია: „ჩვენ დიდად ვემადლიერებით მოდენს იმ დღიდანვე, რაც მან კირილე ნარიშკინი (სასახლის კარის ჰოფმარშალი) შეცვალა: მას ახასიათებს ვერსალის უძველესი კარის დახვეწილი ჩვევები, ზომიერად ენამახვილი და თავაზიანია ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე. ყველაფერს ჩინებულად ართმევს თავს, ხოლო ერთადერთი ნაკლი მეტისმეტი ფარისევლობაა."

***

იგი გარდაიცვალა საყოველთაო პატივისცემისა და სიყვარულის გარემოცვაში. ამის შესახებ ა. ი. ბულგაკოვი თავის ქალიშვილს, კნეინა დოლგორუკოვას სწერდა („ რუსული არქივი" 1896 წ.).

„...მოდენის სიკვდილის დაწვრილებით აღწერა ამაღელვებელია: იგი მიიცვალა ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, ქედმოუხრელად, უსარგებლია რა ნებისმიერი მოკვდავის უფლებით, პირნათელი წარსდგეს მამაზეციერის წინაშე..." მთელი საიმპერატორო ოჯახი მიეახლა გამოსამშვიდობებლად, თვით მემკვიდრეც კი, რომლისთვისაც მას არაერთი კეთილი რჩევა- დარიგება მიუცია.

***

ეს უცხოელი არისტოკრატი თავადის ასულ თურქესტანოვასათვის დღიდან პეტერბურგში მისი ჩამოსვლისა, უძვირფასესი საყრდენი გახდა იმ მერყეე ნიადაგზე, რომელზეც ასულმა პირველად დაადგა ფეხი და რომლის ავ-კარგიც ძველმა დარბაისელთაგანმა ყველაზე უკეთ უწყოდა. მას მოსწონდა თავადის ასულთან ყოფნა, რადგან იქ შეიქმნა ერთგვარი საკრებულო ლტოლვილთა, „რომელთაც ვერც ვერაფერი შეითვისეს და ვერც ვერაფერი დაივიწყეს". მათში თავადის ასულს ჭკუა-გონებაც იზიდავდა და საერთო გემოვნებაც, განსაკუთრებით მჭერმეტყველების ბრწყინვალე უნარი და ხშირად მათი ზოგჯერ არასწორი, ზერელე შეხედულებებიც გაუზიარება.

ეს თვალსაჩინო გახდა მეტადრე მისი შეხედულებებიდან „მოღალატე მოროს თაობაზე", როდესაც საფრანგეთთან ომი გამოცხადდა და ის რუსეთის გენერალურ შტაბში გადმოვიდა. ასეთი მიამიტური აზრი მისთვის ჩვეულ გამჭრიახობას სრულიად ეწინააღმდეგება.

***

„...ეტყობა ქალბატონმა მორომ მოიწყინა ამერიკაში" – წერდა 1818 წლის 3 ივნისს. ამასთანავე ამავე გარემოს ზეგავლენა ხელს როდი უშლიდა დარჩენილიყო მხურვალე, რამდენადმე ბრმა პატრიოტიც კი, რაც თავის უიღბლო მოგზაურობაში გამოთქმული გრძნობიდანაც მყღავნდება.

„...რაოდენ სწრაფად გაირბინა დრომ ბრიუსელში. ამას უფრო სინანულით მოვიგონებ, ამ გერმანიაში (Sic – ასეა) რომ აღმოვჩნდები. მაგრამ ვფიქრობ ყველაფერი უმალ გადამავიწყდება, როგორც კი დავუბრუნდები ჩვენს ძვირფას პეტერბურგს, რომელიც მიუხედავად მისი 25 გრადუსიანი ყინვებისა, ყველა ქალაქს მირჩევნია." (თავადის ასულ თურქესტანოვას მოგზაურობის დღიური. 1818 წ. 8 ნოემბერი („რუსული არქივი")

***

მოროს გამოჩენის გამო იგი წერს:

„სისხლი ამიდუღდება ხოლმე, როდესაც შევამჩნევ, რომ მსგავსი გადამთიელი შეიძლება აღიარონ რუსეთის მხსნელად".

დასავლური კულტურა, რომელიც ერთობ შეითვისა თავადის ასულმა, ცხადია, ხელს უწყობდა მის წარმატებას სამეფო კარზე, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა მოგონებები დიდ ეკატერინეზე და ენციკლოპედისტებზე, თუმცა თავიდან სულაც არ უფიქრია შეექმნა თავის ირგვლივ, როგორც მაშინ იტყოდნენ „bureau desprit" (სულიერი გარემო). იგი უფრო არისტოკრატულ გასართობებს ეტანებოდა ყმაწვილქალური გატაცებით და ასედაც გამოიყურებოდა გარეგნულად – ხან ერთ დარბაზობაზე გაიელვებდა, ხან მეორეზე. ყოველ წუთს იყენებდა, ზამთარ-ზაფხულ ქალაქად თუ მის შემოგარენში არც ერთ სტუმრიანობას არ გამოაკლდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი მოვალეობით გათვალისწინებულ აუცილებელ გასართობებზე: სამოყვარულო წარმოდგენებზე, რომლებშიც ფრიად ნიჭიერად ანსახიერებდა სუბრეტების (მოახლეთა) როლებს. მეჯლისებზე და საღამოებზე ხომ მხოლოდ და მხოლოდ მისთვის ჩვეული სინარნარით მშვენობდა. ყოველივე ამის მიუხედავად იგი ცოდნის გაღრმავებაზეც ზრუნავდა. მაგალითად, ერთხანს ლათინურის შესწავლაც გადაუწყვეტია, მაგრამ ამ რთულ ამოცანაზე კრისტინის რჩევით აუღია ხელი.

უნდა ვაღიაროთ, რომ მისი დროის რუსეთის მაღალი საზოგადოების ქალებს ახლანდელი წარჩინებული მანდილოსნები ვერ შეედრებიან. თავადის ასული თურქესტანოვა ერთადერთი გონიერი არსება როდი იყო თანამედროვე, განათლებით გამორჩეულ ფრეილინებს შორის. ქალწული როსეტტი, მისი მეგობრის, გრაფ გაბრიელის ასული გრაფინია მოდენი, მართალია თურქესტანოვაზე გვიან გამოჩნდნენ სამეფო კარზე, მაგრამ ღირსნი არიან ამ თავადის ასულის გვერდით მოხსენიებისა. როქსანა სტრუდზა ღვთისმეტყველების ჩინებული მცოდნე იყო, ალექსანდრინა როსეტტი პუშკინთან და ჟუკოვსკისთან მეგობრობდა: ცარსკოე სელოში, მის მცირე სამფლობელოში, ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილი მწერლები. სოფიო დე მოდენის ენამზეობა კი ცნობილი იყო არა მარტო პეტერბურგელ, არამედ ბერლინელ და პარიზელ წარჩინებულთათვისაც.

(გაგრძელება იქნება)

ფარაონის ხეობა

საშინელ სიბნელეში პირველად გოვარდ კარტერმა შეაბიჯა. მისი სანთლის ალი აკლდამის კედლებზე ციმციმებდა და წყვდიადიდან გაურკვეველი მოხაზულობის ამოუცნობი საგნები მოჩანდა. „რას ხედავთ?“ – მოუთმენლად იყვირა ერთ-ერთმა არქეოლოგმა. რამდენიმე წამი და სრულ სიჩუმეში ყრუდ გაისმა კარტერის ხმა: „მე ვხედავ საოცარ, ზღაპრულ სიმდიდრეს...“

***



● ეს საიდუმლოებებით მოცული ისტორია ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოხდა, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ბიბან-ალ-მოლუკის პირქუშ და უკაცრიელ ხეობაში, რომელსაც ევროპელები უფრო მეფეთა ხეობად იცნობენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ის ძლევამოსილი ეგვიპტის მფლობელების თავშესაფარი იყო და ეს ადგილი ადგილობრივ მოსახლეობას დღემდე ჟრუანტელს ჰგვრის. სამი ათას წელზე მეტია დგანან უდაბნოს მზის სხივით გაცისკროვნებული აკლდამები. განსვენებულთა მყუდროებას ქვიშის ჩხრიალი თუ არღვევს და იშვიათად ხმები იმ მარტოხელა ადამიანებისა, რომლებმაც მკვდართა სამეფოსთან მიახლოება გაბედეს.

ევროპამ ეგვიპტის შორეული წარსული ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შემდეგ გაითავისა. ბიბან-ალ-მოლუკის ხეობას მკვლევარების და ავანტიურისტების უამრავი ნაკადი მიაწყდა. პირველნი – მეცნიერული აღმოჩენების მისაღწევად, მეორენი – თავგადასავლებისა და იოლი გამორჩენის საძიებლად. თუმცა ხეობა არ ჩქარობდა თავისი საიდუმლოებების გამხელას.

ექვსი ხანგრძლივი წელი შეუპოვრად აწარმოებდა გათხრებს ხეობაში ინგლისელი არქეოლოგი გოვარდ კარტერი და უცებ სრულიად შემთხვევით წააწყდა უცნობი აკლდამის ამოქოლილ შესასვლელს. მეცნიერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმავე დღეს მან დეპეშა გაუგზავნა ლონდონში ლორდ კარნარვონს – ექსპედიციის დამფინანსებელს: „მგონი, ამჯერად ბედმა გაგვიღიმა. მივაკვლიეთ აკლდამას ხელუხლებელი ლუქით. თქვენს ჩამოსვლამდე სამუშაოს ვწყვეტთ. გილოცავთ. კარტერი“.

პასუხმაც არ დააყოვნა: „გამოვდივარ დაუყოვნებლივ, ვიმედოვნებ, ოცში ალექსანდრიაში ვიქნები“.

ლორდი კარნარვონი, იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ინგლისში, რომანტიკოსი, მოგზაური და თავზეხელაღებული დონჟუანი, წარმატებაში დარწმუნებული იყო. მას თავიდანვე სჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახელგანთქმული გაიღვიძებდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რის ფასად?!

დეპეშის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ კარნარვონი, მისი ქალიშვილი და ერთგული თანაშემწე ლედი ეველინა ხერბერტი ლუქსორში ჩავიდნენ. გათხრების ადგილას მათ კარტერი ელოდა. მცირეოდენი მომზადების შემდეგ მოხსნეს ლუქი და გაასუფთავეს აკლდამის შესასვლელი, რომელიც სამი ათასი წლის წინ მიწით ამოავსეს ფარაონის ერთგულმა მსახურებმა. ნანახმა ბევრად გადააჭარბა მოსალოდნელს.

აკლდამის ყველა ოთახი გაჭედილი იყო ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ძვირფასეულობით, რომელთაც უნდა უზრუნველყოთ ფარაონის უდარდელი ცხოვრება. ოქროს ნივთები მორთული იყო ძვირფასი ქვებით. მარტო ტუტანხამონის ოქროს კუბო 250 კილოგრამზე მეტს იწონიდა!

ნანახით აღფრთოვანებულმა არქეოლოგებმა მაშინვე ვერ შეამჩნიეს აკლდამის შესასვლელთან პატარა, ნახევრადჩამწვარი ჩირაღდანი, რომლის საყრდენზე იყო უცნაური წარწერა: „მე ვიკავებ ქვიშას, რომ არ დაფაროს იდუმალი სიმშვიდე. ის, ვინც მოინდომებს ჩემზე გავლას, შევაჩერებ უდაბნოს ცეცხლით. მე აქ ტუტანხამონის დასაცავად ვარ.“

არც კარტერმა, არც კარნარვონმა, არც სხვებმა არ მიაქციეს ყურადღება მრისხანე გაფრთხილებას. იმდენად იყვნენ მონაპოვრით გატაცებულნი, რომ მთელი დღე და ღამე ტკბებოდნენ მისი ძვირფასეულობის ცქერით.

1922 წლის 26 ნოემბერს კარტერის და კარნარვონის კვალდაკვალ აკლდამაში ცხრამეტმა ადამიანმა შეაბიჯა. თავიდან საქმე ჩინებულად მიდიოდა. ხუთი თვის განმავლობაში მათ შეძლეს, გაეთავისუფლებინათ აკლდამის თითქმის ყველა სათავსი და კაიროს მუზეუმში გადაეგზავნათ ძველეგვიპტური ხელოვნების უამრავი ფასდაუდებელი ძეგლი. ამ ხნის მანძილზე ხელშეუხებელი იყო სარკოფაგი, სადაც განისვენებდა ტუტანხამონის მუმია. თუმცა მალე კარტერმა დააზუსტა სარკოფაგის გათხრის თარიღიც – 1923 წლის 23 თებერვალი. მაგრამ მოხდა საკვირველი რამ. უცაბედად ლორდი კარნარვონი ქალიშვილთან ერთად კაიროდან გაემგზავრა ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. ასეთმა ქმედებამ განაცვიფრა ჯგუფი, რადგან ყველამ იცოდა ლორდის მანიაკური იდეის შესახებ, როგორმე ეპოვნა და გამოეკვლია მეფეთა ხელუხლებელი სამარხი.

რამდენიმე დღის შემდეგ კაიროდან მოვიდა ცნობა კარნარვონის ავადმყოფობის შესახებ. ექიმები მხრებს იჩეჩავდნენ: ბუნდოვანი დიაგნოზი – „გართულებული ფილტვების ანთება გამოწვეული მოსკიტის ნაკბენით“ – გამოჯანმრთელების არანაირ იმედს არ იძლეოდა.

კარნარვონის ქალიშვილის მოგონებით, სადილობისას ლორდი დათრგუნული ჩანდა. შემდეგ უქეიფობა მოიმიზეზა და თავის ოთახში გავიდა. დილით საუზმეზე არ ჩამოსულა და აღელვებული ლედი ეველინა მამის საძინებელში შევიდა. კარნარვონი საშინელ მდგომარეობაში დახვდა: მას ძლიერ აციებდა, სიცხე ორმოცამდე აუვარდა, სახეზე და ხელებზე წვრილი წითელი გამონაყარი ჰქონდა და ხშირად ცნობიერებას კარგავდა. ბოდვაში ტუტანხამონის სახელს ახსენებდა ხოლმე, მაგრამ გარშემომყოფთაგან ვერავინ მიხვდა რაზე ლაპარაკობდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ლორდს გონება გაუნათდა და ქალიშვილი იხმო. უკანასკნელი თავის ცხოვრებაში წყვეტილი ხმით კარნარვონმა საოცარი ფრაზა წარმოთქვა: „მალე ყველაფერი დასრულდება და თავისუფალი ვიქნები. მე მესმის უდაბნოს ძახილი, მე ის მიხმობს“.

ლორდი 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს ყველასათვის მოულოდნელი იყო. სპორტის და ჯანმრთელი ცხოვრების წესის აქტიური თაყვანისმცემელი იშვიათად ავადმყოფობდა და ასაკთან შედარებით ყოველთვის ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ის იყო ფარაონის წყევლის პირველი მსხვერპლი, რომელიც ძველი საფლავების შემწუხებლებს სჯიდა.

სარკოფაგის გახსნისა და მუმიის კაიროს მუზეუმში გადაგზავნის რამდენიმე დღის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა არქეოლოგი არტურ მეისი. გათხრების პირველივე დღეებიდან მეისი კარტერის ერთგული თანაშემწე იყო. უშუალოდ მან მოხსნა ლუქი აკლდამის შესასვლელს

და გაასუფთავა იგი. ძალიან მალე კარტერმა შეამჩნია, რომ მეისი ხშირად უჩიოდა დაღლასა და სისუსტეს, უგუნებობასა და სევდიან განწყობას. ალერსიანი და სიცოცხლით სავსე მეისი გულჩათხრობილი და პირქუში გახდა. კარტერი ვარაუდობდა, რომ თანაშემწის უცნაური სენის მიზეზი საშინელი სამუშაო პირობები – აკლდამაში დახუთული ჰაერი და ვენტილაციის სრული უქონლობა იყო. მან მეგობარს დასვენება ურჩია და მეისი რამდენიმე დღით კაიროში გაემგზავრა.

ცნობა სიკვდილის შესახებ კარტერმა მაშინ მიიღო, როცა ფარაონის სამარხში იმყოფებოდა. მან ვერ შეძლო მეგობრის უკანასკნელ გზაზე გაცილება – გათხრებზე ყოველ წუთს ოქროს ფასი ჰქონდა. არტურ მეისი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა კაიროს სასტუმრო –„კონტინენტალში„ – იქ, სადაც თავისი უკანასკნელი დღეები გაატარა ლორდ კარნარვონმა. მოახლე იხსენებდა, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მეისს საშინლად აციებდა და ცნობიერებას კარგავდა. ექიმები კვლავ უძლურნი აღმოჩნდნენ, დაესვათ დიაგნოზი.

საინტერესოა, რომ არტურ მეისის დაკრძალვის დღეს, კაიროს მუზეუმის ლაბორატორიაში შეუდგნენ ტუტანხამონის მუმიის შესწავლას. როდესაც ნეშტს ბოლო ჩვრები შემოაცალეს, ჭაბუკი ფარაონის მკერდზე (მისი ასაკი დაკრძალვისას არ აღემატებოდა 19 წელს) მომცრო ამულეტი ნახეს მრისხანე ცხოველისმაგვარი არსების გამოსახულებით. ამულეტის უკანა მხარეს ეგვიპტელოგებმა შეძლეს წარწერის გარჩევა: „გაჭირვება და უბედურება დაატყდება თავს იმას, ვინც ჩემი პატრონის მყუდროებას დაარღვევს.“ ეს იყო მეორე და უკანასკნელი გაფრთხილება, რომელიც ისევ ყურადღების მიღმა დარჩა.

ამულეტი რეგისტრაციაში გაატარეს და მუზეუმის საცავში გადააგზავნეს სხვა ძვირფასეულობასთან ერთად.

მსხვერპლთა რიცხვი კი იზრდებოდა. მკვლევართა შორის იყო ახალგაზრდა რენტგენოლოგი არჩიბალდ დუგლას რეიდი. იგი მუმიის ჩვრებისა და ბინტებისაგან გათავისუფლებაში ეხმარებოდა და ამავე დროს აკეთებდა რენტგენოსკოპიას. მისმა მუშაობამ სპეციალისტებში აღტაცება გამოინვია, მაგრამ ფარაონის უხილავ დაცვას აშკარად სხვა თვალსაზრისი ჰქონდა. ერთ დილას რეიდი ლაბორატორიაში არ გამოცხადდა, რამაც ძალიან გააკვირვა კოლეგები – მას პუნქტუალური და პასუხისმგებელი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა. ადგილობრივი მილიციის განყოფილებაში გაიგეს, რომ არჩიბალდ დუგლას რეიდის გვამი ნაპოვნი იქნა ღამით კაიროს გარეუბანში. სხეულზე არანაირი ძალადობის ნიშნები არ ჰქონდა. შეშლილი სახე საოცრად დამანჭვოდა, რომელშიც შიში და მოკრძალება იკითხებოდა. თითქოს სიკვდილის წინ, ის რაღაც საშინელსა და მომაჯადოებელს შეხვდა. კითხვები, თუ რას აკეთებდა ასე გვიან ქალაქის მისთვის სრულიად უცნობ გარეუბანში და როგორ დაიღუპა იგი, უპასუხოდ დარჩა.

ხალხი პანიკამ მოიცვა. მუშებს ხელფასი ორჯერ გაუზარდეს, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა მათი მასიური წასვლა. არავის უნდოდა ფარაონის „შურისძიების“ მორიგი მსხვერპლი გამხდარიყო. „ჩვენ ვიგრძენით რომ მახეში გავებით“ – მოგვიანებით იხსენებდა ერთ-ერთი მუშა. სულ ცოტა ხნის წინ გაზეთები ლორდ კარნავონს დასტიროდნენ და მისი უდროო სიკვდილის სხვადასხვა ვერსიებს ასახელებდნენ. ახლა კი ერთხმად ალაპარაკდნენ ტუტანხამონის რისხვის შესახებ. ყველგან ამულეტის წარწერის ციტატა იბეჭდებოდა. „ყველას, ვინც შეეხო ამ საშინელი ფარაონის საგანძურს, სევდიანი დასასრული ელოდება“ – წინასწარმეტყველებდა ნიუ-იორკის „ტაიმსი“. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა კარტერის განცხადებაც: „მე მივიღე გადაწყვეტილება, დავხურო აკლდამა მნახველთათვის“ – უთხრა მან ჟურნალისტებს. ხალხის აღშფოთებას, ენახათ მსურველებს სამარხის საგანძური, საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ კარტერმა თავისი დაიჟინა.

რამდენიმე დღის განმავლობაში გათხრებზე სიწყნარე გამეფდა და ის 13 აპრილს კვლავ ტრაგიკული ცნობით შეწყდა. ამჯერად ტუტანხამონის „მფარველის“ მახვილი ამერიკელ ბიზნესმენ ჯორჯ ჯეი გოულდზე დაეშვა. ამერიკელი არქეოლოგიის დიდი მოყვარული და ლორდ კარნარვონის ძველი მეგობარი იყო. ის ყურადღებით ადევნებდა თვალს ექსპედიციის პერიპეტიებს. როცა ლორდის უცნაური სიკვდილის შესახებ შეიტყო, გადაწყიტა, თვითონ გარკვეულიყო ამ ისტორიაში და ლუქსორში გაემგზავრა. კარტერის კატეგორიული უარის მიუხედავად, მან მაინც შეაღწია აკლდამაში. გოულდმა საკმაო ხანი დაჰყო მიწისქვეშეთში და მოასწრო დაეთვალიერებინა ყველა სათავსი და სიმდიდრე. მან დიდი გულმოდგინებით გამოიკვლია ფარაონის სამარხი და თვით სარკოფაგი. თვითდაჯერებული ბიზნესმენი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ეს მიაახლოვებდა მეგობრის გარდაცვალების საიდუმლოსთან. ხეობიდან დაბრუნებისას, გვიან საღამოს, გოულდმა სუსტი ციება იგრძნო, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მან ძლივს მიაღწია სასტუმრომდე და პირდაპირ ზღურბლზე განუტევა სული. სიმპტომები უკვე ცნობილი იყო: სისუსტე, თავბრუსხვევა... სიკვდილი. ამჯერად ექიმებმა ერთობ კატეგორიული დასკვნა გამოიტანეს: „სიკვდილის მიზეზია ორგანიზმის შავი ჭირით დაავადება“. საინტერესოა, რომ სხეულის განმეორებითი შემოწმების დროს, რაც უკვე ამერიკაში მოითხოვეს მისმა ნათესავებმა, დიაგნოზი არ დადასტურდა.

სიკვდილს სიკვდილი სდევდა. გაზეთები ზედიზედ იტყობინებოდნენ ფარაონის წყევლის მეშვიდე, მეათე, მეცხრამეტე მსხვერპლზე. ისინი ცალ-ცალკე იღუპებოდნენ, მაგრამ სიკვდილი ყველასთვის ერთნაირი იყო, უცაბედი და მიუწვდომელი. „რაღაც“ საიდუმლო, რომელმაც საუკუნეთა სიღრმიდან ამოხეთქა, ადამიანთა დასჯას აგრძელებდა.

1927 წლის ნოემბრის ადრეულ დილას, ლონდონის გაწონასწორებული და მდორე ცხოვრება სენსაციურმა ცნობამ დაარღვია: „რიჩარდ ბარტელის უსიცოცხლო სხეული ნაპოვნი იქნა საკუთარ საწოლში, თუმცა წინა საღამოს აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო და უქეიფობას არ უჩიოდა. ის ერთ დროს ცნობილი არქეოლოგის გოვარდ კარტერის მდივანი იყო და მონაწილეობდა ტუტანხამონის აკლდამის გათხრებში“. მიზეზი მისი მოულოდნელი გარდაცვალებისა ისევ დაუდგენელი დარჩა.

1929 წელს თავის საგვარეულო ციხე-სიმაგრეში გარდაიცვალა კარნარვონის ნახევარძმა ობრეი გერბერტი. „თვითმკვლელობა სულიერი დეპრესიის ფონზე“ – ასეთი იყო სამედიცინო ვერდიქტი. რამდენიმე თვის შემდეგ, 61 წლის ასაკში, გარდაიცვალა ლორდ კარნარვონის ქვრივი. მეუღლის სიკვდილის შემდეგ ის განმარტოებით ცხოვრობდა საკუთარ მამულში ლონდონის მახლობლად. გაზეთის მკითხველები დიაგნოზმა გააოცა: „სისხლის მოწამვლა უცნობი მწერის ნაკბენით“.

ეს იყო უკანასკნელი წვეთი პირთამდე სავსე თასში. „ინგლისი შიშმა მოიცვა“ – წერდა ლონდონის ცნობილი გაზეთი. ცივილიზაცია უძლური აღმოჩნდა საუკუნეთა სიღრმიდან ამოხეთქილი მრისხანე და დაუნდობელი ძალის წინაშე. ის ადამიანთა ბედს საოცარი სიმსუბუქით განაგებდა. სულ რამდენიმე წელიწადში 22 ადამიანი დაიღუპა. ამასთან ისჯებოდნენ არა მარტო გათხრების უშუალო მონაწილენი, არამედ მათი ახლობლებიც. 1930 წლისათვის იმთგან, ვინც ექსპედიციაში მონაწილეობდა, ცოცხალი მხოლოდ გოვარდ კარტერი დარჩა.

თითქოს კარტერს სულ არ აღელვებდა ის სასიკვდილო გრიგალი, რომელიც ერთი მეორის მიყოლებით შთანთქავდა მის ყოფილ თანამოსაქმეებს.

კარტერი 67 წლისა გარდაიცვალა, 16 წლის შემდეგ იმ დღიდან, როცა მისი მკრთალი სანთლის ალმა პირველად გაანათა მრავალი საუკუნის მანძილზე ჩაბნელებული ძველთაძველი აკლდამა. მთელი წლები მან უშფოთველად და მშვიდად გაატარა. დაფნის გვირგვინით დამშვენებული, მეოცე საუკუნის უდიდესი აღმომჩენი, დამსახურებულად ისვენებდა. სიჩუმის მდიდრულ ლონდონურ აპარტამენტებში იშვიათად ირღვეოდა მნახველთა ხმებით.

ეგვიპტოლოგები დღემდე სწავლობენ მისი გრანდიოზული აღმოჩენის შედეგებს – შიფრავენ ძველ პაპირუსებს, იკვლევენ ნივთებს, რომლებიც კარტერმა ფარაონის სამარხიდან ამოიღო. ერთადერთი, რაც მათ ხელში არ მოხვდა – ტუტანხამონის მუმიაზე ნაპოვნი ამულეტია, უცნაური წარწერით: „გაჭირვება და უბედურება დაატყდება თავს იმას, ვინც ჩემი პატრონის მყუდროებას დაარღვევს“.

ამულეტის დაკარგვის დღე, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სამუშაოების დამთავრებისა და კარტერის კაიროდან ლონდონში გამგზავრების დღეს დაემთხვა.

მოამზადა ნინო ოგებუაძემ

კროსვორდი



1. სოფელი თეთრიწყაროს რაიონში. 2. პერსონაჟი ქალის სახელი ვენესუელურ ტელეფილმში „რევანში“. 3. შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება. 4. ქართული ხალხური ეპოსის გმირი. 5. ძრავა, რომელიც ფრთიანი როტორის საშუალებით ორთქლის, გაზის ან წყლის ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ ენერგიად. 6. წვრილად დაფქული და გაცრილი საყნოსი თამბაქო. 7. 40-იანი წლების ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი. 8. ძაქრითა და ხილის წვენით დამზადებული ტკბილი სასმელი. 9. სახელმწიფო კარიბის ზღვაში. 10. ისტორიული ოლქი ჩრდ. ესპანეთში. 11. მსახიობ სესილია თაყაიშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ფილმში „ნატვრის ხე“. 12. შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი. 13. პირდაპირი დარტყმა კრივში. 14. სახლს მიშენებული ღია ან მომინული აივანი. 15. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში. 16. ოლქი ჩრდ.-აღმ. იტალიაში. 17. რისამე გავრცელების ან მოქმედების არე. 18. თავდები. 19. სახელგანთქმული ქართველი კინომსახიობი ქალი. 20. მსუბუქი ჟანრის ე. წ. „მცირე ფორმის“ თეატრი, რომლის სპექტაკლში შეხამებულია სასცენო ხელოვნების სხვადასხვა სახეობა. 21. ჯ. ვერდის ოპერის პერსონაჟის სახელი. 22. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა. 23. ქართველი თეატრალური მსახიობი ქალი. 24. ქართველი კინორეჟისორი. 25. ქართველი პოეტი. 26. საქართველოს დედაქალაქი. 27. ცომის, კრემის, პიურეს, კოქტეილის მოსამზადებელი და კვერცხის ასათქვეფი ელექტრონული ხელსაწყო. 28. საჭადრაკო მართლწერის გამომგონებელი. 29. ხელით გასაწევი, კლავიატურის მქონე საბერვლიანი საკრავი. 30. ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი და ლოტბარი.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

„დროშა № 1-2-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. ფლოტი. 4. ჭიანური. 8. ნარინჯი. 10. კათხა. 11. ტორტი. 13. სიმულაცია. 16. ვენტურა. 17. ისტორია. 20. იორკი. 22. კარატი. 24. კულიჩი. 26. ფაცხა. 28. ალტი. 29. იორი. 30. ონტარიო.

შვეულად: 1. გოზინაყი. 2. ფერია. 3. ისარი. 5. უნაბი. 6. ტიტრი. 7. ბაირონი. 9. სტუმარი. 12. ილუსტრაცია. 14. ბუარი. 15. ცაიში. 16.ვისკი. 18. არშია. 19. ეტლი. 21. ტური. 23. როლი. 25. იერი. 26. ფონი. 27. არია.

გიორგი დიმიტრის ძე ხახუტაშვილი დაიბადა 1969 წელს. 1986-1994 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაზგური ფერწერის განყოფილებაზე.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას.

მონაწილეობდა საგაზაფხულო, საშემოდგომო და საქველმოქმედო გამოფენებზე, აგრეთვე საზღვარგარეთ. 1996 წელს სამხატვრო აკადემიაში მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო. აკადემიის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მოიწონა ეს გამოფენა. საქართველოს გამოჩენილმა მხატვრებმა, პროფესორებმა და კათედრის გამგეებმა საკუთარ გამოსვლებში აღნიშნეს ნამუშევართა უდავო ღირსებები, მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი ფერწერული პოტენციალი.

გიორგი ხახუტაშვილს მკვეთრად გამორჩეული ფერწერა აქვს და რეალური სინამდვილის მკაფიოდ აღქმის უნარი. იგი განსაკუთრებით დაოსტატებულია პორტრეტის, პეიზაჟის და ნატურმორტის ჟანრებში. მისი ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებში, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ: საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიაში, ისრაელში და სხვა.

მას შემდეგ, რაც მან პედაგოგიური სტაჟირების კურსი გაიარა, 1996 წლიდან მუშაობს სამხატვრო აკადემიაში ფერწერის მასწავლებლად.

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა

ტექრედაქტორი **იამზე შარიქაძე**

გარეკანის პირველ გვერდზე: გიორგი ხახუტაშვილის ნამუშევრები;

მეოთხე გვერდზე: „მტკვარი“. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეიზაჟი

გიორგი ხახუტაშვილი

თეა



ზურა

Ф 17 8/3